შემსწავლელის წიგნი



ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

# აღმართი

## A2

ენის საფუძველი


ნანა შავთვალაძე

ნინო შარაშენიძე

ნანა შავთვალაძე ნინო შარაშენიძე

## ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის



### შემსწავლელის წიგნი

# A2

ენის საფუძველი

© 2014 წელი

**„აღმართი“ A2** (ენის საფუძველი) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებსაც უკვე აქვთ საწყისი ცოდნა ქართულ ენაში. ენის A2 დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: გაიგოს, თუ რაზეა საუბარი მოკლე, მარტივ, მკაფიოდ ნათქვამ შეტყობინებებსა და განცხადებებში; მარტივი და პატარა ტექსტების წაკითხვა და გაგება; ადვილად მისახვედრი ინფორმაციის პოვნა რეკლამაში, მენიუში, ცხრილში; მისთვის ნაცნობ ან საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე მცირე ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა; ელემენტარული ინფორმაციის მოთხოვნა და გაგება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ბანკში, აფთიაქში; მარტივი ფრაზებითა და წინადადებებით საკუთარი ოჯახის, სწავლის, სამსახურის, ქვეყნის, ინტერესის სფეროს შესახებ საუბარი და წერა, ასევე მარტივი, პირადი წერილების წერა.

სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის A2 დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძე-ლებლად.

ავტორები: ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე
რედაქტორი — რუსუდან ზექალაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
ფოტოგრაფი — თამარ წიკლაური
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია „ანასეულის“ მიერ.

რეცენზენტი — იასუჰირო კოჯიმა

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების“ პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2014

# შინაარსი


| გაკვეთილი | გვერდი | გაკვეთილის თემა | გრამატიკა |
|---|---|---|---|
| გაკვეთილი 1 | 5 | ჩემი ქართველი მეგობარი | კუთვნილება<br>● რთული სიტყვები |
| გაკვეთილი 2 | 12 | ცოტა რამ საქართველოს შესახებ | მოქმედებითი ბრუნვა<br>● ზომა-ოდენობა |
| გაკვეთილი 3 | 20 | როგორ ცხოვრობენ საქართველოში | მსაზღვრელ-საზღვრული<br>● დროის გამოხატვა |
| გაკვეთილი 4 | 29 | ჩვენი ნაცნობები | რიგობითი რიცხვითი სახელები<br>● ნაწილაკიანი ფორმები |
| გაკვეთილი 5 | 38 | უცხოელი სტუმარი თბილისში | ხარისხის ფორმები<br>● განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი |
| გაკვეთილი 6 | 47 | ჩემი ერთი დღე | შედარებითი ხარისხი |
| შეამოწმე შენი ცოდნა | 57 | რა ვისწავლეთ და რა შეგვიძლია | |
| გაკვეთილი 7 | 66 | შაბათ-კვირა | კავშირებითი კილო<br>● სიტყვის დაბოლოება ● კავშირები |
| გაკვეთილი 8 | 76 | ბანკი | დანიშნულების სახელები<br>● თანდებულები |
| გაკვეთილი 9 | 88 | ჯანმრთელობა | კავშირებითი კილო |
| გაკვეთილი 10 | 97 | ყველაფერი ბინისთვის | ბრძანებითი კილო<br>● კუმშვადი სახელები |
| გაკვეთილი 11 | 107 | ღვინის ფესტივალზე | ზედსართავის ოდნაობითი ხარისხი<br>● ადგილმდებარეობა |
| გაკვეთილი 12 | 118 | სტუმრად ქართულ ოჯახში | კუმშვადი ფუძეები<br>● მსგავსებითი შედარება |
| შეამოწმე შენი ცოდნა | 129 | რა ვისწავლეთ და რა შეგვიძლია | |
| დანართი 1 | 138 | მოსასმენი დავალებების ბეჭდური ვარიანტები | |
| დანართი 2 | 150 | სავარჯიშოების პასუხები | |

ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე

# ადმართი A2

## გაკვეთილი 1

### მოსმენა



ახალი სიტყვების მოსმენა მათი დამახსოვრებისა და გამოთქმის მიზნით; სკაიპის მეგობრებს შორის გამართული მარტივი დიალოგის დეტალური გაგება.

### კითხვა



პიროვნების მონაცემების შესახებ მოკლე მარტივი ტექსტების გაგება; საქართველოს ქალაქების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის გაგება.

### ლაპარაკი



მარტივი ფრაზებითა და წინადადებებით საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და სხვების შესახებ საუბარი რთული სიტყვებისა (კომპოზიტები) და ნათესაობითი ბრუნვის გამოყენებით.

### წერა



მარტივი წინადადებებით მცირე ზომის ტექსტის შექმნა საკუთარი თავის, მეგობრების შესახებ სადაურობის / წარმომავლობის და რთული სიტყვების გამოყენებით; აქტიური ლექსიკის გამოყენებით საკუთარი დღის განრიგის აღწერა.

კუთვნილება ● რთული სიტყვები

# ჩემი ქართველი მეგობარი

**1** **წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| დედაქალაქი | და-ძმა | სწავლა | ბიძაჩემი |
| ბაღი | უნივერსიტეტი | ხშირი | ბინა |
| ფაკულტეტი | საბავშვო | ხშირად | ცენტრი |
| ეკონომიკა | ამიტომ | სტუმარი | ვერ |
| ბიზნესი | თავისი | დეიდა | უკვე |
| დედისერთა | ისიც | დეიდაჩემი | იცნობს |
| მარტო | ცხოვრება | ბიძა | |

**2** **წაიკითხეთ დიალოგი:**

## სკაიპის მეგობარი

– **გამარჯობა.**
– გამარჯობა.
– **მე ვარ ნიკი.**
– სად ცხოვრობ, ნიკ?
– **ამერიკაში. შენ?**
– მე საქართველოში.
– **საქართველოში სად?**
– თბილისში.
– **რამდენი წლის ხარ?**
– ცხრამეტი წლის ვარ. შენ?
– **მე ოცდაერთის. რა გქვია?**
– მე ანა მქვია. სწავლობ?
– **კი, უნივერსიტეტში ვსწავლობ. შენ?**
– მეც ვსწავლობ. მუშაობ?
– **კი, საღამოს კაფეში ვმუშაობ. შენ?**
– მე – არა.

**3** **წაიკითხეთ დიალოგი „სკაიპის მეგობარი“, ჩაწერეთ ფრაზები შესაბამის ადგილზე:**

ცხოვრობს ამერიკაში.

ცხოვრობს საქართველოში.

ცხრამეტი წლისაა.

ოცდაერთი წლისაა.

სწავლობს უნივერსიტეტში.

სწავლობს თბილისში.

საღამოს კაფეში მუშაობს.

არ მუშაობს.



ნიკი

ნიკი ცხოვრობს ამერიკაში.

ანა

**4** **წაიკითხეთ ტექსტი:**

ანა თბილისელი გოგოა. მისი გვარია გეგეშიძე. ის უნივერსიტეტში სწავლობს ეკონომიკის ფაკულტეტზე. გეგეშიძეების ოჯახი ვაკეში ცხოვრობს, ტიციან ტაბიძის ქუჩაზე. ანას დიდი ოჯახი აქვს: მშობლები, ბებია-ბაბუა და ორი და. ძმა არ ჰყავს. ანას ერთი და სკოლაში სწავლობს, მეორე კი საბავშვო ბაღში დადის.

ნიკი მარტო ცხოვრობს ჩიკაგოში. მისი დედა და მამა ვაშინგტონში ცხოვრობენ. და-ძმა არ ჰყავს, დედისერთაა. მას ბევრი მეგობარი ჰყავს და ამიტომ ძალიან ბედნიერია. ნიკი უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს. საღამოს ის იტალიურ კაფეში მუშაობს, შვიდი საათიდან თერთმეტ საათამდე. ნიკს ძალიან მოსწონს სტუდენტური ცხოვრება. მას ისიც მოსწონს, რომ მუშაობს და თავისი ფული აქვს.

ნიკი ბიზნესს სწავლობს, მაგრამ მისთვის დიდი სიამოვნებაა ენების სწავლა. ნიკმა კარგად იცის ინგლისური, ფრანგული, ესპანური და იტალიური. ნიკის ბიძა ესპანელია და მეუღლესთან ერთად ჩიკაგოში ცხოვრობს. მათ ქალაქის ცენტრში დიდი ბინა აქვთ და ნიკი მათი ხშირი სტუმარია.

ახლა ნიკი ქართულ ენას სწავლობს. ნიკის დედა ქართველია, მამა – ამერიკელი. ნიკი ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ახლა ქართველი მეგობარი ჰყავს, ანა. ისინი უკვე სკაიპის მეგობრები არიან.

გოგო = გოგონა
ბაბუა = პაპა
ბებია = დიდედა

## 5 უპასუხეთ კითხვებს:

1. სადაურია ანა?
2. სად სწავლობს ანა?
3. ვინ ჰყავს ანას ოჯახში?
4. ვინ არის ნიკი?
5. უნივერსიტეტის რომელ ფაკულტეტზე სწავლობენ ანა და ნიკი?
6. რა მოსწონს ნიკს?
7. რა არის ნიკის ჰობი?
8. ვისთან არის ნიკი ხშირად სტუმრად?
9. იცის ნიკმა ქართული ენა?
10. საიდან იცნობს ნიკი ანას?

______ ა + ს

ანა – ანას
ანა-ს ოჯახი ანა-ს ბიძა ანა-ს დედა
ანა-ს სახლი ანა-ს მეგობარი

______ + ის

ნიკი - ნიკის
ნიკ-ის ოჯახი ნიკ-ის ბიძა ნიკ-ის დედა
ნიკ-ის სახლი ნიკ-ის მეგობარი

______ ე, ო, უ, ი + ს

სალომე – სალომეს
ელენეს ოჯახი
ნინოს ბიძა
ნუნუს მეგობარი
გიორგის სახლი
ოთარის ოჯახი
ლევანის ბიძა
თამარის სახლი
დავითის მეგობარი

## 6 ჩასვით სახელი სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: (დავითი) დავითის ოთახი დიდია;
(ნანა) ნანას ჩანთა ლამაზია.

1. (სალომე) ______ დეიდა თელავში ცხოვრობს.
2. (ნათია) ______ ძმა სკოლაში სწავლობს.
3. (ნოდარი) ______ ბებია ბევრს ფიქრობს.
4. (მიხეილი) ______ მამა კარგად ლაპარაკობს იტალიურად.
5. (ოთარი) ______ ბაბუა უნივერსიტეტში მუშაობს.
6. (ლუკა) ______ მამიდა წიგნს წერს.
7. (ზურაბი) ______ ოჯახი დილის ცხრა საათზე საუზმობს.
8. (გიორგი) ______ პატარა ძმა საინტერესო წიგნს კითხულობს.
9. (რუსუდანი) ______ ქმარი ბანანს ყიდულობს.
10. (კოტე) ______ მეგობრები ფეხბურთს კარგად თამაშობენ.



______ + იდან ______ + ამდე

შვიდი საათიდან თერთმეტ საათამდე

რვა საათიდან ცხრა საათამდე

ორშაბათიდან პარასკევამდე
იანვრიდან მარტამდე
სექტემბრიდან ივნისამდე
ორიდან ხუთამდე
ათი წლიდან თხუთმეტ წლამდე

**7** ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: (15:00 – 17:00) სამი საათიდან ხუთ საათამდე ბანკში ვიქნები.

1. ნანა (11:00 – 14:00) .......................................... სკოლაშია.
2. (ორშაბათი – პარასკევი) .......................................... გიორგი ქუთაისში იყო.
3. (3 წელი – 6 წელი) .......................................... ბავშვები საბავშვო ბაღში დადიან.
4. ნიკი და ანა დილის (8:00 – 9:00) .......................................... ცურავენ.
5. დილის (ნოემბერი – მარტი) .......................................... ცივი ამინდებია.
6. (13:00 – 14:00) .......................................... სამინისტროში შესვენებაა.
7. (სამშაბათი – ხუთშაბათი) .......................................... ნიკა ბიბლიოთეკაში მუშაობს.
8. საღამოს (19:00 – 22:00) .......................................... ფილარმონიაში ჯაზის კონცერტია.
9. (ივლისი – აგვისტო) .......................................... თბილისელები ხშირად მიდიან ზღვაზე.
10. (6 წელი – 18 წელი) .......................................... ბავშვები სკოლაში სწავლობენ.



და და ძმა → და-ძმა

დედა და მამა → **დედ-მამა**
ცოლი და ქმარი → **ცოლ-ქმარი**
ბებია და ბაბუა → **ბებია-ბაბუა**
ცოლი და შვილი → **ცოლ-შვილი**
ქმარი და შვილი → **ქმარ-შვილი**

**8** ჩაწერეთ რთული სიტყვები და დააბოლოვეთ ფორმები:

მე დიდი ოჯახი მაქვს. **(დედა და მამა)** <u>დედ-მამა</u> უნივერსიტეტში მუშაობს. ისინი ათი საათი.......... ექვს საათ.......... სამსახურში არიან. ჩემი **(და და ძმა)** .................... სკოლაში სწავლობს. ისინი ცხრა საათი.......... სამ საათ.......... სკოლაში არიან. **(ბებია და ბაბუა)** .......................... არ მუშაობს. ისინი სახლში არიან დილი.......... საღამო.......... . მე მყავს ორი ბიძა და ერთი დეიდა. ისინიც მუშაობენ. ბიძაჩემი აეროპორტში მუშაობს საღამოს ათი საათი.......... დილის ცხრა საათ.......... . ირმა მისი ცოლია და ისიც აეროპორტში მუშაობს, მაგრამ **(ცოლი და ქმარი)** ...................... სამსახურში ერთად არ არის. მეორე ბიძა ეკონომისტია და ეკონომიკის სამინისტროში მუშაობს. მას **(ცოლი და შვილი)** .................................. არ ჰყავს. დეიდაჩემი აფთიაქში მუშაობს. მასაც არ ჰყავს **(ქმარი და შვილი)** ....................

**9 მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

**– გამარჯობა, ნიკ, როგორ ხარ?**

– კარგად, ანა. ........................................ ?

**– მეც კარგად. რა არის შენთან ........................................ ?**

– ახალი ბევრი არაფერი, მაგრამ კარგი ის არის, რომ მე ახლა ქართველი მეგობარი მყავს და ........................................ ვლაპარაკობთ.

**– ........................................ სად იყავი?**

– დეიდასთან და ბიძასთან.

**– სად ........................................ ?**

– აქ, ჩიკაგოში, ........................................ . ........................................ ესპანელია და ჩვენ ესპანურად ვლაპარაკობთ. შენ იცი ........................................ ?

**– არა, მე ესპანური არ ვიცი, ........................................ ვსწავლობ.**

– ინგლისური?

**– კი, ინგლისური ........................................ . დეიდაშენმა იცის ესპანური?**

– ........................................ , ოჯახში ხანდახან ........................................ .

**10 უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:**

1. რა გქვიათ?
2. რა გვარი ხართ?
3. საიდან ხართ?
4. რომელ ქალაქში ცხოვრობთ?
5. ქალაქის რომელ უბანში ცხოვრობთ?
6. რა არის თქვენი მისამართი?
7. სად სწავლობთ?
8. რომელი ენები იცით?
9. თქვენი ოჯახი დიდია?
10. გყავთ და-ძმა?
11. სად მუშაობს დედა? მამა? ბიძა? დეიდა? მამიდა?
12. გყავთ ბებია-ბაბუა?
13. რა არის თქვენი ჰობი?
14. მოგწონთ კომპიუტერით მუშაობა?
15. გყავთ სკაიპის მეგობარი? ისაუბრეთ მასზე.

**11** დაწერეთ თქვენ შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:

## ჩემ შესახებ

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

### გაკვეთილის ფრაზები

ცხრა საათიდან ექვს საათამდე მუშაობს
იტალიურ კაფეში მუშაობს
უნივერსიტეტში სწავლობს
ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს
ძალიან ბედნიერია
ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავს
სტუდენტური ცხოვრება ძალიან მოსწონს
ენების სწავლა მისი ჰობია
ქალაქის ცენტრში დიდი ბინა აქვს
ის მათი ხშირი სტუმარია
სკაიპის მეგობრები არიან

## გაკვეთილი 2

### მოსმენა

გეოგრაფიულ ცნებებთან, ბუნებრივ მოვლენებთან, გარემოსთან დაკავშირებული მცირე მოცულობის მარტივი დიალოგების დეტალური გაგება.

### კითხვა

წაკითხული ტექსტიდან ინფორმაციის დახარისხება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით; მოგზაურობასთან დაკავშირებული ტექსტების გაგება; წაკითხული დიალოგების გაგება ნიუანსების გააზრებით.

### ლაპარაკი

მარტივი გრამატიკული კონსტრუქციებით საკუთარი და იმ ქვეყნების აღწერა, სადაც უკვე უმოგზაურია; ნაცნობი, შესწავლილი საკითხების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა.

### წერა

ქვეყნის აღსაწერად საჭირო აქტიური ლექსიკის გამოყენებით წერილის შექმნა საქართველოს შესახებ; ასევე მცირე ტექსტის დაწერა საკუთარ ქვეყანასა თუ ქალაქზე უკვე კარგად შესწავლილი ფრაზების გამოყენებით.

მოქმედებითი ბრუნვა ● ზომა-ოდენობა

# ცოტა რამ საქართველოს შესახებ

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:



| | | | |
|---|---|---|---|
| სოფელი | კავკასია | თოვლიანი | ქვიშა |
| ქალაქი | ახლოს | მთა | ქვიშიანი |
| დედაქალაქი | მშვენიერი | მთიანი | გარშემო |
| რაიონი | მეზობელი | მთაგორიანი | უნიკალური |
| მხარე | ცა | ქარი | მართლაც |
| ბუნება | ვარსკვლავი | ქარიანი | პლაჟი |
| მდინარე | ვარსკვლავიანი | ნისლი | ალბათ |
| ზღვა | მზე | ნისლიანი | მდებარეობს |
| სანაპირო | მზიანი | ღრუბელი | სეირნობს |
| ხიდი | მთვარე | ღრუბლიანი | ატარებს |
| აღმოსავლეთი | მთვარიანი | ტყე | რეკავს |
| დასავლეთი | წვიმა | ტყიანი | ცურავს |
| ჩრდილოეთი | წვიმიანი | ქვა | |
| სამხრეთი | თოვლი | ქვიანი | |

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

**– ნიკ, სად არის საქართველო?**
– საქართველო კავკასიაშია.
**– ლამაზი ქვეყანაა?**
– კი, ძალიან ლამაზია: პატარა, მზიანი და მთაგორიანი. აქ მთებიცაა და ზღვაც.
**– რომელი ზღვაა?**
– შავი ზღვა. საქართველოს დასავლეთით შავი ზღვაა.
**– სანაპირო გრძელია?**
– არა, საქართველოს სანაპირო გრძელი არ არის.

**– რომელი ქალაქია ყველაზე ლამაზი შავი ზღვის სანაპიროზე?**
– ლამაზი ქალაქი? ვფიქრობ, ბათუმი ყველაზე ლამაზია.
**– დიდი ქალაქია ბათუმი?**
– არა, არც ისე დიდი ქალაქია, მაგრამ ტურისტებისთვის საინტერესოა. ბათუმს აქვს პორტი. იქ ასევე მშვენიერი ბულვარია. ქალაქთან ახლოს მაღალი მთებია, შეიძლება დილით ზღვაზე იყო და საღამოს – მთაში. ზაფხულში ბათუმში ბევრი ხალხი ისვენებს.
**– სანაპირო ქვიშიანია თუ ქვიანი?**
– ბათუმის სანაპირო არ არის ქვიშიანი, ქვიანია, მაგრამ შავი ზღვის სანაპიროს ქვიშიანი პლაჟებიც აქვს. მაგალითად, ურეკი პატარა სოფელია. იქ მაგნიტური ქვიშაა და ჯანმრთელობისთვის კარგია. ურეკში ხშირად ჩამოდიან ოჯახები ბავშვებთან ერთად.
**– მეც მინდა შავ ზღვაზე დასვენება. როდის წავიდეთ?**
– ზაფხულში წავიდეთ.










**3** აღნიშნეთ, რომელი სიტყვები შეესაბამება ერთმანეთს:

| | გრძელი | ლამაზი | ფართო | პატარა | დიდი | შავი | მაგნიტური |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანაპირო | + | | | | | | |
| ზღვა | | | | | | | |
| ქალაქი | | | | | | | |
| ქვიშა | | | | | | | |
| ქვეყანა | | | | | | | |

**4** წაიკითხეთ ტექსტი და ჩაწერეთ ცხრილში ინფორმაცია ორივე ქალაქის შესახებ:

გამარჯობა, მარტინ,

ერთი კვირაა, მე და ჩემი ოჯახი საქართველოში ვართ. ეს პატარა ქვეყანაა კავკასიაში, მაგრამ ძალიან დიდი ისტორია აქვს. დასავლეთით შავი ზღვაა, ჩრდილოეთით – კავკასიონი, აღმოსავლეთით კი – კასპიის ზღვა. საქართველოს მეზობელი ქვეყნებია: რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი.

საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. ქართული ანბანი ლამაზია. ქართველები თბილი და კარგი ხალხია. მათ უყვართ სტუმარი და მშვენიერი სამზარეულოც აქვთ.

ჩვენ პირველად თბილისში ჩავედით თვითმფრინავით. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. იგი ათას ხუთასზე მეტი წლისაა. აქ მილიონ-ნახევარი ადამიანი ცხოვრობს. ეს ყველაზე დიდი ქალაქია საქართველოში. იგი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. თბილისი ძველი და ისტორიული ქალაქია. თბილისის გარშემო მთებია. ქალაქის შუაში მდინარე მტკვარია. მდინარის სანაპიროზეა ძველი და ახალი თბილისი. ძველ თბილისში საინტერესო არქიტექტურაა. აქ ერთადაა ევროპული და აზიური სტილი.

სამი დღის შემდეგ თბილისიდან დასავლეთ საქართველოში წავედით დღის მატარებლით. საღამოს ჩავედით ბათუმში. აქ არის მშვენიერი ბუნება. მთაც არის და ზღვაც.

ბათუმი ევროპული სტილის ქალაქია. ბათუმის ბულვარი ლამაზია და აქ საღამოს ბევრი ხალხი სეირნობს, უსმენს მუსიკას, საუბრობს და კარგად ატარებს დროს. ჩვენი სასტუმრო ბულვარის წინაა, ეს სასტუმრო „ინტურისტია“. დილით ადრე ზღვაზე ფეხით მივდივართ. ზღვა ძალიან ახლოსაა. ერთი საათი ვცურავთ. ბათუმის სანაპირო სუფთაა, მაგრამ ნაპირი ქვიანია. დილით სასტუმროში ვსაუზმობთ, ყოველდღე რესტორანში ვსადილობთ და საღამოს ბულვარის კაფეში ვვახშმობთ. ბულვარში ძალიან მოგვწონს ერთი კაფე და ხშირად ვართ იქ.

ერთი დღე ბოტანიკურ ბაღში ვიყავით. ბოტანიკური ბაღი ბათუმიდან ცხრა კილომეტრშია. ბაღში უნიკალური ხეები და ყვავილებია ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, მექსიკიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან, აღმოსავლეთ აზიიდან. ბოტანიკურ ბაღთან ახლოს კარგი პლაჟია. აქ საოცარი ლანდშაფტია – მთიდან პირდაპირ ზღვაში ჩადიხარ.

აქ ძალიან მოგვწონს, ჩვენ კიდევ ათი დღე ვიქნებით ბათუმში. გაქვს დრო? ჩამოხვალ? პასუხი მოგვწერე.

დენისი და ქეითი

| თბილისი | ბათუმი |
|---|---|
| 1. საქართველოს დედაქალაქი. | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

## 5 უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ წერს წერილს?
2. სად მდებარეობს საქართველო?
3. როგორი ქვეყანაა საქართველო?
4. რა არის საქართველოს დასავლეთით და აღმოსავლეთით?
5. სად იყვნენ სტუმრები ერთი დღე?
6. რამდენი დღე იყვნენ სტუმრები თბილისში?
7. როგორი სტილის ქალაქია ბათუმი?
8. რა არის ბოტანიკურ ბაღში?
9. როგორია ქართული სამზარეულო?
10. სად საუზმობენ სტუმრები?
11. რას აკეთებენ ისინი ბათუმის ბულვარში?
12. სად არის სასტუმრო „ინტურისტი“?
13. როგორი ქალაქია ბათუმი?
14. როგორია ბათუმის სანაპირო?
15. რა არის თქვენი ქვეყნის ჩრდილოეთით და სამხრეთით?

| | |
|---|---|
| ის სეირნობს ბაღში. | **საღამოს სალომე ბათუმის ბულვარში სეირნობს.** |
| ის ატარებს დროს. | **ზაფხულში სალომე ყოველთვის კარგ დროს ატარებს.** |
| ის რეკავს ტელეფონზე. | **სალომე ბულვარის კაფეშია და ტელეფონით რეკავს.** |
| ის ცურავს ზღვაში. | **გიორგი ყოველდღე დილით ადრე ზღვაში ერთი საათი ცურავს.** |

## 6 წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ სწორი ზმნა და ხაზი გაუსვით:

ნიმუში: სალომე ბულვარში ცხოვრობს / სეირნობს.

1. გურამი სახლშია და ტელეფონით **სწავლობს / რეკავს.**
2. დილით ზურაბი კაფეში თამრიკოსთან ერთად **საუზმობს / ხატავს.**
3. ოთარი საქართველოს პარლამენტში **ცხოვრობს / მუშაობს.**
4. გიორგის ძალიან უყვარს ბუნება და ახლა პარკში წიგნს **ლაპარაკობს / კითხულობს.**
5. ნათია ძალიან კარგად **რეკავს / ცურავს.**
6. თინა პირველადაა პარიზში და მეგობართან ერთად დილიდან ქუჩებში **სეირნობს / წერს.**
7. მიხეილი იტალიაში კარგ დროს **ატარებს / ლაპარაკობს.**
8. დავითი ქართულ რესტორანში ხშირად **კითხულობს / სადილობს.**
9. ბაბუა ბათუმშია და ოთარი მასთან ხშირად **სეირნობს / რეკავს.**
10. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ბევრი ტურისტი **წერს / სეირნობს.**



+ით

1. მანქან~~ა~~ — მანქან-ით
ფანქრ~~ა~~-ით
ფეხ~~ი~~-ით
სკაიპ~~ი~~-ით

2. აღმოსავლეთ~~ი~~-ით
დასავლეთ~~ი~~-ით
სამხრეთ~~ი~~-ით
ჩრდილოეთ~~ი~~-ით

3. მეტრო — მეტრო-თი

**7** ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: (ფეხი) ფეხით პარკში მივდივართ.

1. რუსეთის (დასავლეთი) ............................................ ევროპაა.
2. ნია მეგობართან (სკაიპი) ............................................ ლაპარაკობს.
3. ბავშვები საბავშვო ბაღში (მანქანა) ............................................ დადიან.
4. ნანა ახალ მეგობარს (სკაიპი) ............................................ წერს.
5. (ჩრდილოეთი) ............................................ ნორვეგიაა.
6. ბავშვები (ბურთი) ............................................ თამაშობენ.
7. (სამხრეთი) ............................................ არის ანტარქტიდა.
8. დედ-მამა ბაზარში დიდი (ჩანთა) ............................................ მიდის.
9. საქართველოს (აღმოსავლეთი) ............................................ არის აზერბაიჯანი.
10. გურამი ოპერაში (ტაქსი) ............................................ მიდის.



................................ – ნახევარი მილიონ-ნახევარი

1 მილიონი + 0.5 მილიონი = 1.5 მილიონი

კილო-ნახევარი
საათ-ნახევარი
კილომეტრ-ნახევარი
ლიტრ-ნახევარი
მეტრ-ნახევარი
ლარ-ნახევარი
დღე-ნახევარი
ორ-ნახევარი კილო
სამკილო-ნახევარი

**8** ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: (1.5 კილო) კილო-ნახევარი ვაშლი მინდა.

1. (3.5 კილო) ............................................ ფორთოხალი მინდა.
2. ყოველ დილით (1.5 კილომეტრი) ............................................ ცურავს.
3. რვეული (1.5 ლარი) ............................................ ღირს.
4. სახლში მხოლოდ (3.5 ლიტრი) ............................................ თეთრი ღვინოა.
5. ჩანთაში (7.5 კილო) ............................................ წითელი ვაშლია.
6. ბავშვები (2.5 საათი) ............................................ თამაშობენ პარკში.

7. ჩემი აივანი არის (4.5 მეტრი) .......................................... .

8. (1.5 კილო) .......................................... ბანანი მინდა ბავშვებისთვის.

9. ნიკა ბაკურიანში (1.5 დღე) .......................................... იყო.

## 9 მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

– ალო.
**– გამარჯობათ, .......................................... ბინაა?**
– მაღალაშვილის ბინაა, თქვენ ვინ .......................................... ?
**– თუ შეიძლება, მარიამს სთხოვეთ.**
– მარიამი ვარ.
**– უი, მარიამ, უცებ ვერ გიცანი. მე ვარ, თამარი. .......................................... ხარ?**
– კარგად, .......................................... ?
**– მეც კარგად. მარიამ, გოგოები .......................................... ქობულეთში მივდივართ, .......................................... იქ ვიქნებით.**
– რა კარგია!
**– შენც წამოხვალ?**
– ჯერ არ ვიცი..... მაგრამ ძალიან მინდა .......................................... .
**– ამინდის პროგნოზი კარგია, .......................................... და წვიმიანი დღეები არ იქნება. ორი დღე სულ მზეა... დილით ზღვაზე ვიქნებით, საღამოს – .......................................... ... კვირას ბათუმშიც წავიდეთ.**
– როგორ მინდა, როგორ მიყვარს ზღვა და მზე... რა კარგი იქნება.
**– .......................................... . ხვალ დილით ადრე ავტობუსით .......................................... .**
– ბილეთები იქნება?
**– არაა პრობლემა.**
– კარგი, წამოვალ.
**– რა კარგია... ხვალ .......................................... , შევხვდეთ ავტოსადგურში.**
– აბა, ხვალამდე.

## 10 უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. როგორია თქვენი ქვეყანა?
2. რა არის თქვენი ქვეყნის დასავლეთით? აღმოსავლეთით?
3. ქვიანი სანაპირო მოგწონთ თუ ქვიშიანი?
4. რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენს ქვეყანაში?
5. როგორი სტილის ქალაქია თქვენი ქვეყნის დედაქალაქი?
6. ხშირად ჩამოდიან ტურისტები თქვენს ქალაქში?
7. რა არის საინტერესო თქვენს ქალაქთან ახლოს?
8. როგორი ამინდი გიყვართ? როგორი ამინდებია ხშირად თქვენს ქვეყანაში?
9. რა არის თქვენი ქვეყნის ჩრდილოეთით? სამხრეთით?
10. რომელია ყველაზე დიდი და ლამაზი ქალაქი თქვენს ქვეყანაში?
11. როგორ ატარებენ დროს თქვენი ქვეყნის სტუდენტები შაბათ-კვირას?
12. რომელი მდინარეა თქვენს ქალაქში?

**11** **დაწერეთ თქვენი ქალაქის / ქვეყნის შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:**

## თქვენი ქალაქი / ქვეყანა

**12** **წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:**

### გაკვეთილის ფრაზები

ლამაზი ქვეყანაა
მთაგორიანი ქვეყანაა კავკასიაში
ძალიან ლამაზი მხარეა
მთა და ზღვა ერთადაა
საქართველოს დასავლეთით შავი ზღვაა
ყველაზე ლამაზი სანაპიროა
პატარა ქალაქია, მაგრამ საინტერესოა
მშვენიერი ბულვარია
იქ ბევრი ხალხია
ქალაქთან ახლოსაა
თბილისის გარშემოა
ქალაქის შუაშია
სანაპირო ქვიშიანია
პატარა სოფელია
ხშირად ჩამოდიან
ძველი კულტურის ქვეყანაა
თბილი და კარგი ხალხია
თბილისი საქართველოს დედაქალაქია
კარგ დროს ვატარებთ
ავტობუსით წავიდეთ
სამი დღის შემდეგ
აღმოსავლეთ საქართველოდან
დასავლეთ საქართველოში
დღის მატარებლით
ევროპული სტილის
მილიონ-ნახევარი ადამიანი
შაბათ-კვირას
თქვენთან ერთად
გაქვს დრო?
ვისი ბინაა?
ვინ გნებავთ?
როდის წავიდეთ?
რა კარგია!
მარიამს სთხოვეთ!
როგორ მინდა!
როგორ მიყვარს!
სტუმარი უყვართ
არაა პრობლემა
პირველად ვარ

# გაკვეთილი 3

## მოსმენა

სახლის / ბინის მოწყობასთან დაკავშირებული ნელა, მკაფიოდ გამართული დიალოგების გაგება და მათში გამოტოვებული ადგილების შევსება.

## კითხვა

ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან დაკავშირებული ტექსტების დეტალური გაგება, თითოეული პერსონაჟის შესახებ ინფორმაციის დახარისხება; მოკლე დიალოგების დეტალური გაგება აღწერილი სიტუაციის მიხედვით.

## ლაპარაკი

აქტიური ლექსიკის გამოყენებით ტექსტის კითხვებზე პასუხების გაცემა; საუბარი ოჯახის წევრებზე, ნათესავებზე, მათ შესახებ მარტივი ინფორმაციის გაცემა.

## წერა

გრამატიკული დროების გამოყენებით მარტივი პირადი წერილის მიწერა გატარებული დროის (მაგ., სოფელში) შესახებ; მცირე მოცულობის ტექსტის შექმნა მარტივი მაკავშირებელი სიტყვების გამოყენებით თემაზე: ჩემი დიდი ოჯახი; დაგროვებული ლექსიკური მარაგის გათვალისწინებით ბინის / სახლის /ოთახის დეტალურად აღწერა.

მსაზღვრელ-საზღვრული ● დროის გამოხატვა

# როგორ ცხოვრობენ საქართველოში

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:



| | | | |
|---|---|---|---|
| მამიდა | სართული | სააბაზანო | სასიამოვნო |
| დეიდაშვილი | იატაკი | აბაზანა | ზოგი |
| მამიდაშვილი | ჭერი | შემოსასვლელი | ისვენებს |
| ბიძაშვილი | ფანჯარა | კიბე | ახსოვს |
| ბიცოლა | კარი | ნათელი | იხდის |
| ნათესავი | აივანი | ბნელი | ერთმანეთი |
| ცოლიანი | სამზარეულო | ვიწრო | ზემოთ |
| წევრი | საძინებელი | ფართო | ქვემოთ |
| უბანი | სასადილო | კეთილი | აღარ |
| სადარბაზო | კაბინეტი | ჭკვიანი | იცნობს |
| ლიფტი | ტუალეტი | ძლიერი | დაბადების დღეს |

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

## შეხვედრა

**– თამთა, შენ ხარ?**
– გამარჯობა, მარინა... რატომ ხარ თბილისში? საქმე გაქვს?
**– კი, საქმეც მაქვს და ჩემი მამიდაშვილის დაბადების დღეა.**
– რომელი მამიდაშვილის? მეც ვიცნობ?
**– იცნობ, შარშან ბათუმში ერთად ვიყავით. ბოლო ორი დღე ჩვენთან იყო. გახსოვს ნათია?**
– მახსოვს. ლამაზი, მაღალი და კეთილი გოგოა.
**– ჰო, ძალიან კარგი გოგოა ჩემი ნათია. ხვალ რესტორანში იხდის დაბადების დღეს. ნათესავები და მეგობრები ვიქნებით.**
– რა კარგია... ჩემთან როდის მოხვალ?
**– არ ვიცი, ალბათ, სამი-ოთხი დღე ვიქნები ქალაქში და დაგირეკავ.**
– კარგი, დამირეკე. ახლა სად მიდიხარ?
**– მამიდაჩემთან, დიღომში.**

– მე მანქანით ვარ. სამ საათზე შეხვედრა მაქვს ოფისში. ჯერ ორის ნახევარია, საათ-ნახევარი მაქვს დრო და ერთად წავიდეთ.
**– რა კარგია. მე მძიმე ჩანთები მაქვს.**
– აი, ჩემი მანქანა. აბა, წავედით.

**3** **დიალოგის მიხედვით დაწერეთ ინფორმაცია მათ შესახებ:**

თამთა

მარინა

ნათია

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია მარინას და მისი ნათესავების შესახებ:**

მარინა მანგლისში ცხოვრობს. ის მანგლისელია. მანგლისი არის თბილისის სამხრეთ-დასავლეთით. ის დიდი და ლამაზი სოფელია. მანგლისის გარშემო ბევრი ტყეა და ამიტომ ჰაერიც სუფთაა. ზაფხულში იქ ბევრი თბილისელი ისვენებს.

მარინას ქვის ძველი სახლი აქვს მანგლისის ცენტრში და მთელი ოჯახი იქ ცხოვრობს. სახლი ორსართულიანია. ქვემოთ არის შემოსასვლელი, კიბე, სამზარეულო და სასადილო.შემოსასვლელიდან მარჯვნივ ნათელი და დიდი სასადილო ოთახია. სასადილოს გვერდით სამზარეულოა. სამზარეულოს აქვს ორი დიდი ფანჯარა. შემოსასვლელიდან მარცხნივ არის სააბაზანო და ტუალეტი. ზემოთ კიბით ადიხართ. იქ ხუთი ოთახია: ოთხი საძინებელი და ერთი კაბინეტი. სახლს ძალიან ფართო აივანი აქვს და ზაფხულში ოჯახის წევრები სტუმრებთან ერთად ყოველ საღამოს იქ ისვენებენ.

მარინას ბევრი ნათესავი ჰყავს, ზოგი მანგლისში ცხოვრობს, ზოგი – თბილისში. ზაფხულში თბილისელი ნათესავები მანგლისში ისვენებენ. მანგლისი თბილისთან ახლოსაა და ამიტომ სტუმრები მთელი წლის განმავლობაში შაბათ-კვირასაც ამოდიან

მარინასთან.

მარინას მამიდა თბილისში ცხოვრობს, დიღომში. მასაც დიდი ოჯახი ჰყავს: ქმარი და სამი ქალიშვილი. მარინას ბიძა მანგლისში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. მარინა მათი ხშირი სტუმარია. მისი ბიძაშვილები ბიჭები არიან – გივიკო, საბა და ლაშა. ისინი სკოლაში დადიან და ძალიან უყვართ მარინასთან ერთად თამაში და სეირნობა. მარინას დეიდა რუსთავში ცხოვრობს. მას ქმარი აღარ ჰყავს. მარინას ერთი დეიდაშვილი ცოლიანია. ის ცოლ-შვილითან და დედასთან ერთად ცხოვრობს რუსთავში.

ახლა ნათესავები – დეიდაშვილები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები – ერთად არიან მარინას მამიდაშვილის, ნათიას, დაბადების დღეზე თბილისში.

ამ დიდი ოჯახის წევრებს ძალიან უყვართ ერთმანეთი.

| | |
|---|---|
| მარინა | ცხოვრობს მანგლისში. |
| მარინას მამიდა | |
| მარინას ბიძა | |

**5** უპასუხეთ კითხვებს:

1. სად მდებარეობს მანგლისი?
2. როგორი სოფელია მანგლისი?
3. სად ისვენებენ ხშირად ზაფხულში მარინას სტუმრები?
4. როგორ სახლში ცხოვრობს მარინა?
5. სად არის სამზარეულო და სასადილო ოთახი?
6. რა არის სამზარეულოს გვერდით?
7. სად მდებარეობს საძინებლები?
8. რა იცით მარინას მამიდის შესახებ?
9. რამდენი ბიძაშვილი ჰყავს მარინას და სად ცხოვრობენ ისინი?
10. სად ცხოვრობენ მარინას ნათესავები?
11. რატომ მოსწონთ სტუმრებს მანგლისი?
12. ვინ ცხოვრობს რუსთავში?
13. რატომ არის მარინა ახლა თბილისში?
14. ვისი დაბადების დღეა?
15. სად არის დაბადების დღე?

| | |
|---|---|
| ის იცნობს ნინოს. | **მარინა კარგად იცნობს ნათიას მეგობრებს.** |
| ის ისვენებს მანგლისში. | **ზაფხულში ნათია ისვენებს მანგლისში.** |
| მას ახსოვს ის. | **ნინოს ახსოვს ნათიას დაბადების დღე.** |
| ის იხდის დაბადების დღეს. | **ნანა დაბადების დღეს რესტორანში იხდის.** |

**6** **წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ზმნა და ჩასვით წინადადებებში ნიმუშის მიხედვით:**

~~ისვენებს~~ იხდის მუშაობს თამაშობს სწავლობს (2X) ფიქრობს მოსწონს იცნობს უყვარს წერს ხატავს ცხოვრობს ახსოვს ჭამს სადილობს ლაპარაკობს

ნიმუში: ნათია ზამთარში ბაკურიანში ისვენებს.

1. ლაშას ძმა ფეხბურთს გერმანიაში ............................................ .
2. გიორგი დაბადების დღეს გუდაურში ............................................ .
3. ბაბუა ძალიან ბევრს ............................................ .
4. მარინას არ ............................................ თავისი ნათესავის მისამართი.
5. ნათიას მამიდაშვილი მათემატიკას ძალიან კარგად ............................................ .
6. ნანას მამა უნივერსიტეტში ............................................ .
7. ნატა ინგლისურ ენას ............................................ .
8. ნათიას დეიდას ............................................ ძველი თბილისი.
9. მარტინი ბევრ ქართველს ............................................ .
10. თორნიკე საღამოს მეგობრებთან ტელეფონით ხშირად ............................................ .
11. საბა საღამოს ფიზიკის სავარჯიშოებს ............................................ .
12. მთელი ოჯახი ერთად ............................................ სასადილო ოთახში.
13. ჯერემის ძალიან ............................................ საქართველო.
14. გიორგი ქუთაისში ............................................ თავის ოჯახთან ერთად.
15. ნია სამზარეულოშია და ხაჭაპურს ............................................ .



| დიდ-ი ოჯახ-ი<br>**დიდ ოჯახში** | პატარა ოჯახ-ი<br>**პატარა ოჯახში** |
|---|---|
| კარგი რესტორანი – კარგ რესტორანში | ფართო ფანჯარა – ფართო ფანჯარაში |
| მაღალი სახლი – მაღალ სახლში | მწვანე მანქანა – მწვანე მანქანაში |
| ლამაზი ოფისი – ლამაზ ოფისში | საინტერესო ქალაქი – საინტერესო ქალაქში |
| წითელი ჩანთა – წითელ ჩანთაში | |
| თბილი ოთახი – თბილ ოთახში | |
| წვიმიანი ამინდი – წვიმიან ამინდში | |
| მთაგორიანი ქვეყანა – მთაგორიან ქვეყანაში | |
| მშვენიერი ბინა – მშვენიერ ბინაში | |

**7** **ჩასვით ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ნინო (კარგი ბინა) კარგ ბინაში ცხოვრობს.

1. ნათიას დაბადების დღე (ქართული რესტორანი) ........................................... იყო.
2. ნია ოჯახთან ერთად (მაღალი სახლი) ........................................... ცხოვრობს.
3. გურამის ჩანთა არის (მწვანე მანქანა) ........................................... .
4. ბავშვებს მოსწონთ (მზიანი ამინდი) ............................. ზღვის სანაპიროზე სეირნობა.
5. ნანას (ყვითელი ჩანთა) ........................................... პასპორტი და ფულია.
6. ლილის ნათესავები (პატარა სოფელი) ........................................... ცხოვრობენ.
7. პაატას სახლი (ძველი უბანი) ........................................... აქვს, მეიდანზე.
8. ამ (საინტერესო პროგრამა) ................................... ბევრი ახალი ინფორმაცია იყო.
9. ამ (ნათელი ოთახი) ........................................... მამას კაბინეტია.
10. მე მომწონს (წვიმიანი ამინდი) ............................. სეირნობა ჩემს მეგობართან ერთად.

**8** **მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

**– მარინა, რა კარგია, რომ ........................... და ახლა ჩემთან ხარ.**

– ხო, ძალიან კარგია, ძალიან მომწონს შენი ........................................ და შენი ოთახი.

**– ჰო, მეც მიყვარს ჩემი ოთახი, ........................................... .**

– რამდენი ოთახი გაქვთ?

**– ოთხი ოთახი: ეს ..................... ოთახია, აქ ხშირად ვართ მთელი ოჯახი ტელევიზორთან. სამზარეულო პატარაა, მაგრამ კარგია. ერთი ................................................................. , ერთი – ჩემია და მესამე ........................................... . კაბინეტი არ გვაქვს.**

– თქვენი ოთახები დიდია და ნათელი. ძალიან მომწონს. ...................................დიდია.

**– ჰო, კარგი ბინაა. მეც მომწონს. გუშინ იყავი ნათიას ........................................... ?**

– ვიყავი და ძალიან კარგი დრო გავატარეთ.

**– შენი დეიდაშვილები და ........................................... ?**

– კი, ყველა იყო.

**– ნათიას მეგობრები?**

– ნათიას ათი მეგობარი იყო.

**– რესტორანი კარგია? ........................................... გემრიელი იყო საჭმელი?**

– მშვენიერი რესტორანია, ძალიან კარგი მუსიკაა. ................................ და დაბადების დღის კარგი პროგრამა აქვთ.

**– მართლა რა კარგია... ........................................... ჩემი დაბადების დღეა და იქ წავიდეთ. .............................. მანგლისიდან?**

– კი, კი ჩამოვალ. რესტორანიც ძალიან კარგია და შენს დაბადების დღეზეც კარგ ............ ................................... .

| | |
|---|---|
| ............................ + ის შემდეგ / მერე | სამი საათის შემდეგ<br>ოთხი დღის მერე<br>ორი კვირის შემდეგ<br>ხუთი თვის შემდეგ<br>ერთი წლის მერე<br>რვა წლის შემდეგ<br>შეხვედრის მერე<br>სეირნობის შემდეგ<br>უნივერსიტეტის მერე |
| ორი კვირის შემდეგ / მერე | |
| კონცერტის შემდეგ / მერე | |

**9** ჩასვით "შემდეგ" ან "მერე" ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: (სამი დღე) სამი დღის შემდეგ / მერე თბილისში ვიქნები.

1. (7 დღე) ............................................. უნივერსიტეტში კონფერენციაა.
2. ბათუმში მეგობრებთან ერთად (ოთხი კვირა) ........................................ ვიქნები.
3. (1 წელი) ............................................. აქ დიდი და ლამაზი პარკი იქნება.
4. (სამი კვირა) ............................................. პარლამენტში დიდი შეხვედრაა.
5. (2 საათი) ............................................. სტუმრები რესტორანში იქნებიან.
6. (ვახშმის) ............................................. ყოველთვის ვსეირნობ ბულვარში.
7. (3 თვე) ............................................. საქართველოში ბევრი ტურისტი იქნება.
8. (კონცერტი) ............................................. პირდაპირ სახლში მივდივარ.
9. (20 წუთი) ............................................. სახლში იქნები?
10. (სადილი) ............................................. მივდივარ კაბინეტში.

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. როგორია თქვენი ოჯახი?
2. სად ცხოვრობთ თქვენ და ვისთან ერთად?
3. როგორია თქვენი სახლი? რამდენსართულიანია?
4. გყავთ დეიდა ან მამიდა?
5. თქვენს ქვეყანაში ბევრია დიდი ოჯახი?
6. როდის არის თქვენი დაბადების დღე? თქვენი ოჯახის წევრების?
7. დაბადების დღეს სახლში იხდით თუ რესტორანში?
8. ხშირად მოდიან ნათესავები თქვენთან?
9. როგორ ატარებთ დროს შაბათ-კვირას? თქვენი ოჯახის წევრები?
10. სად ისვენებთ ზაფხულში – მთაში თუ ზღვაზე?
11. გყავთ ბიძა და ბიძაშვილები? რამდენი?
12. სად ცხოვრობენ თქვენი ნათესავები? როგორია მათი სახლები?

**11** დაწერეთ თქვენი ნათესავების შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:



ჩემი დიდი ოჯახი

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

## გაკვეთილის ფრაზები

შეხვედრა მაქვს სამზე
თბილისში საქმე მაქვს
ჩემი მამიდაშვილის დაბადების დღეა
მე ვიცნობ ნანას
ერთად ვიყავით ბათუმში
ბოლო ორი დღე
ჩვენთან ერთად
გახსოვს ნათია?
კარგად მახსოვს ნათია
მარინას ახსოვს ნათიას დაბადების დღე
მშვენიერი და კეთილი გოგოა
დაგირეკავ
კარგი, დამირეკე
ახლა დრო მაქვს
ერთად წავიდეთ

მე მანქანით ვარ
სოფელ მანგლისში
ლამაზ ქალაქში
ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს
სამზარეულოს გვერდით
ქვემოთ შემოსასვლელია
ზემოთ კიბით ადიხარ
ვართ მთელი ოჯახი ტელევიზორთან
არა უშავს
ძალიან კარგი დრო გავატარეთ
საჭმელი გემრიელია
მართლა...
ის დაბადების დღეს იხდის
დაბადების დღეზე კარგ დროს გავატარებთ

ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე

# აღმართი A2

## გაკვეთილი 4

### მოსმენა



მოკლე სატელეფონო საუბარისა და მოკითხვითი ხასიათის მარტივი დიალოგის დეტალური გაგება.

### კითხვა



მეგობრების, ნაცნობებისა და მათი ოჯახების შესახებ შექმნილი ისეთი ტექსტების წაკითხვა და დეტალურად გაგება, რომლებშიც გამოყენებულია შემსწავლელისთვის უკვე აქტიური ლექსიკა; წაკითხული ტექსტებიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრება და დახარისხება.

### ლაპარაკი



მარტივი გრამატიკული კონსტრუქციებისა და აქტიური ფრაზების გამოყენებით ნაცნობებზე, მათი ოჯახის წევრებზე, საქმიანობაზე ნელა და მკაფიოდ საუბარი.

### წერა



რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა; მოკლე დიალოგების შექმნა თემასთან დაკავშირებით; აქტიური ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზებისა გამოყენებით მცირე მარტივი ტექსტების შექმნა ოჯახისა და ნაცნობ-მეგობრების შესახებ; მარტივი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება.

რიგობითი რიცხვითი სახელები • ნაწილაკიანი ფორმები

# ჩვენი ნაცნობები

**1** **წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| დიასახლისი | გამხდარი | უმცროსი | წითური |
| პენსიონერი | მსუქანი | საყვარელი | ყოჩაღ! |
| უმუშევარი | წყნარი | გასათხოვარი | ქორწილი |
| პროფესორი | მხიარული | გათხოვილი | ხან...ხან |
| ინჟინერი | დაკავებული | ცოლიანი | ცნობილი |
| მასწავლებელი | მნიშვნელოვანი | უცოლო | იმუშავებს |
| ეკონომისტი | მდიდარი | საქმრო | ჰგავს |
| ჟურნალისტი | ღარიბი | საცოლე | სცალია |
| ფეხბურთელი | ძლიერი | შავგვრემანი | ქერა |
| ბანკირი | უფროსი | იწყებს – დაიწყებს – დაიწყო | |

**2** **წაიკითხეთ დიალოგი:**

## ძველი მეგობრები

**– გამარჯობა გურამ, აქ საიდან? ვაკეში ცხოვრობ?**
– გამარჯობა, თინა, როგორ ხარ? მე საბურთალოზე ვცხოვრობ, მაგრამ ვაკეში ვმუშაობ საპროექტო ინსტიტუტში. შენ აქ ცხოვრობ?
**– არა. ამ სახლში ახლა ჩემი ძმა ცხოვრობს და მასთან ვიყავი სტუმრად. რა კარგი დრო იყო, სკოლის პერიოდში მთელი ოჯახი აქ ვცხოვრობდით. ახლა მე სოლოლაკში ვცხოვრობ.**
– მართლაც კარგი დრო იყო. ჩვენ პატარები ვიყავით და ჩვენი მშობლები – ახალგაზრდები. შენი ძმა მაშინ პატარა იყო. ახლა, ალბათ, დიდი კაცია. ცოლ-შვილი ჰყავს?
**– კი, ცოლი და ერთი შვილი ჰყავს. დედაშენი და მამაშენი როგორ არიან?**
– არა უშავთ, კარგად. მთელი დღე შვილიშვილებთან ერთად არიან.
**– ჩემი მშობლებიც აღარ მუშაობენ, ორივე პენსიონერია.**
– შენი ძმა სად მუშაობს? როგორ არის? ისევ ისე მსუქანია?

**– არა, ახლა მაღალი და გამხდარი ბიჭია. ის ეკონომისტია და ბანკში მუშაობს.**
– ყოჩაღ! რა კარგია.
**– შენი უფროსი და როგორ არის? გათხოვილია?**
– კარგად არის. კი, გათხოვილია და უკვე პატარაც ჰყავს.
**– უმცროსი და?**
– უმცროსი და, ნინუცა, გასათხოვარია.
**– ძალიან ლამაზი გოგოა!**
– როდის მოხვალ ჩემთან სტუმრად?
**– შაბათ-კვირას დაგირეკავ. სამწუხაროდ, სხვა დღეებში არ მცალია.**
– კარგად.
**– ნახვამდის.**



**3** **დაწერეთ ინფორმაცია მათ შესახებ დიალოგის მიხედვით:**

გურამი

თინა

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია გურამ გეგეშიძის შესახებ:**

გურამ გეგეშიძე თბილისელია. მას დიდი ოჯახი აქვს. ცოლ-შვილთან ერთად საბურთალოზე ცხოვრობს. მისი ცოლია ნანა. ის სკოლაში ქართული ენის მასწავლებელია.

გურამს და ნანას სამი შვილი ჰყავთ: ორი ბიჭი და ერთი გოგო. დემეტრე და პაპუნა სკოლაში დადიან. დემეტრე მეხუთე კლასში სწავლობს, პაპუნა – მესამე კლასში. მათი და ელენე ორი წლისაა და ჯერ საბავშვო ბაღში არ დადის. ელენემ ცოტა ხნის წინ დაიწყო ლაპარაკი. ძალიან ლამაზი და მხიარული გოგოა. ის წითურია და დედას ჰგავს. დემეტრე და პაპუნა შავგვრემანი ბიჭები არიან. ისინი მამას ჰგვანან.

გურამი ცოლ-შვილით მშობლებთან ცხოვრობს. გურამის მამა უნივერსიტეტში მუშაობს. ის პროფესორია. დედა დიასახლისია. გურამს ორი და ჰყავს. უფროს დას სალომე ჰქვია, უმცროსს კი – ნინუცა.

უფროსი და, სალომე, გათხოვილია. მისი ქმარი გერმანელია. ისინი ახლა ჰამბურგში ცხოვრობენ. ჰანსი ბანკირია. ის მაღალი და ქერაა. ჰანსს ძალიან მოსწონს საქართველო და ოჯახთან ერთად ზაფხულში ხშირად არის საქართველოში. ჰანსი ქართულ ენას სწავლობს. მისი მასწავლებელი ნანაა. ზოგჯერ ჰანსს ნანასთან სკაიპით აქვს გაკვეთილი.

სალომეს და ჰანსს ერთი გოგონა ჰყავთ. მას ანა ჰქვია. ანა ათი წლისაა. ის ლამაზი, მსუქანი, ძალიან ჭკვიანი და საყვარელი ბავშვია. ის კარგად ლაპარაკობს ქართულად, გერმანულად და ინგლისურად. ზოგჯერ მამასთან ერთად კითხულობს ქართულ წიგნებს. ანას ძალიან უყვარს თავისი დეიდა. ნინუცასაც უყვარს ანა და ხშირად ლაპარაკობენ სკაიპით. ანა, ელენე, დემეტრე და პაპუნა ზაფხულში ერთად ისვენებენ. ამ დროს ბებია და ბაბუა ძალიან ბედნიერები არიან.

ნინუცას საქმრო ფეხბურთელია. ის ქუთაისის გუნდში თამაშობს ფეხბურთს. ისინი ივნისში დიდ ქორწილს იხდიან.

**5** უპასუხეთ კითხვებს:

1. საიდან არის გურამ გეგეშიძე და სად ცხოვრობს?
2. ვინ არიან მისი ოჯახის წევრები?
3. რამდენი წევრია გურამის ოჯახში?
4. ვინ არის გურამის ცოლი და სად მუშაობს?
5. რა იცით გურამის შვილების შესახებ?
6. როგორი გოგოა ელენე?
7. სად მუშაობენ გურამის მშობლები?
8. ვინ არის სალომე?
9. ვინ არის ჰანსი? რა იცით ჰანსის შესახებ?
10. ვინ სწავლობს ქართულს?
11. ვინ არის ანა და რამდენი წლისაა?
12. რამდენი ენა იცის ანამ?
13. ვინ არის ნინუცას საქმრო?
14. ვისი ქორწილია? როდის არის ქორწილი?

| | |
|---|---|
| ის ჰგავს დედას. | ელენე დედას ჰგავს. |
| ის იწყებს მუშაობას.<br>ის დაიწყებს მუშაობას.<br>მან დაიწყო მუშაობა. | ახლა ნათია იწყებს მუშაობას.<br>ზაფხულში ნათია სკოლაში დაიწყებს მუშაობას.<br>ნათიამ სკოლაში დაიწყო მუშაობა. |
| მას სცალია. | გურამს ახლა სცალია. |

**6** **წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ზმნა და ჩასვით წინადადებებში ნიმუშის მიხედვით:**

~~ჰგავს~~ სცალია დაიწყო ჰგავს იწყება ატარებს დარეკა გაატარა სეირნობს გაიცნო ისვენებს დარეკავს გაისეირნა იცნობს დაისვენებს რეკავს

ნიმუში: ნათია მამას ჰგავს.

1. ხვალ ჩემი დაბადების დღეა და თათია ალბათ .............................................. .
2. ნათია დედამისს ძალიან .............................................. .
3. მარინას კონცერტი ხვალ, რვა საათზე .............................................. .
4. გუშინ საღამოს ბაბუამ ძაღლთან ერთად .............................................. .
5. ლიკას დღეს საღამოს არ .............................................. .
6. ფეხბურთის თამაშის შემდეგ მთელი გუნდი .............................................. .
7. ახლა იტალიიდან დედაჩემი .............................................. .
8. ნანას მამამ გუშინ ინგლისიდან .............................................. .
9. გუშინ ფილმი ძალიან გვიან .............................................. .
10. ნათიას დეიდა ყოველ დილას ერთი საათი .............................................. .
11. ნიკამ ანა ბათუმის ბულვარში .............................................. .
12. ნატამ მთელი დღე სკოლაში .............................................. .
13. თორნიკე საღამოს მეგობრებთან ერთად .............................................. .
14. ჩემი მამიდაშვილი ძალიან კარგ დროს .............................................. ზღვაზე.
15. თორნიკე უნივერსიტეტში ყველას .............................................. .



ერთი → პირველი
ორი → მეორე
ოცდაორი → ოცდამეორე

| | | | |
|---|---|---|---|
| სამი | მესამე | ოცდათხუთმეტი | ოცდამეთხუთმეტე |
| ოთხი | მეოთხე | სამოცდაცხრა | სამოცდამეცხრე |
| რვა | მერვე | ასი | მეასე |
| ათი | მეათე | ას ოცდაექვსი | ას ოცდამეექვსე |
| ოცი | მეოცე | ათასი | მეათასე |
| ოცდახუთი | ოცდამეხუთე | ათას შვიდას ორმოცდაშვიდი | ათას შვიდას ორმოცდამეშვიდე |

**7** ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ნინო (ოთხი) მეოთხე კურსზე სწავლობს.

1. ყიფიანები (შვიდი) ........................................ სართულზე ცხოვრობენ.
2. თეატრში ხუთი ადგილი მაქვს (ოცდასამი) ........................................ რიგში.
3. თორნიკე ფეხბურთის გუნდში (ცამეტი) ..................................... ნომრით თამაშობს.
4. ეს ჩემი (ხუთი) ........................... ტელეფონია.
5. დღეს მე ბანკში (ათასი) ........................................ კლიენტი ვიყავი.
6. ეს არის თბილისის (ას ოცდაექვსი) ........................................ სკოლა.
7. ნიკამ სკოლაში (ერთი) ......................... ადგილი აიღო მათემატიკის ოლიმპიადაზე.
8. კაფე-ბარი სასტუმროს (ოცი) .................................. სართულზეა.
9. ეს ბიბლიოთეკის (ხუთი ათას ორმოცდაცხრამეტი) ...................................... წიგნია.
10. ჩემი მეგობრის ძმა (სამი) .................................. კლასში სწავლობს.

**8** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

**– ნინუცა, გამარჯობა.**

– გამარჯობათ, ვინ .................................. ?

**– მზია დეიდა ვარ.**

– მზია დეიდა, როგორ ბრძანდებით?

**– რა ვიცი, .................................. , ხან ავად ვარ, ხან – კარგად. შენ როგორ ხარ, ნინუცა? ისევ ისეთი გამხდარი და ..................................?**

– ლამაზი... რა ვიცი, მზია დეიდა, მაგრამ .................................. კი ვარ. თქვენი შვილი როგორ არის? .................................. ?

**– კი, ახლა მუშაობს. ინჟინერია, .................................. .**

– ცოლი ჰყავს?

**– არა, ცოლი .............................. , მაგრამ ერთი ლამაზი, ქერა გოგო მოსწონს, მისი საცოლეა. მეც .................................. , კარგი გოგოა. ერთად მუშაობენ სამინისტროში.**

– რა კარგია. მეც მყავს .................................. .

**– მართლა? ვინ არის?**

– ....................................... , ფეხბურთელი.

**– რა გვარია?**

– გიგა ნებიერიძე, ქუთაისის გუნდში ....................................... .

**– რა კარგია, რომ ....................................... , სასიამოვნო ამბავი ....................................... .**

**გილოცავ! ....................................... როდის გაქვთ?**

– ალბათ, ივნისში. მერე ესპანეთში წავალთ, ბარსელონაში დავისვენებთ.

**– კარგია, ....................................... . დედა სახლშია?**

– არა, მზია დეიდა, დედა არ არის სახლში.

**– კარგი, ჩემო ნინუცა, ....................................... .**



| | |
|---|---|
| ................................ + ვე | სამივე |
| ორივე | ოთხივე |
| ახლავე | რვავე |
| აქვე | ათივე |
| | ასივე |
| | იქვე |

**9** **ჩასვით ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: (სამი) სამივე თბილისში ცხოვრობს.

1. (შვიდი) ................................................ ფანქარი მაგიდაზეა.

2. ბათუმში ჩემი მეგობრის სახლთან (იქ) ................................................ არის დიდი ფოსტა.

3. (ცხრა) ................................................ სტუდენტი კარგად სწავლობს.

4. (ხუთი) ................................................ შვილი მამას ჰგავს.

5. (ორი) ................................................ ასისტენტი ოფისშია.

6. (სამი) ................................................ ოთახი დიდი და ნათელია.

7. (ოცი) ................................................ ბავშვს ახალი წიგნები აქვს.

8. (თორმეტი) ................................................ მასწავლებელი გაკვეთილზეა.

9. (ახლა) ................................................ მოვალ, ორი წუთი კიდევ მინდა.

10. (აქ) ................................................ ახლოს არის ჩემი სახლი.

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. გყავთ თბილისში ნაცნობები?
2. სად ცხოვრობენ ისინი?
3. მათ ოჯახები ჰყავთ?
4. ვინ არის თქვენი მასწავლებელი?
5. თქვენი ნაცნობებიდან:
   - ვინ არის დიასახლისი?
   - ვინ არის პენსიონერი?
   - ვინ როგორია? ვინ არის მსუქანი? ვინ არის გამხდარი?
   - ვინ არის შავგვრემანი? წითური? ქერა?
   - ვინ არის გათხოვილი და ვინ არის გასათხოვარი?
   - ვის ჰყავს საცოლე? ვის ჰყავს საქმრო?
   - ვინ არის მხიარული? წყნარი?
   - ვინ რა პროფესიისაა?

**11** დაწერეთ თქვენი ნაცნობების შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:



ჩემი ნაცნობები

**12** **წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:**

## გაკვეთილის ფრაზები

ახლა სტუმრად ვიყავი
რა დრო იყო
რა კარგი დრო იყო
სკოლის პერიოდში
როგორ არა
უმცროსი ძმა
უფროსი და
პენსიონრები არიან
ორივე მოხუცია
მაღალი და გამხდარია
ყოჩაღ!
რა კარგია
გათხოვილია
უკვე პატარა ჰყავთ
გასათხოვარია
დრო გაქვს?
ახლა დრო არ მაქვს

ჩემთან წავიდეთ!
სამწუხაროდ
არ მცალია
არა მიშავს
ხან კარგად ვარ, ხან ცუდად
ცოლი ჯერ არ ჰყავს
ბედნიერად
კარგი
ჩემო ნინუცა
მერე დავრეკავ
ცოტა ხნის წინ
დიდი ხნის წინ
მხიარული გოგოა
დედას ჰგავს
კარგად ლაპარაკობს
ლაპარაკობს ქართულად

# გაკვეთილი 5

## მოსმენა



ქალაქის (მაგ., თბილისის) აღწერასთან დაკავშირებით ნათლად გადმოცემული დიალოგებიდან ძირითადი ინფორმაციის გაგება.

## კითხვა



მარტივი ტექსტებიდან მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციის გაგება თბილისზე (შემოგარენი, ტურისტებისთვის საინტერესო ადგილები, ისტორიული ძეგლები).

## ლაპარაკი



მარტივ შეკითხვებზე პასუხების გაცემა; მარტივი ფრაზებით საკუთარი ქვეყნის დედაქალაქზე, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ისტორიულ მნიშვნელობასა და კულტურულ ძეგლებზე საუბარი.

## წერა



ხარისხის ფორმების წარმოება და მართლწერა; მარტივი წინადადებების გამოყენებით არაოფიციალური წერილის მიწერა მეგობრისთვის ძველი თბილისის შესახებ; ათვისებული მარტივი ფრაზებით ტექსტის შექმნა საკუთარი ქალაქის შესახებ სხვებისთვის მისი გაცნობის მიზნით.

ხარისხის ფორმები ● განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

# უცხოელი სტუმარი თბილისში

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | | |
|---|---|---|---|
| სასტუმრო | საკმარისი | დასასვენებელი | რამდენიმე |
| ციხე | იმედი | მიწა | სადმე |
| ეკლესია | აუცილებელი | ისტორიკოსი | რამე |
| გოგირდი | აუცილებლად | მოგზაური | ვინმე |
| სტილი | არქიტექტურა | იმედია | ჩანს |
| შესანიშნავი | მთავარი | შეხვედრამდე | ვნახოთ |
| აბანო | გამზირი | | |
| ბუნებრივი | შენობა | | |
| ცნობილი | მცენარე | | |
| მეტი | ჩანჩქერი | | |

რჩება – დარჩება – დარჩა

ჩამოდის – ჩამოვა – ჩამოდიოდა

კითხულობს – წაიკითხავს – წაიკითხა

ნახულობს – ნახავს – ნახა

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

## მეგობრები

**– ნიკ, როგორ ხარ?**

– კარგად, შენ?

**– მეც კარგად, აქ გაზაფხულია და მზიანი ამინდებია. თქვენთან რა არის ახალი?**

– ჩვენთან ჯერ ცივა, მაგრამ იცი, კარგი ახალი ამბავი მაქვს: ორ კვირაში საქართველოში ჩამოვდივარ დედასთან ერთად.

**– რა კარგია! სად იქნებით? სასტუმროში თუ რომელიმე ნათესავთან?**

– დედაჩემის ერთ-ერთი ნათესავის ოჯახში ვრჩებით.

**– სად ცხოვრობენ?**

– ძველ თბილისში, ხანძთელის ქუჩაზე, ნარიყალას ციხესთან.

**– მართლა? შესანიშნავი ადგილია. იქ ბევრ ეკლესიას ნახავ ერთად. იქაა სიონი, სინაგოგა, მეჩეთი, სომხური ეკლესია. ახლოსაა გოგირდის აბანო. იცი, იქ ბუნებრივი თბილი წყალია. თბილისი ცნობილია გოგირდის აბანოებით. ამიტომაც ჰქვია ჩვენს ქალაქს თბილისი.**

– კი, ვიცი. ინტერნეტში წავიკითხე ამის შესახებ.
**– რომ ჩამოხვალ, ერთად წავიდეთ და ვნახოთ საინტერესო ადგილები. რამდენ ხანს დარჩებით თბილისში?**
– ორი კვირა.
**– ყველაფერს ვერ ნახავ, ორი კვირა საკმარისი დრო არ არის, მაგრამ, იმედია, რომ კიდევ ჩამოხვალ.**
– აუცილებლად.
**– აბა, შეხვედრამდე.**

**3** **დიალოგის მიხედვით დაწერეთ ინფორმაცია მათი გეგმების შესახებ:**

ქართველი გოგო ___________________

___________________

___________________

___________________

___________________

ამერიკელი ბიჭი ___________________

___________________

___________________

___________________

___________________

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია თბილისის შესახებ შესახებ:**

თბილისში ბევრი ტურისტი ჩამოდის. მათ მოსწონთ თბილისის ძველი უბნები, ისტორიული ადგილები, ვიწრო ქუჩები, ხის სახლები ლამაზი აივნებით, ძველი ეკლესიები, ნარიყალას ციხე, მთაწმინდა...

რუსთაველის გამზირი თბილისის მთავარი ქუჩაა. ის ფართო და ლამაზია. აქაა ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის თეატრი, თბილისის პირველი გიმნაზია, ქაშვეთის ეკლესია, სასტუმრო „თბილისი"...

ყველაზე მაღალი ადგილი მთაწმინდაა. აქედან მთელი თბილისი ჩანს და ამიტომ ტურისტები ხშირად ადიან მთაწმინდაზე. თბილისის ცენტრიდან მთაწმინდის პლატომდე 7.5 კილომეტრია. იქ ადის სამანქანო გზა და ფუნიკულიორი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია. ის 501 მეტრია. ფუნიკულიორს აქვს სამი სადგური. შუა სადგურიდან შედიხართ პანთეონში. აქვე არის მამა დავითის ეკლესია. ფუნიკულიორის ბოლო სადგური მდებარეობს მთაწმინდის პლატოზე. იქ 1930 წლიდან დიდი პარკია. მთაწმინდის პარკი თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და საინტერესო ინფრასტრუქტურით თბილისის ერთ-ერთი მშვენიერი ადგილია. იგი კარგი დასასვენებელი პარკია. იქ სეირნობა და თამაში ბავშვებსაც უყვართ და დიდებსაც. პარკში ბევრი ატრაქციონია, არის კაფეები, ბარები, რესტორნები. იქ ხალხი სასიამოვნოდ ატარებს დროს.

თბილისში ორი ტბაა: კუს ტბა და ლისის ტბა. ორივე ტბა თბილისელების დასასვენებელი ადგილია. კუს ტბა ვაკეშია. იქ გაზაფხულიდან შემოდგომამდე ძალიან ბევრი თბილისელი ამოდის და მთელი დღე ისვენებს. ტბაზე ზოგი ნავით სეირნობს, ზოგიც ტბაში ცურავს. კუს ტბის გზაზეა ცნობილი ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც არის საქართველოს ყველა კუთხის ტრადიციული სახლები. ეს არის მუზეუმი „ღია ცის ქვეშ".

ასევე მოსწონთ თბილისელებს ლისის ტბა. ლისის ტბა საბურთალოზეა. აქაც ყოველთვის ბევრი ხალხია. ისინი სეირნობენ, ცურავენ და თევზაობენ. აქვე ახლოსაა ახალი იპოდრომი.

5 უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელია საქართველოს დედაქალაქი და როგორი ქალაქია?
2. რა მოსწონთ ტურისტებს თბილისში?
3. რომელია თბილისის მთავარი ქუჩა?
4. რა არის მთავარ ქუჩაზე?
5. საიდან ჩანს მთელი თბილისი კარგად?
6. რომელი ეკლესიაა მთაწმინდაზე?
7. რომელი ტბაა ვაკეში?
8. რას აკეთებს ხალხი კუს ტბაზე?
9. რომელი მუზეუმია კუს ტბის გზაზე? კიდევ რა ჰქვია ამ მუზეუმს?
10. რით არის ცნობილი ეს მუზეუმი?
11. სადაა ლისის ტბა?
12. რომელ ტბაზე თევზაობენ თბილისელები?

| | |
|---|---|
| ახლა ის რჩება.<br>ხვალ ის დარჩება.<br>გუშინ ის დარჩა. | **ნიკი თბილისში თავის ნათესავთან რჩება.** |
| ახლა ის კითხულობს.<br>ხვალ ის წაიკითხავს.<br>გუშინ მან წაიკითხა. | **ნიკი ინტერნეტში თბილისის შესახებ კითხულობს.** |
| ახლა ის ნახულობს ქალაქს.<br>ხვალ ის ნახავს ქალაქს.<br>გუშინ მან ნახა ქალაქი. | **ნიკი თბილისის ძველ უბანს ნახულობს.** |
| ახლა ის ჩამოდის.<br>ხვალ ის ჩამოვა.<br>გუშინ ის ჩამოვიდა. | **ნიკი დედასთან ერთად ჩამოდის თბილისში.** |

**6** **ჩასვით წინადადებებში ზმნა ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ნიკი ნათესავთან რჩება.

~~რჩება~~ ნახავს ნახავენ დარჩება ჩანს ჩამოვიდა წაიკითხავს ვნახავთ კითხულობს ჩამოდიხართ ჩანდა დარჩა ნახულობს ჩამოვა(2x) წაიკითხავენ

1. როდის ............................................ თქვენი სტუმარი საქართველოში?
2. ნათია დედამისის ნათესავებს აუცილებლად ............................................ .
3. ტურისტები ბოტანიკურ ბაღს დიდი სიამოვნებით ............................................ .
4. სტუმარი დღეს ჩემთან სახლში ............................................ .
5. ნარიყალას ციხიდან ძველი თბილისი კარგად ............................................ .
6. სააგენტოში ახალი ტურისტული ჯგუფი ............................................ იტალიიდან.
7. დედაჩემი ამ გაზეთებს საღამოს ............................................ .
8. ჩვენ ერთად ვისეირნებთ ძველ თბილისში და .................................... აბანოთუბანს.
9. ლაშა ოთახშია და ჟურნალს ............................................ .
10. ივლისში ...................................... თუ არა?
11. ნისლიან ამინდში მთაწმინდიდან ქალაქი კარგად არ ............................................ .
12. სალომე გუშინ ჩვენს ახალ სახლში ............................................ .
13. თორნიკე ახალ მეგობრებს ხშირად............................................ .
14. ჩემი დეიდაშვილი აგვისტოს დასაწყისში ბათუმში ...................................... .
15. ჩემი მეგობრები ახალ წიგნს ერთი კვირის შემდეგ ............................................ .

| | |
|---|---|
| ყველაზე ლამაზი | უ-ლამაზ-ეს-ი |
| ყველაზე მშვენიერი | უ-მშვენიერ-ეს-ი |
| ყველაზე დიდი | უ-დიდ-ეს-ი |
| ყველაზე ჭკვიანი | უ-ჭკვიან-ეს-ი |
| ყველაზე ძველი | უ-ძველ-ეს-ი |

| | |
|---|---|
| ყველაზე ღარიბი | უ-ღარიბ-ეს-ი |
| ყველაზე ახალი | უ-ახლ-ეს-ი |
| ყველაზე მდიდარი | უ-მდიდრ-ეს-ი |
| ყველაზე მაღალი | უ-მაღლ-ეს-ი |
| ყველაზე ძლიერი | უ-ძლიერ-ეს-ი |



**7** **ხარისხის ფორმა ჩასვით ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ეს არის (ყველაზე ძველი) უძველესი უნივერსიტეტი ჩვენს ქვეყანაში.

1. იმ დროს მერი შერვაშიძე (ყველაზე ლამაზი) .............................. ქალი იყო ქუთაისში.
2. თბილისი საქართველოს (ყველაზე დიდი) ............................................... ქალაქია.
3. ეს არის ჩვენთვის (ყველაზე ახალი) ........................................... ინფორმაცია.
4. ჩემთვის ხაჭაპური (ყველაზე გემრიელი) ............................... ქართული საჭმელია.
5. ოპერისა და ბალეტის თეატრი თბილისის (ყველაზე მშვენიერი) .................................. ............................. არქიტექტურული ძეგლია.
6. დავით გამრეკელი სამინისტროს (ყველაზე ჭკვიანი) ................................ ეკონომისტია.
7. ანტარქტიდა მცენარეებით (ყველაზე ღარიბი) .................................. კონტინენტია.
8. ამ ტელევიზიაში (ყველაზე ძლიერი) .................................. ჟურნალისტები მუშაობენ.
9. ის არის (ყველაზე მდიდარი) ...................................... ოჯახი. მათ შვიდი შვილი ჰყავთ.
10. ზაფხულში ზღვა (ძალიან თბილი) ....................................... არის.

**8** **მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:**

**– ნიკ, როგორ ხარ დღეს?**
– ისე რა.
**– რატომ?..............................................?**
– ბოტანიკურ ბაღში ჩემს ნათესავებთან ერთად ხუთი ............................................... .
**– ............................................. ბოტანიკური ბაღი?**
– ძალიან, ყველაზე მეტად ჩანჩქერი ............................................... .
**– ნარიყალას ციხეზე იყავი?**
– კი, გუშინ ჯერ ძველ თბილისში ვიყავით და მერე – ნარიყალას ციხეზე. იქვე ................. .................................. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაც.

– ჩვენ .................................................. ?

– ძველი თბილისი უკვე ვნახე. სადმე წავიდეთ .................................................. .

– **კარგი, მაშინ .................................................. კუს ტბაზე წავიდეთ და ზეგ – ლისის ტბაზე.**

– სად არის ეს ტბები?

– **კუს ტბა ვაკეშია, ძალიან ლამაზი ადგილია, .............................................. თბილისელები იქ ხშირად .................................................. , დილიდან წავიდეთ, იქ ...................................... კაფეში, ............................ ნავით, .................................. , იქვე .......................... რესტორანში, მუსიკას ...................................... . მოკლედ, ...................................... და ............................. .**

– ძალიან კარგი, აუცილებლად წავიდეთ. კუს ტბასთან ახლოს არის კიდევ რამე საინტერესო?

– **კი, ეთნოგრაფიული მუზეუმია – .................................................. „ღია ცის ქვეშ“. ეს ............. .......................................... ძალიან საინტერესოა.**

– რა არის იქ?

– **საქართველოს ......................................... არის ძველი ქართული სტილის ხის სახლები დიდი ეზოებით. აქ ყველაფერი ................................................ .**

– ძალიან მინდა ვნახო.

– **კარგი, ............................................. .**

– ალბათ, კარგი და საინტერესო .................................................. .

– **იმედია, ხვალამდე.**

– ნახვამდის.



................................ **+ მე**

| | | |
|---|---|---|
| ვინ | → | **ვინმე** |
| რა | → | **რამე** |
| რამდენი | → | **რამდენიმე** |
| სად | → | **სადმე** |
| როგორ | → | **როგორმე** |
| რომელი | → | **რომელიმე** |
| რამდენჯერ | → | **რამდენჯერმე** |

ვინმე არის ოთახში?
რამე გინდათ?
რამდენიმე ვაშლი მინდა.
სადმე წავალთ?
როგორმე დამირეკე!
რომელიმე კომპიუტერი მუშაობს?
ლონდონში რამდენჯერმე ვიყავი.



## 9 ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

~~რამე~~ ვინმე(2x) რამდენიმე(2x) სადმე როგორმე რომელიმე რამდენჯერმე(2x) რამე

ნიმუში: არის (რა) რამე ახალი?

1. ალბათ, სახლში ............................................. იქნება.
2. ჩემთან ............................................. უკრაინელი სტუმარი დარჩა ოთხი დღით.
3. ორ საათზე ტურისტები ........................................... ქართულ რესტორანში იქნებიან.
4. ............................................. მოდით, ჩვენს სააგენტოში, ლადო ასათიანის ქუჩაზეა.
5. თქვენი უნივერსიტეტის ...................................... სტუდენტი გააკეთებს პრეზენტაციას ქართული ენის შესახებ?
6. გუშინ, საღამოს, ..................................... დავრეკე თქვენთან და სახლში არ იყავით.
7. ............................................. საჭმელი არ გაქვთ?
8. ბათუმში დასვენების დროს ............................................. ვიყავით ბოტანიკურ ბაღში.
9. სანაპიროზე ............................................. იქნება კაფე-რესტორანი.
10. საღამოს ......................................... აუცილებლად დარეკავს სოფლიდან.

## 10 უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. რომელია თქვენი ქვეყნის დედაქალაქი?
2. თქვენ დედაქალაქში ცხოვრობთ?
3. თქვენი ქალაქი ძველია?
4. რამდენი წლის / საუკუნის არის ეს ქალაქი?
5. როგორია თქვენი ქალაქის ცენტრი?
6. ბევრი ტურისტი ჩამოდის თქვენს ქალაქში?
7. რა მუზეუმებია თქვენს ქალაქში? რით არის საინტერესო?
8. მთაგორიანია თქვენი ქალაქი?
9. რომელი მდინარეა თქვენს ქალაქში?
10. არის ტბები თქვენს ქალაქში ან ქალაქთან ახლოს?
11. რა ისტორიული ძეგლებია თქვენს ქალაქში?
12. როგორ ფიქრობთ, რომელია თქვენი ქალაქის ყველაზე საინტერესო ადგილი?

**11** დაწერეთ თქვენი ქალაქის შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:

ჩემი ქალაქი

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

გაკვეთილის ფრაზები

რა არის ახალი?
სად წავიდეთ?
კიდევ რა არის ახლოს?
ვისთან რჩებით?
რამდენ ხანს დარჩებით?
ახლოსაა / შორსაა
ორ კვირაში
ჩამოვდივარ დედასთან ერთად
ნათესავთან დავრჩებით
ნარიყალას ციხესთან
ტბის ირგვლივ
შესანიშნავი ადგილია
ცნობილია აბანოებით
წავიკითხე ამის შესახებ
კიდევ წავიკითხავ
ევროპული სტილი
ერთ-ერთი ცნობილი
მიხარია, რომ მოვდივარ
საკმარისი დრო
ზამთარ-ზაფხულ
გაზაფხულიდან შემოდგომამდე
ათას ხუთასზე მეტი წლისაა
ისტორიული ქალაქია, ძეგლებია
მდინარეზე რამდენიმე ხიდია
ხის სახლები ლამაზი აივნებით
ადიან მთაწმინდაზე
უკვე ვნახე
სადმე წავიდეთ
ტბის ნაპირზეა კაფე
ყველაფერი ტრადიციული და ქართულია
ამიტომაც ჰქვია
გემრიელი საჭმელია
ვერ ნახავ
რა კარგია!
იმედია
დიდი სიამოვნებით
ძალიან მინდა ვნახო
შეხვედრამდე
ხვალამდე
აუცილებლად უნდა ვნახო
აუცილებლად ჩამოვალ
აუცილებლად წავიდეთ

# გაკვეთილი 6

## მოსმენა



საზარეულოს ნივთების აღმნიშვნელი სიტყვების მოსმენა და გამეორება მათი დამახსოვრების მიზნით; შედარებით სწრაფად წარმოთქმული მარტივი დიალოგის გაგება საყიდლების შესახებ.

## კითხვა



ყოველდღიურ თემაზე (მაგ., ოჯახის დილის განრიგი) მცირე და მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის გაგება; ყოველდღიური ურთიერთობის ტექსტებში კონკრეტული ინფორმაციის გაგება.

## ლაპარაკი



არასაბაზისო ლექსიკის გამოყენებით საკუთარი დღის განრიგზე, ინტერესებსა და ცხოვრების სტილზე საუბარი; ტექსტში წაკითხულ ინფორმაციაზე დეტალურად საუბარი.

## წერა



აქტიური ლექსიკის გამოყენებით ტექსტის შექმნა ყოველდღიურ ცხოვრებაზე (მაგ., ჩემი ერთი დღე) სხვებისთვის გასაცნობად; გარკვეული პირადი ინფორმაციის შემცველი ტექსტის შექმნა; მარტივი სინტაქსური კონსტუქციებისა და შედარებითი ხარისხების გამოყენებით რაიმე მოვლენის წერილობითი აღწერა (რა, სად, როდის მოხდა).

შედარებითი ხარისხი

# ჩემი ერთი დღე

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჭიქა | სკამი | უმარილო | სწრაფი | იბანს |
| თეფში | ღია | ტკბილი | სწრაფად | იღებს შხაპს |
| ჩანგალი | მუქი | ღუმელი | წელი | ამზადებ |
| დანა | მოხარშული | კარადა | ცხარე | ნელა |
| სუფრა | შემწვარი | სუფთა | მჟავე | |
| კოვზი | გამომცხვარი | ჭუჭყიანი | მზად ვარ | |
| ჩაიდანი | გამზადებული | პირსახოცი | საერთოდ | |
| ქვაბი | საცურაო აუზი | ხელსახოცი | დგება | |
| ტაფა | უგემური | საყიდლებზე | იღვიძებს | |
| მაგიდა | უშაქრო | სამსახურში | იხეხავს | |

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

## დილა სამზარეულოში



**– დილა მშვიდობისა, დედა. რომელი საათია?**

– უი, ნინი, უკვე გაიღვიძე? რვა საათია. ასე ადრე რატომ გაიღვიძე?

**– დღეს სამშაბათია და უნივერსიტეტში პირველი ლექცია მაქვს. ახლა აბაზანაში შევალ, შხაპს მივიღებ და მალე გამოვალ. მერე ყავას დავლევ და წავალ.**

– ნახე, პირსახოცი სუფთაა თუ ჭუჭყიანი. სუფთა პირსახოცები კარადაშია. ყავა ხუთ წუთში მზად იქნება. მეც დავლევ ყავას შენთან ერთად.

**– კარგია, ერთად ვისაუზმოთ. დედა, დღეს ყავა შაქრიანი გინდა თუ უშაქრო?**

– ერთი კოვზი შაქრით მინდა.

**– სად არის შაქარი? კარადაში ვერ ვნახე.**

– აქ არის, მაგიდაზეა. თეფშები და ჩაის კოვზებიც აქ არის. ნინი, ნამცხვარი გვაქვს, ახალი გამომცხვარია, ამ დილას მოვამზადე, ჯერ თბილია, ღუმელშია.
**– რა კარგია, ჩანგლებს მოვიტან.**
– მე არ მინდა, კოვზით შევჭამ.
**– აი, ყავა და ხელსახოცები. დედა, რა გემრიელი ნამცხვარია!**
– კარგია, რომ მოგწონს. ნინი, დღეს რამდენი ლექცია გაქვს? როდის იქნები თავისუფალი? მინდა ერთად წავიდეთ მაღაზიებში საყიდლებზე.
**– რისი ყიდვა გინდა?**
– საჩუქრის ყიდვა მინდა ნათიას დაბადების დღისთვის.
**– ორ საათამდე ლექციები მაქვს, მერე თავისუფალი ვარ და დაგირეკავ. ჩაიდანში ცხელი წყალი კიდევ არის?**
– კი, არის ორივესთვის. მეც მინდა კიდევ ერთი ჭიქა ყავა, კიდევ დავლევ.
**– ხუთ წუთში წავალ. შენც წამოხვალ? ერთად გავიდეთ?**
– კი, კი, მეც სამსახურში მივდივარ, ერთად წავიდეთ.



**3** **დიალოგის მიხედვით დაწერეთ ინფორმაცია ნინის და მისი დედის დღის განრიგისა და გეგმების შესახებ:**

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და ამოწერეთ ინფორმაცია ნინის შესახებ:**

მე ნინი ვარ. მე და დედა ერთად ვცხოვრობთ. მამა უკვე შვიდი წელია არ ცხოვრობს ჩვენთან ერთად. მას ცალკე ოჯახი აქვს. ჩვენ თარხნიშვილზე ვცხოვრობთ, ოროთახიან ბინაში. მე ძალიან მიყვარს ჩემი სახლი. მე და დედა მეგობრები ვართ. დედას კარგი სამსახური აქვს, კულტურის სამინისტროში მუშაობს. ხშირად დილას სახლიდან ერთად გავდივართ. ის სამსახურში მიდის, მე – უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტში ბევრი მეგობარი მყავს. მე ძალიან მიყვარს მათთან ერთად უნივერსიტეტის ეზოში საუბარი. შესვენებაზე ხშირად შევდივართ კაფეში, ხან ყავას ან ჩაის ვსვამთ, ხან ხაჭაპურს ან ლობიანს ვჭამთ. უნივერსიტეტის კაფეში ყველაფერი გემრიელია.ლექციების შემდეგ ჩავდივართ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა პირველ სართულზეა, ლექციები კი მეორე და მესამე სართულებზე გვაქვს. ჩვენი ბიბლიოთეკა დიდია, იქ ბევრი წიგნია. ბიბლიოთეკა ორსართულიანია. ზემოთ კომპიუტერებია, ქვემოთ კი – მაგიდები და წიგნები. ზოგჯერ კომპიუტერების ოთახში ავდივართ და იქ ინტერნეტში ვმუშაობთ, ზოგჯერ კი ქვემოთ ჩავდივართ, ბიბლიოთეკის პირველ სართულზე კარგი მაგიდები და სკამებია.

უნივერსიტეტის შემდეგ მეგობრებთან ერთად მივდივარ ცეკვაზე ან ცურვაზე. ცეკვა ძალიან მიყვარს, უფრო მეტად – ქართული. მართალია, უნივერსიტეტში ვსწავლობ, მაგრამ ცეკვაზე ისევ დავდივარ. ადრე სტუდია აღმაშენებელზე იყო, ახლა ვაკეში გადავიდა, უნივერსიტეტთან ახლოს. ეს ჩემთვის ძალიან კარგია. ლექციების შემდეგ სამშაბათს და პარასკევს უნივერსიტეტიდან სწრაფად გავდივარ, ქუჩის მეორე მხარეს მიწისქვეშა გადასასვლელით გადავდივარ და ორ წუთში უკვე სტუდიაში ვარ. ცურვაზე სხვა დღეებში დავდივარ, ცოტა შორსაა, მაგრამ კარგი აუზია. ცურვაზე დედაც დადის, მაგრამ ჩემთან ერთად – არა. ის შესვენებაზე გადის სამსახურიდან და მანქანით მიდის საცურაო აუზზე.

მე და დედას ძალიან გვიყვარს ხელოვნება და ხშირად დავდივართ გამოფენაზე, კონცერტზე, სპექტაკლზე და ხელოვნების კლუბში შეხვედრებზე. ჩვენ ერთად კარგად, საინტერესოდ და ბედნიერად ვცხოვრობთ.

თარხნიშვილზე = თარხნიშვილის ქუჩაზე
აღმაშენებელზე = აღმაშენებლის გამზირზე

**5** **უპასუხეთ კითხვებს:**

1. ვისთან ერთად ცხოვრობს ნინი?
2. სად არის ნინის მამა?
3. სად ცხოვრობს და სად მუშაობს ნინის დედა?
4. სად სწავლობს ნინი და რას აკეთებს შესვენების დროს?
5. სად ჩადიან სტუდენტები ლექციების შემდეგ?
6. სად არის ბიბლიოთეკა და რამდენსართულიანია?
7. რა არის ბიბლიოთეკის მეორე და პირველ სართულებზე?
8. რა არის ნინის ჰობი?
9. როდის დადის ცეკვაზე და სად?

10. როდის დადიან ნინი და დედამისი ცურვაზე?
11. რა მოსწონთ მათ? სად დადიან ხშირად?
12. როგორია მათი ცხოვრება?



| | |
|---|---|
| ახლა ის დგება.<br>ხვალ ის ადგება.<br>გუშინ ის ადგა. | **ნინი ახლა დგება.**<br>**ნინი ხვალ ადრე ადგება.**<br>**გუშინ ნინი ადრე ადგა.** |
| ახლა ის იღვიძებს.<br>ხვალ ის გაიღვიძებს.<br>გუშინ მან გაიღვიძა. | **დათო ახლა იღვიძებს.**<br>**დათო ხვალ რვა საათზე გაიღვიძებს.**<br>**გუშინ დათომ რვა საათზე გაიღვიძა.** |
| ახლა ის სადილს ამზადებს.<br>ხვალ ის სადილს მოამზადებს.<br>გუშინ მან სადილი მოამზადა. | **ახლა ეთერი სადილს ამზადებს.**<br>**ხვალ ეთერი სადილს მოამზადებს.**<br>**გუშინ ეთერმა სადილი მოამზადა.** |

**6** **წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ ზმნა და ჩასვით წინადადებებში ნიმუშის მიხედვით:**

~~დგება~~ იღვიძებს გავიღვიძებთ მოამზადებენ გაიღვიძებენ ამზადებს ადგებიან ადგა დგებით იღვიძებს გაიღვიძა მოამზადებს მოვამზადებთ მოამზადა გაიღვიძებს ადგება

ნიმუში: დილას ნიკი ადრე დგება.

1. როდის ............................................ თქვენი მეზობელი დილით?
2. ზეგ დედამისი და ბებიამისი გემრიელ საჭმელს ............................................ .
3. იმედია, ტურისტები მალე ............................................ .
4. ჩემი სტუმარი ცოტა ხანში ............................................ .
5. ნათია რვა საათზე ............................................ და ლექციებზე მიდის.
6. პატარა ანამ უკვე ............................................ ?
7. ხვალისთვის დედაჩემი ყველაფერს ............................................ .
8. ჩვენ ადრე ...................................... , შვიდ საათზე აეროპორტში მივდივართ.
9. სადილს მალე ............................................ და საღამოს თეატრში ერთად წავიდეთ.
10. თქვენი ცოლი გემრიელ სადილს ....................................... .
11. თქვენ რომელ საათზე ............................................ ?
12. სალომემ სკოლისთვის ჩანთა გუშინ საღმოს ............................................ .
13. თორნიკე გვიან ............................................ და სკოლაში არ წავიდა.
14. ჩემი დეიდაშვილი ალბათ მალე ....................................... .
15. ბავშვები ............................................ და მერე სათამაშოდ წავლენ ეზოში.

**7** წაიკითხეთ სიტყვები და მიუწერეთ შესაბამის სურათს:

ღუმელი

კარადა

ტაფა

ჭიქა

კოვზი

ჩანგალი

დანა

ქვაბი

სკამი

თეფში

ჩაიდანი

მაგიდა







1. ______________________

2. ______________________





3. ______________________

6. ______________________

4. ______________________





5. ______________________





7. ______________________

8. ______________________



9. ______________________





10. ______________________

11. ______________________

12. ______________________



გიორგი უფრო მაღალია, ვიდრე ნიკა.

გიორგი ნიკაზე მაღალია.



**8** ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: დიდი – თბილისი – ბათუმი

- თბილისი ბათუმზე დიდი ქალაქია.
- თბილისი უფრო დიდი ქალაქია, ვიდრე ბათუმი.

| | | | |
|---|---|---|---|
| უფრო ლამაზია, ვიდრე | უფრო ძველი<br>უფრო ჭკვიანი<br>უფრო მშვენიერი | უფრო ახალი<br>უფრო ღარიბი<br>უფრო გემრიელი | უფრო მაღალი<br>უფრო მდიდარი<br>უფრო ძლიერი |

1. ლამაზი – ბაღი – ეზო
- 
- 

2. ძველი – მცხეთა – თბილისი
- 
- 

3. ახალი – შავი მანქანა – თეთრი მანქანა
- 
- 

4. მაღალი – ძმა – და
- 
- 

5. გემრიელი – ხაჭაპური – პური
- 
- 

6. საინტერესო – ფილმი – წიგნი
- 
- 

7. ჭკვიანი – მეცნიერი – არქიტექტორი
- 
- 

8. ახალი – კაბა – ფეხსაცმელი
- ________________________________
- ________________________________

9. ძლიერი – ნოდარი – თენგიზი
- ________________________________
- ________________________________

10. მდიდარი – ბანკი – საფინანსო ფონდი
- ________________________________
- ________________________________

**9** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

**– დედა, ნათია ............................................. ახალ სახლში?**

– უკვე ერთი თვეა. დაბადების დღეს ............................................. .

**– მართლა? ............................................. ახალი სახლისთვის გვინდა, არა?**

– ჰო, ალბათ, ............................................. ეს იქნება.

**– სამზარეულოსთვის ვიყიდოთ რამე.**

– ვიყიდოთ, კარგი ............................................. .

**– ან ლამაზი თეფშები, ან კარგი ქვაბი, ............................................. , ან ჩაიდანი...**

– ............................................. ... რა იქნება უფრო ლამაზი და კარგი.

**– ეს ქვაბი მოგწონს?**

– ისე რა. რა ფერისაა ნათიას ............................................. ?

**– ზუსტად არ ვიცი. საერთოდ ღია ფერები მოსწონს. ადრე ჩვენ ელენესთვის ვიყიდეთ ეს ............................................. და ნათიას ძალიან მოეწონა.**

– სხვა მაღაზიაში ვნახოთ, აქ მერეც მოვალთ და ............................................. , ახლა ............................................. ვნახოთ...

**– ეს მუქი ფერებია და არ მომწონს. ............................................. არ მინდა, რომ ვიყიდოთ არ არის ლამაზი.**

– ეს წითელი ჩაიდანი არ მოგწონს? ............................................. წითელია, კარგია.

**– პატარა ჩაიდანია, არა?**

– დიდი ჩაიდანი არც უნდათ. ცოლ-ქმარი ............................................. .

**– მართალი ხარ, ............................................. ეს წითელი ჩაიდანი. ის ჭიქები მოგწონს?**

– კი, კარგია, ყავისთვის და ჩაისთვის.

**– ვიყიდოთ, ............................................. .**

– კარგი.

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. თქვენ რომელ საათზე დგებით სამუშაო დღეებში?
2. შაბათ-კვირას როდის დგებით?
3. დილას ყოველთვის ადრე იღვიძებთ?
4. ყოველთვის საუზმობთ? რომელ საათზე საუზმობთ?
5. რომელ საათზე გადიხართ სახლიდან სამუშაო დღეებში?
6. სამსახურის მერე სად მიდიხართ?
7. სად დადიხართ მეგობრებთან ერთად?
8. სპორტზე დადიხართ? სტუდიაში?
9. რომელ საათზე გაქვთ შესვენება და რას აკეთებთ შესვენებაზე?
10. გიყვართ ხელოვნება? დადიხართ გამოფენებზე?
11. რა არის თქვენი ჰობი?
12. მოგწონთ თქვენი ცხოვრების სტილი?

**11** დაწერეთ თქვენი ერთი დღის შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:

ᲩᲔᲛᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

## გაკვეთილის ფრაზები

რომელი საათია?
უკვე გაიღვიძე?
რომელ საათზე ხარ თავისუფალი?
ჩემთან ერთად საყიდლებზე მოდიხარ თუ არა?
როდის ხარ თავისუფალი?
წავიდეთ მაღაზიებში საყიდლებზე?
რისი ყიდვა გინდა?
გუშინ გვიან დაიძინე
ადექი
უკვე გავიღვიძე
მინდა ერთად წავიდეთ
დაბადების დღისთვის საჩუქრის ყიდვა მინდა
მზად იქნება / მზად არის
ხუთ წუთში
კიდევ არის / მინდა / დავლევ
ერთი ცალი მინდა
ხუთ წუთში მივდივარ
ერთად გავდივართ / წავიდეთ
თარხნიშვილზე ვცხოვრობთ
სტუდია აღმაშენებელზეა
ოროთახიან ბინაში
ყოველთვის ერთად ვართ
ყველგან ერთად დავდივართ
ყველაფერი გემრიელია
ზოგჯერ ზემოთ ავდივართ,
ზოგჯერ კი ქვემოთ ჩავდივართ
მივდივარ ცეკვაზე / ცურვაზე /
სპექტაკლზე / აუზზე / შესვენებაზე /
კონცერტზე / გამოფენაზე / შეხვედრაზე
ვიყიდოთ რამე
კარგი აზრია
ან ლამაზი თეფშები, ან კარგი ქვაბი
ზუსტად არ ვიცი
მართალი ხარ
ვნახოთ
აი, აიღე
ისე რა
მშვენიერი საჩუქარია

## შეამოწმე შენი ცოდნა

# რა ვისწავლეთ და რა შეგვიძლია

**1** დააკვირდით ფოტოებს და გაიხსენეთ, რა იცით მათ შესახებ:

































**2** შეადარეთ ორი ინფორმაცია და ისაუბრეთ მათ მსგავსება-განსხვავებებზე:

## ლისის ტბა

- ტბა თბილისში, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით
- ფართობი – 16 კმ.$^2$
- სიღრმე – 4 მ.
- გაზაფხულზე წყლის მაღალი დონეა
- ზაფხულში წყალი თბილია
- მაქსიმალური ტემპერატურა – 28 °C.
- ზამთრობით ტბაზე ჩნდება ყინული
- წყალი მლაშეა
- ტბაში მოშენებულია თევზი
- ტბა და მისი მიდამოები კეთილმოწყობილია
- თბილისელთა დასასვენებელი ადგილია



## კუს ტბა

- ტბა თბილისში, მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთით
- ფართობი – 0.4 კმ.$^2$
- სიღრმე – 2.6 მ.
- ტბის სიგრძე – 180 მ.
- სიგანე – 50 მ.
- ტბაში ჩადის ვარაზისხევის წყალი
- თევზით ღარიბია
- კუს ტბა და მისი მიდამოები კეთილმოწყობილია
- იმართება სპორტული ღონისძიებები
- თბილისელთა დასასვენებელი ადგილია



**3** წაიკითხეთ და აღნიშნეთ (√ ):

| | საშუალო | კარგი | საუკეთესო |
|---|---|---|---|
| როგორი ადამიანი ხართ? | | √ | |
| 1. როგორი მეგობარი ხართ? | | | |
| 2. როგორი სტუდენტი ხართ? | | | |
| 3. როგორი მოგზაური ხართ? | | | |
| 4. სკაიპის როგორი მომხმარებელი ხართ? | | | |
| 5. როგორი შვილი ხართ? | | | |
| 6. როგორი დიასახლისი ხართ? | | | |
| 7. როგორი მზარეული ხართ? | | | |
| 8. როგორი სპორტსმენი ხართ? | | | |
| 9. როგორი მძღოლი ხართ? | | | |
| 10. როგორი გურმანი ხართ? | | | |

**4** **წაიკითხეთ ტექსტი, გახაზეთ თქვენთვის უცნობი სიტყვები და მოძებნეთ ლექსიკონში:**

## ვანო და ნიკო და სიცილი

ერთხელ ნიკო იჯდა და იცინოდა. იცინოდა ნიკო და იცინოდა.
იცინოდა ნიკო უზმოზე. იცინოდა ნიკო შუადღეზე. საღამოსაც იცინოდა ნიკო. ღამით ხომ სულ კვდებოდა სიცილით.
ვანო უცქერდა და უკვირდა. ნიკო იცინოდა.
ვანო უცქერდა და აღარ უკვირდა.
ნიკო მაინც იცინოდა.
ვანომ ირგვლივ მიმოიხედა და გაიფიქრა: „რა აცინებს ნიკოს?“
– ნიკო, ეს არის მაგიდა.
ნიკო იცინოდა.
ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს მაგიდა აცინებდა და მაგიდა გარეთ გაიტანა.
ნიკო მაინც იცინოდა.
– ნიკო, ეს არის კარადა.
ნიკო იცინოდა.
ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს კარადა აცინებდა და კარადა გარეთ გაიტანა.
ნიკო მაინც იცინოდა.
– ნიკო, ეს არის საწოლი.
ნიკო იცინოდა.
ვანოს გაუხარდა, რომ ნიკოს საწოლი აცინებდა და საწოლი გარეთ გაიტანა.
ნიკო მაინც იცინოდა.
– ნიკო, ეს არის ცარიელი ოთახი, – და ვანომ ნიკოს ცარიელი ოთახი აჩვენა.
ნიკო იცინოდა.
ვანომ ცარიელი ოთახი გარეთ გაიტანა.
ნიკო კინაღამ მოკვდა სიცილით.
გაბრაზდა ვანო. გავარდა გარეთ, მუხლებზე დაეცა და თქვა:
– ნიკო! ეს არის მზე, ეს ჩრდილებია.
ნიკოს უნდოდა გაეცინა.
– ნიკო! ეს არის საღამო, ეს ღრუბლებია.
ნიკოს უნდოდა გაეცინა.
– ნიკო! ეს არის ცა, ეს ვარსკვლავებია.
ნიკოს უნდოდა გაეცინა.
– ნიკო! ეს არის დარდი, ეს ცრემლებია.
ნიკოს უნდოდა გაეცინა.
– ეს არის სიცოცხლე, ხოლო ეს — ბედნიერება, ნიკო!
ნიკოს უნდოდა გაეცინა, მაგრამ მწარედ ატირდა.
იმ დღის შემდეგ ნიკო ხან იცინოდა და ხან ტიროდა.

ერლომ ახვლედიანი

**5** **კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მე-4 დავალების ტექსტი და აღნიშნეთ სწორი (√) და არასწორი (x) ინფორმაცია:**

1. ერთხელ ნიკო იჯდა და დიდხანს ტიროდა. ........ ☐
2. ვანომ მაგიდა ოთახში შეიტანა. ........ ☐
3. ვანომ კარადა გარეთ გაიტანა. ........ ☐
4. ვანომ ნიკოს სავსე ოთახი აჩვენა. ........ ☐
5. გაბრაზდა ვანო. გავარდა გარეთ, მუხლებზე დაეცა. ........ ☐
6. იყო ცა და ცაზე იყო ვარსკვლავები. ........ ☐
7. იმ დღის შემდეგ ნიკო ყოველთვის იცინოდა. ........ ☐

## 6 წაიკითხეთ და უპასუხეთ წერილებს:




1




2




3




4

## 7 როგორი მეგობარი ხართ?

1. დიდ დროს ატარებთ მეგობრებთან?

• კი • არა • არც ისე

2. ხშირად რეკავთ მეგობრებთან?

• კი • არა • არც ისე

3. ხშირად დადიხართ კინოში მეგობრებთან ერთად?

• კი • არა • არც ისე

4. თქვენს მეგობრებთან ერთად ხშირად დადიხართ მუზეუმში?

• კი • არა • არც ისე

5. თქვენს მეგობრებთან ერთად იხდით დაბადების დღეს?

• კი • არა • არც ისე

6. თქვენი მეგობრებისთვის ხშირად ამზადებთ გემრიელ სადილებს?

• კი • არა • არც ისე

7. თქვენს მეგობრებთან ერთად ხშირად ატარებთ ზაფხულს?

• კი • არა • არც ისე

## 8 წაიკითხეთ კითხვები და ისაუბრეთ:

### არჩევანი – რა გირჩევნიათ?

1. დასვენება მთაში გირჩევნიათ თუ ზღვაზე?
2. მაღალ სართულზე გირჩევნიათ ცხოვრება თუ დაბალ სართულზე?
3. დაბადების დღის გადახდა მეგობრებთან ერთად გირჩევნიათ თუ ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან?
4. მოგზაურობა უცხოეთში გირჩევნიათ თუ საქართველოში?
5. საუზმე კაფეში გირჩევნიათ თუ სახლში?
6. რესტორანში გირჩევნიათ შეხვედრა და საუბარი თუ ოფისში?
7. სკაიპით გირჩევნიათ უცხოეთში ლაპარაკი თუ ტელეფონით?
8. მოგზაურობა ფეხით გირჩევნიათ თუ ტრანსპორტით?
9. წიგნის კითხვა საღამოს გირჩევნიათ თუ ღამით?
10. საინტერესო წიგნი გირჩევნიათ თუ საინტერესო ფილმი?

## სიყვარული – რა გიყვართ?

1. გიყვართ ბუნება თუ ურბანისტი ხართ?
2. მანქანით ნელა სიარული გიყვართ თუ სწრაფად?
3. საღამოს ნათელ ოთახში გიყვართ ყოფნა თუ ნახევრად ბნელ ოთახში?
4. საჭმელი მარილიანი გიყვართ თუ უმარილო? წიწაკიანი თუ უწიწაკო?
5. წყალი გაზიანი გიყვართ თუ უგაზო?
6. ღრუბლიანი ამინდი გიყვართ თუ მზიანი?
7. ღია ფერები უფრო გიყვართ თუ მუქი?
8. უფროს მეგობრებთან გიყვართ საუბარი თუ უმცროსებთან?
9. სპორტი გიყვართ თუ ხელოვნება?
10. მოხარშული კვერცხი გიყვართ თუ შემწვარი?

## მოწონება – რა მოგწონთ?

1. დიდ ქალაქში უფრო მოგწონთ ცხოვრება თუ სოფელში?
2. სახლი უფრო მოგწონთ თუ ბინა?
3. ვიწრო ქუჩები უფრო მოგწონთ თუ ფართო?
4. შავგვრემანი ადამიანი მოგწონთ თუ ქერა?
5. ზაფხულის კურორტები უფრო მოგწონთ თუ ზამთრის?
6. ყავა შაქრიანი მოგწონთ თუ უშაქრო?
7. ფეხით სიარული უფრო მოგწონთ თუ მანქანით?
8. წელიწადის რომელი დრო მოგწონთ – ზამთარი თუ ზაფხული? შემოდგომა თუ გაზაფხული?
9. ქალაქის ძველი არქიტექტურა უფრო მოგწონთ თუ ახალი?
10. ქვიშიანი სანაპირო მოგწონთ თუ ქვიანი?

**9** **წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:**

## ღვინის სამშობლო

თბილისიდან აღმოსავლეთისკენ რომ წახვალ, მიხვალ დიდ მთასთან, რომელსაც ჰქვია ცივი. ამ მთაზე რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისკენ, გადაიხედო, შენ თვალწინ ქვემოთ ჩანს ძალიან დიდი ვაკე. ამ ვაკის შუაში დაინახავ გრძელ ზოლს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გავლებულს. ეს ვაკე არის კახეთის ველი, ზოლი კი – მდინარე ალაზანი. ეს მდინარე კახეთს ყოფს ორ ნაწილად: აქეთა ნახევარს ჰქვია გამოღმა მხარე, იქითას – გაღმა მხარე. აღმოსავლეთით საზღვრად არის დიდი და მაღალი მთები და ისინი ყოფენ კახეთს დაღესტნისაგან, რომელიც იწყება ამ მთების იქით.

იაკობ გოგებაშვილის მიხედვით

1. სად არის კახეთი?
2. სად არის მდინარე ალაზანი?
3. სად არის დაღესტანი?
4. რამდენ ნაწილად იყოფა კახეთი?
5. რა ჰქვია კახეთის ნაწილებს?





## მონიშნეთ, რომელ თემაზე შეგიძლიათ საუბარი

- ჩემი სკაიპის მეგობარი
- ჩემი ქვეყანა
- ჩემი სანაცნობო წრე
- ჩემი საცხოვრებელი გარემო
- ჩემი სტუმარი თბილისში
- ჩემი ორშაბათი
- უნივერსიტეტში
- მთაგორიან საქართველოში
- ქალაქსა და სოფელში
- ჩემი ნაცნობების პროფესიები
- ტურისტული თბილისი
- მე და ჩემი საოცნებო სამზარეულო



როგორ ცხოვრობს და სწავლობს სტუდენტი?

როგორ დავისვენოთ?

როგორი სახლი მომწონს?

როგორ მუშაობენ ჩვენი ნაცნობები?

რა ვიცი ჩემს ქალაქზე?

ჩემი აქტიური დღე

მოგზაურობა საქართველოში

რას ნიშნავს ჩემთვის კარგი დროის გატარება

რა მინდა კომფორტისთვის

რა მინდა ყველაზე მეტად

უნიკალურ და ისტორიულ ადგილებში

ჩემი ჰობი

# გაკვეთილი 7

## მოსმენა

ყოველდღიურ თემასთან დაკავშირებული (მაგ., ამინდთან, საჭმელ-სასმელთან) ნელა და მკაფიოდ წარმართული დიალოგების გაგება.

## კითხვა

საჭმელ-სასმელთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების ძირითადი შინაარსის გაგება; ყოველდღიური ურთიერთობის ტექსტებიდან (რეკლამა, განცხადება, განრიგი) კონკრეტული, ადვილად სავარაუდო ინფორმაციის ამოკითხვა და დახარისხება; ამა თუ იმ ღონისძიებასთან დაკავშირებული განცხადებებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება.

## ლაპარაკი

საჭმელ-სასმელთან, საყიდლებთან დაკავშირებულ (მაგ., საყვარელი საჭმელი, ხილი...; პროდუქტის ყიდვა...) ნათლად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა; ყოველდღიურ სიტუაციებში ურთიერთობისას მარტივი გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენება.

## წერა

აქტიური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით მარტივი განცხადების, გარკვეული სახის ინფორმაციის შემცველი ტექსტების დაწერა; წინადადებების დაწერა მარტივი მაკავშირებელი სიტყვების გამოყენებით; თავისუფალი დროის გატარებასთან დაკავშირებული მარტივი ფრაზების გამოყენებით ტექსტის შექმნა სხვებისთვის გასაცნობად.

კავშირებითი კილო ● სიტყვის დაბოლოება ● კავშირები

# შაბათ-კვირა

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ხილი | ფორთოხალი | ჭარხალი | ღვინო |
| ვაშლი | კივი | სტაფილო | მურაბა |
| მსხალი | გრეიპფრუტი | ბოლოკი | სუნელი |
| ატამი | ფეიხოა | ხახვი | მჭადი |
| ბალი | კენკრა | ტყემალი | არჩევანი |
| ალუბალი | საზამთრო | მწვანილი | ქოთანი |
| მარწყვი | ნესვი | ოხრახუში | ამიწონეთ |
| ჟოლო | ქლიავი | კამა | მინდა ვიყიდო |
| ალუჩა | ბანანი | ნიახური | მინდა წავიდე |
| ლეღვი | ანანასი | ქინძი | მინდა ვნახო |
| ყურძენი | წაბლი | კონა | მინდა დავრეკო |
| ბროწეული | ბოსტნეული | სოკო | მინდა გავაკეთო |
| გარგარი | ლობიო | მწნილი | ყიდულობს-იყიდის-იყიდა |
| კომში | ისპანახი | მწვადი | |
| ნიგოზი | გაიხარე | მრავალფეროვანი სურსათი / პროდუქტი | |

**2** წაიკითხეთ დიალოგები:

## ბაზარში

– რა გინდა იყიდო?

– შენ რა გინდა?

– მე მინდა ვიყიდო ხილი.

– რა ხილი გინდა?



**– მე რაც მიყვარს: ვაშლი, ატამი, შავი ქლიავი და ლეღვი. შენ თუ გინდა, მარწყვი და ჟოლოც ვიყიდოთ.**

– კარგი, ვიყიდოთ. მე ყველა ხილი მიყვარს.

**– წავიდეთ.**

***

**– რა ღირს ალუჩა?**
– სამი ლარი. რამდენი კილო გინდათ?
**– ორი კილო ამიწონეთ.**
– კი, ბატონო. კარგი მარწყვი მაქვს კახეთიდან. ჟოლოც მაქვს. არ გინდათ იყიდოთ?
**– მომეცით ორი კილო მარწყვი და ხუთი კილო ჟოლო. მურაბა მინდა გავაკეთო.**
– ახლავე, ერთი წუთით.
**– რამდენი ლარისაა?**
– ალუჩა – ექვსი ლარი, მარწყვი – რვა ლარი და ოცდახუთი ლარი – ჟოლო.
**– აი, ორი ოცლარიანი.**
– ინებეთ ხურდა და თქვენი ხილი. გემრიელად მიირთვით.
**– გმადლობთ.**
– გაიხარეთ.

***

**– დედა, კიდევ რა გინდა იყიდო?**
– ბოსტნეულს ვიყიდი, სადილი მინდა მოვამზადო.
**– მწვანე ლობიო და ახალი კარტოფილი მინდა ვიყიდო.**
– რა კარგია, მიყვარს შემწვარი ახალი კარტოფილი კამით. მწვანე ლობიოს კვერცხით გააკეთებ თუ ნიგვზით?
**– კვერცხით ძალიან გემრიელია და ძალიან მიყვარს.**
– მაშინ ვიყიდოთ ორი კილო მწვანე ლობიო და ორი კილო ახალი კარტოფილი.
**– მწვანილიც გვინდა?**
– კი, ნიახური, კამა, ოხრახუში, ქინძი, ორ-ორი კონა.
**– კარგი, ვიყიდოთ და წავიდეთ.**

**3** დიალოგის მიხედვით დაწერეთ, რას ყიდულობენ და რამდენს:

| ხილი | ბოსტნეული | მწვანილი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია ლევანისა და თამარის ოჯახის შესახებ:**

თბილისში რამდენიმე ბაზარია. თბილისის ბაზრები არ არის ძალიან დიდი, მაგრამ მრავალფეროვანია. აქ შეიძლება ყველაფერი იყიდოთ: ხილი, ბოსტნეული, ყველი, ხორცი, მწვანილი, სუნელი.

დეზერტირების ბაზარი ორსართულიანია. ის ქალაქის ცენტრშია. პირველ სართულზე იყიდება თევზი და ბოსტნეული, მეორე სართულზე – ყველი, ხილი, სუნელები და ხორცი. ბაზარში ბევრი თბილისელი დადის იმიტომ, რომ აქ დიდი არჩევანია. ყველაფერი იყიდება ახალი და შედარებით იაფია.

საქართველო ხილით და ბოსტნეულით მდიდარი ქვეყანაა. აქ სურსათი გემრიელი და ხარისხიანია. ბაზარში ყველაზე ბევრია ხილი. სურსათი დილას ძალიან ადრე ჩამოაქვთ სოფლებიდან და პირდაპირ ბაზარში შეაქვთ. მაღაზიებიც ხშირად ბაზარში ყიდულობენ პროდუქტს – ხილს, ბოსტნეულს, ყველს.

თამარი და ლევანი შაბათ-კვირას ხშირად დადიან ბაზარში. ისინი მთელი კვირის სურსათს ყიდულობენ იმიტომ, რომ კვირის დღეებში მუშაობენ და საღამოს გვიან მოდიან სახლში. ორშაბათს მათი მაცივარი სულ სავსეა. ოჯახი დიდია და ყველას უყვარს ბოსტნეული. თამარი ხშირად ამზადებს ბოსტნეულის სალათებს, ლევანს კი ხორცი უყვარს.

თანამედროვე ადამიანი მუდამ დაკავებულია და ბაზარში ხშირად ვერ დადის. ამიტომ ის სუპერმარკეტში შედის და იქ ყიდულობს ხილსა და ბოსტნეულს. იქ არჩევანი ბაზართან შედარებით მცირეა. ამიტომ ისინი ხან ბაზარში დადიან და ხან – სუპერმარკეტში. თუ ლევანი დაკავებულია, მაშინ თამარი მიდის სუპერმარკეტში, თუ ლევანი თავისუფალია, ერთად მიდიან ბაზარში. მოკლედ, პროდუქტს ან სუპერმარკეტში ყიდულობენ, ან ბაზარში.

ოჯახი შაბათ-კვირას მთელი კვირის ბოსტნეულსა და ხორცს ყიდულობს. სახლში ყოველთვის არის ბოსტნეული. ისინი სალათებს ხშირად ამზადებენ. ბავშვებს ხილის სალათები მოსწონთ და საღამოობით ხშირად მიირთმევენ ტელევიზორთან. ნინიკოს საყვარელი საჭმელია აჯაფსანდალი და მწვანე ლობიო. საქართველოში მწვანე ლობიოს სხვადასხვანაირად ამზადებენ – მწვანილით, ნიგვზით, კვერცხით და ა.შ.

ლევანს უყვარს ნიგვზიანი ლობიო. ეს ცივი საჭმელია და გემრიელია მჭადთან ერთად. თამარი ხშირად ამზადებს ასეთ ლობიოს, მაგრამ ზოგჯერ, შაბათს ან კვირას, ოჯახი მცხეთაში მიდის „სალობიეში“. „სალობიე“ დიდი ხანია მუშაობს და ცნობილია გემრიელი საჭმელებით. ლობიოს ამზადებენ პატარა ქოთანში. ქოთნის ლობიო მჭადთან და მწნილთან ერთად მოაქვთ. სალობიეში ასევე აქვთ კარგი ხინკალი და ხაჭაპური.

## 5 უპასუხეთ კითხვებს:

1. რამდენი ბაზარია თბილისში?
2. როგორია თბილისის ბაზრები?
3. სად ყიდულობენ თბილისელები პროდუქტს?
4. რომელი ბაზარია თბილისის ცენტრში?
5. რა იყიდება ბაზარში?
6. რატომ ყიდულობენ თბილისელები უფრო ხშირად პროდუქტს ბაზარში?
7. სად ყიდულობენ თამარი და ლევანი სურსათს?
8. რას ამზადებს თამარი ხშირად ოჯახში?
9. სად არის პროდუქტი შედარებით იაფი?
10. როგორი სალათები მოსწონთ ბავშვებს?
11. რომელია ნინიკოს საყვარელი საჭმელი?
12. როგორ ამზადებენ ლობიოს საქართველოში?
13. რომელი საჭმელი უყვარს ლევანს?
14. სად მიდის ოჯახი ზოგჯერ ლობიოს საჭმელად?
15. რამდენი ხანია მუშაობს „სალობიე“ და რა არის იქ გემრიელი?

| | |
|---|---|
| ის აკეთებს / ამზადებს სადილს. | **მარინა აკეთებს აჯაფსანდალს და გემრიელ სალათებს ამზადებს.** |
| ხვალ ის გააკეთებს / მოამზადებს სადილს. | **ხვალ მარინა გააკეთებს აჯაფსანდალს და გემრიელ სალათებს მოამზადებს.** |
| გუშინ მან გააკეთა / მოამზადა სადილი. | **გუშინ მარინამ გააკეთა აჯაფსანდალი და გემრიელი სალათები მოამზადა.** |
| მინდა გავაკეთო / მოვამზადო სადილი. | **მე მინდა გავაკეთო აჯაფსანდალი და გემრიელი სალათები მოვამზადო.** |



| | | |
|---|---|---|
| მინდა | გავაკეთო | ვიყო |
| | მოვამზადო | ვიმუშაო |
| | ვიყიდო | ვიცხოვრო |
| | ვნახო | ვითამაშო |
| | წავიკითხო | ვიფიქრო |
| | დავრეკო | ვილაპარაკო |
| | დავწერო | ვისადილო |
| | წავიდე | ვისაუზმო |
| | | ვივახშმო |

## 6 ჩასვით ზმნები წინადადებებში ნიმუშის მიხედვით:

~~ვიყიდო~~ ვიყო წავიკითხო ვიმუშაო ვიცხოვრო ვითამაშო
ვიფიქრო ვილაპარაკო ვისადილო ვნახო დავრეკო

ნიმუში: დღეს ხილი მინდა ვიყიდო.

1. დღეს სამ საათზე სახლში მინდა ............................................ .
2. ტექსტი მინდა ............................................ , ხვალ ტესტი მაქვს.

3. არ მინდა .............................................. ამ საღამოს, თეატრში მივდივარ.

4. დიდ სახლში მინდა .............................................. ქალაქგარეთ.

5. ჩემს მეგობრებთან ერთად ფეხბურთი მინდა .............................................. .

6. არ მინდა ...................................... ამ პრობლემის შესახებ.

7. მალე მინდა .............................................. ინგლისურად კარგად.

8. დედა, შენთან ერთად მინდა .............................................., ახალ რესტორანში.

9. ნიკი მინდა .............................................., საქმე მაქვს.

10. საღამოს თორნიკესთან მინდა .............................................. ამერიკაში.



| | |
|---|---|
| **- ობით** | საღამოობით<br>ორშაბათობით<br>კვირაობით |
| **იმიტომ, რომ** | მოვდივარ იმიტომ, რომ მინდა<br>ბევრს ვკითხულობ იმიტომ, რომ კითხვა მიყვარს. |
| **ორ წუთში**<br>**სამ საათში** | რვა დღეში<br>ცხრა თვეში<br>ხუთ წუთში გავდივარ.<br>რვა საათში ჩავალთ ბათუმში. |

**7** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

– ნახე ინტერნეტში, როგორი ამინდია .............................................. ?

– კი, ვნახე, კარგი ამინდია, .............................................. ცივა.

– წავიდეთ .............................................. ?

– წავიდეთ, რა პრობლემაა? თიკას აქვს დრო?

– არ ვიცი, ალბათ ............................... იქნება. ერთი ............................... ? სად წავიდეთ?

– ერთი მანქანა .............................................. იქნება. თიკა, მისი ქმარი და ჩვენ.

– კარგია, .............................................. წავიდეთ?

– კახეთში? იმერეთში?

– იმერეთი ............................................... , ოთხი-ხუთი საათი გვინდა. კახეთში წავიდეთ,

............................................... , ორ საათში სიღნაღში ვიქნებით.

– კი, ბატონო, კარგი ............................................... .

– ............................................... ............................................... ?

– დილით ადრე, ცხრა საათზე გავიდეთ.

– ............................................... ვისაუზმოთ?

– არა, დილოთ ყავა დავლიოთ, ............................................... , და სიღნაღში რესტორანში ვისადილოთ.

– მშვენიერია, თიკას დავურეკავ და ............................................................................... .

– კარგი, ............................................... , ინტერნეტში ვნახავ.

– კარგი, ............................................... .

| | |
|---|---|
| ხან...... ხან..... | ხან მიდის, ხან მოდის<br>ხან ბაზარში დადიან და ხან – სუპერმარკეტში. |
| ან...... ან..... | ან ჩაი, ან ყავა<br>პროდუქტს ან სუპერმარკეტში ყიდულობენ, ან ბაზარში. |
| არც...... არც..... | არც ცხელა, არც ცივა<br>საღამოობით არც ძალიან ცხელა და არც ცივა. |

**8** წაიკითხეთ მოცემული განცხადებები და შეავსეთ ცხრილი:

1.

3 ნოემბერს, დილის
ცხრა საათზე, გავდივართ
სიღნაღში, მსურველებმა
დაგვირეკეთ
ნომერზე: 2 35 62 79;
მობ.: 5 77 32 09 76

2.

მაისის თვეში, შაბათობით,
ექვს საათზე, იმართება
ანსამბლ „ლანდის“
კონცერტი.
დასწრება თავისუფალია.

3.

29-30 ივნისს რესტორანი „ნატახტრის ველი“ გეპატიჟებათ სადილზე ნახევარ ფასად. მობრძანდით და მიირთვით გემრიელი ქართული კერძები.

4.

დიდი ფასდაკლება ჰიპერმარკეტ „კარფურში“! მობრძანდით და შეიძინეთ ყველაფერი იაფად!

5.

30 აპრილს „ბომბორა“ გიწვევთ მთაწმინდის პარკში დიდ ატრაქციონზე. მობრძანდით თქვენს პატარებთან ერთად და გაატარეთ სასიამოვნო და შესანიშნავი დრო ჩვენთან ერთად!

6.

კვირას, 15 ივნისს, საღამოს 19:00 საათზე, მობრძანდით მარიონეტების თეატრში

გეპატიჟებით რეზო გაბრიაძის სპექტაკლზე „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“.

მისამართი: შავთელის ქუჩა 13
ბილეთები იყიდება სალაროში.
ორშაბათიდან პარასკევამდე,
10:00 საათიდან 19:00 საათამდე.
ბილეთის ფასი: 10, 15, 20 ლარი.

| ინფორმაცია | დრო | ადგილი | საკონტაქტო მონაცემები | რა ტიპის ღონისძიებაა | ფასები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| 4. | | | | | |
| 5. | | | | | |
| 6. | | | | | |

**9** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. როგორია თქვენი შაბათ-კვირა?
2. სად და ვისთან ერთად ატარებთ შაბათ-კვირას?
3. ხშირად დადიხართ ქალაქგარეთ?
4. სად ყიდულობთ პროდუქტს თქვენი ოჯახისთვის?
5. ვინ ამზადებს საჭმელს თქვენს ოჯახში?
6. რომელია თქვენი საყვარელი საჭმელი?
7. სად იყიდება თქვენთან ხილი და ბოსტნეული?
8. რა ხილია თქვენს ქვეყანაში და რომელი ხილი გიყვართ?
9. გიყვართ სალათები? როგორი სალათები მოგწონთ?
10. ამზადებენ თქვენს ქვეყანაში ლობიოს და როგორ?
11. იცით, რა არის მჭადი? იცით, როგორ ამზადებენ მჭადს?
12. იცით, როგორ ამზადებენ ხაჭაპურსა და ხინკალს?

**10** დაწერეთ, როგორ ატარებთ შაბათ-კვირას, გამოიყენეთ მე-11 დავალებაში მოცემული ფრაზები:

## ჩემი შაბათ-კვირა

**11** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

## გაკვეთილის ფრაზები

რა გვინდა ვიყიდოთ?
გინდა იყიდო მარწყვი?
რამდენი ლარისაა?
როგორი ამინდია ამ შაბათ-კვირას?
მინდა ვიყიდოთ ხილი
მიყვარს ვაშლი
კარგი, ვიყიდოთ
ორი კილო ამიწონეთ
მომეცით ორი კილო მარწყვი
მურაბა მინდა გავაკეთო
ახლავე, ერთი წუთით
ოცლარიანი
ინებეთ ხურდა
ბოსტნეული მინდა ვიყიდო
სადილი მინდა გავაკეთო / მოვამზადო
მიყვარს შემწვარი ახალი კარტოფილი კამით
შედარებით იაფია
სურსათი ხარისხიანია
პირდაპირ ბაზარში შეაქვთ
ის მუდამ დაკავებულია
ის თავისუფალია
ბაზართან შედარებით მცირეა
საღამოობით ხშირად მიირთმევენ
ხშირად ამზადებენ სალათებს
საყვარელი საჭმელია
სხვადასხვანაირად ამზადებენ
ნიგვზიანი ლობიო
გემრიელია მჭადთან ერთად
ამზადებს ნიგვზიან ლობიოს
ცნობილია გემრიელი საჭმელებით
ქოთნის ლობიო
ნახე ინტერნეტში
არც ძალიან ცხელა და არც ცივა
წავიდეთ ქალაქგარეთ
ერთი მანქანით
საკმარისი იქნება
ორ საათში ვიქნებით
კარგი აზრია
ვეტყვი გეგმების შესახებ
თიკას დავურეკავ
რა პრობლემაა?!

ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე

# აღმართი A2

## გაკვეთილი 8

### მოსმენა



ნელა, მკაფიოდ გამოთქმული ტექსტების გაგება (მონოლოგი / დიალოგი) საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით; საყოფაცხოვრებო თემაზე (კომუნალური გადასახადები და სხვ.) მარტივი დიალოგების გაგება.

### კითხვა



საბანკო თემასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების (ზოგიერთი სიტყვის კონტექსტიდან) გაგება; სათაურებზე, ციფრებზე დაყრდნობით საჭირო ინფორმაციის ამოკრება სარეკლამო განცხადებებიდან თუ საგაზეთო სტატიებიდან.

### ლაპარაკი



მარტივი ფრაზებითა და წინადადებებით სხვებისთვის ბანკთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილების გაზიარება; ამავე თემასთან დაკავშირებით მისთვის მკაფიოდ და გასაგებად დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა.

### წერა



დანიშნულების სახელებისა და თანდებულების (მიმართ, გამო, შესახებ...) მართლწერა და წერის დროს მათი სათანადოდ გამოყენება; თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის მარტივი სტრუქტურის ტექსტების შექმნა ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის სწორად გამოყენებით.

დანიშნულების სახელები ● თანდებულები

# ბანკი

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | |
|---|---|---|
| თანამშრომელი | კრედიტი | კონსულტანტი |
| მენეჯერი | კრედიტოფიცერი | პირადობის მოწმობა / პირადობა |
| კლიენტი | გასაუბრება | ფიზიკური |
| ბანკომატი | განვადება | იურიდიული პირი |
| მოლარე | გადარიცხვა | შემოსავალი |
| მოლარე-ოპერატორი | ჩარიცხვა | დაახლოებით |
| სალარო | ფული | ამჟამად |
| რიგი | თანხა | ღონისძიება |
| ანგარიში | ხელფასი | მეჩქარება |
| პირადი ანგარიში | შეღავათი | ხელის მოწერა |
| მომსახურება | მივლინება | იხდის – გადაიხდის – გადაიხადა |
| ბარათი | მოგზაურობა | იღებს – მიიღებს – მიიღო |
| ქვითარი / ჩეკი | | ამთავრებს – დაამთავრებს – დაამთავრა |
| | | ელოდება – დაელოდება – დაელოდა |

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

## ბანკში

– მობრძანდით, რა გნებავთ?
– ანგარიშის გახსნა მინდა.
– კი, ბატონო, აქ მობრძანდით, აიღეთ რიგის ნომერი და დაელოდეთ.
– ბევრი ხალხია?
– არა, დილას ყოველთვის ცოტაა კლიენტი. თქვენ წინ მხოლოდ ორი ადამიანია.

– ძალიან კარგი, ცოტა დრო მაქვს. იმედია, ნახევარ საათში დასრულდება ეს პროცედურა.
**– რა თქმა უნდა, ჩვენი ოპერატორები სწრაფად მუშაობენ.**
– ვიცი, თქვენ კარგი მომსახურება გაქვთ.
**– გმადლობთ.**

* * *

**– დილა მშვიდობისა, თქვენი რიგის ნომერი, თუ შეიძლება.**
– აი, ინებეთ.
**– რა მომსახურება გნებავთ?**
– ანგარიშის გახსნა მინდა.
**– კი, ბატონო. ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის?**
– ფიზიკური პირისთვის, პირადი ანგარიშის გახსნა მინდა.
**– თქვენი პასპორტი ან პირადობის მოწმობა.**
– აი, ინებეთ.
**– რამდენიმე შეკითხვა მაქვს. რა პროფესიის ხართ და სად მუშაობთ?**
– ისტორიკოსი ვარ, უნივერსიტეტის პროფესორი.
**– თქვენი ანკეტა მზადაა. აი, თქვენი ანგარიშის ნომერი. თუ შეიძლება, აქ მოაწერეთ ხელი.**
– კი ბატონო.
**– თქვენ უკვე გაქვთ ჩვენს ბანკში ანგარიში ლარში, დოლარსა და ევროში. დიდი მადლობა, რომ ჩვენთან მობრძანდით.**
– გმადლობთ, ნახვამდის.




**3** დაალაგეთ დიალოგის მიხედვით მოცემული აქტივობები და გადაწერეთ ცხრილში თანამიმდევრობით:

ხელის მოწერა — ანკეტის შევსება — პასპორტი ან პირადობის მოწმობა — კონსულტაცია — ანგარიშის ნომერი — რიგის ნომერი

| | |
|---|---|
| პირველად | |
| | |
| | |
| შემდეგ | |
| | |
| | |
| მერე | |
| | |
| | |

**4** წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია თიბისი ბანკის შესახებ:

## თიბისი ბანკი

თიბისი ბანკის ისტორია 1992 წელს დაიწყო. საწყისი კაპიტალი 500 ამერიკული დოლარი იყო, ეს თანხა საკმარისი იყო ბანკის დაფუძნებისთვის საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

იმ დროისათვის საქართველოს საბანკო სექტორი მუშაობდა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში. 1995 წელს ბანკს ჰყავდა 29 თანამშრომლი, ჰქონდა 1 ფილიალი და თანხა შეადგენდა 14 მლნ ამერიკულ დოლარს.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ბანკს დაეხმარნენ სატრენინგო და საკონსულტაციო პროგრამების ამუშავებაში. 1998 წელს თიბისი ბანკმა ექსპორტ / იმპორტის საფინანსო ოპერაციები დაიწყო. იგი ინტენსიურად მუშაობდა ვაჭრობის დაფინანსების ტრანსაქციებზე სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და კომერციულ ბანკებთან. მან სავაჭრო სფეროს დასა-ფინანსებელი სესხები მოიზიდა შემდეგი კომპანიებისგან: BSTDB, ADB და IFC.

ამ პერიოდისთვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინტერესი იმდენად გაიზარდა თიბისი ბანკის მიმართ, რომ 2000 წლის მაისში კომპანიებმა IFC და DEG ბანკის სააქციო კაპიტალი შეიძინეს, თითოეულმა 10%, ეს იყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციების პირველი მონაწილეობა კომპანიის სააქციო სტრუქტურაში.

2002 წელს თიბისი ბანკი ყველაზე ძლიერი და დიდი ბანკი იყო საქართველოში. დღეს თიბისი ბანკი ემსახურება თითქმის 700 000 მომხმარებელს. ბანკში თითქმის 4 000 ადამიანი მუშაობს.

2005 წლიდან თიბისი ბანკი ახალ სათავო ოფისშია. ეს თბილისის ერთ-ერთი ისტორიული შენობაა და ქალაქის არქიტექტურულ ძეგლთა სიაში შედის. სათავო ოფისი უამრავ ბიზნეს, კულტურულ და მუსიკალურ ღონისძიებას მასპინძლობს.



5 უპასუხეთ კითხვებს:

1. როდის დაიწყო თიბისი ბანკის ისტორია?
2. რამდენ მომხმარებელს ემსახურება ბანკი?
3. რა იყო ბანკის საწყისი კაპიტალი?
4. როგორ დაეხმარნენ ბანკს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები?
5. რომელი კომპანიებისგან მიიღო ბანკმა თანხები?
6. ვინ შეიძინა ბანკის აქციები?
7. რამდენი თანამშრომელი მუშაობს ახლა ბანკში?
8. როგორი იყო ბანკი 1995 წელს?
9. რომელი წლიდან არის თიბისი ბანკი ახალ სათავო ოფისში?
10. რა ღონისძიებებს მასპინძლობს ხშირად თიბისი ბანკი?
11. რა თანხა იყო საკმარისი ბანკის გახსნისათვის მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში?
12. როგორი პირობები იყო ქვეყანაში ბანკის გახსნის დროს?
13. როგორია ბანკის სათავო ოფისის შენობა?
14. რამდენი ფილიალი ჰქონდა ბანკს 1995 წელს?
15. სააქციო კაპიტალის რამდენი პროცენტი შეიძინეს კომპანიებმა?

| | |
|---|---|
| ახლა ის იხდის თანხას.<br>გუშინ მან გადაიხადა თანხა.<br>ხვალ ის გადაიხდის თანხას. | **კლიენტი კრედიტის თანხას იხდის ბანკში.** |
| ახლა ის იღებს ხელფასს.<br>გუშინ მან აიღო ხელფასი.<br>ხვალ ის აიღებს ხელფასს. | **გურამი თიბისი ბანკში იღებს სესხს.** |
| ახლა ის ამთავრებს სამუშაოს.<br>გუშინ მან დაამთავრა სამუშაო.<br>ხვალ ის დაამთავრებს სამუშაოს | **ოპერატორი სამუშაოს ამთავრებს შვიდ საათზე.** |
| ახლა ის ელოდება რიგს.<br>გუშინ ის დაელოდა რიგს.<br>ხვალ ის დაელოდება რიგს. | **სამი ადამიანი ელოდება რიგს.** |



| | |
|---|---|
| სა ________ ო | მოგზაური → სა-მოგზაურ-ო<br>სა-ბანკ-ო<br>სა-სადილ-ო<br>სა-ფინანს-ო<br>სა-თავ-ო |

**6** **ჩასვით ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: ბანკი / საბანკო

| | |
|---|---|
| თავი | |
| | სასადილო |
| აქცია | |
| | საფინანსო |
| მინისტრი | |
| | სამოგზაურო |
| ელჩი | |
| კონსულტაცია | |
| | სატრენინგო |
| | სასტუმრო |

**7** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

– **დილა მშვიდობისა, მობრძანდით, რა მომსახურება გნებავთ?**

– კრედიტის აღება მინდა.

– **კი, ბატონო. აქ დაელოდეთ ....................................... .**

– დიდი მადლობა.

– **მობრძანდით, ....................................... . ჩვენი ბანკის კლიენტი ხართ?**

– დიახ, თქვენთან მაქვს ანგარიში.

– **ახლა რა გნებავთ?**

– კრედიტის აღება მინდა.

– **....................................... გაქვთ კრედიტი?**

– არა, არ მაქვს.

– **ხელფასს ჩვენს ბანკში იღებთ?**

– დიახ.

– **სხვა შემოსავალი გაქვთ?**

– არა, მხოლოდ ....................................... .

– **....................................... რამდენი გნებავთ?**

– ათი ათასი ლარი.

– **რამდენი გაქვთ ....................................... ?**

– ათას ხუთასი ლარი.

– **რამდენწლიანი კრედიტი გინდათ? სამწლიანი გინდათ თუ ....................................... ?**

– თუ შეიძლება, სამწლიანი.

– **....................................... დროს თვეში გადაიხდით დაახლოებით ოთხას ლარს.**

– გასაგებია.

– **თვის რომელ ....................................... გინდათ გადაიხადოთ?**

– ყოველი თვის ხუთ რიცხვში.

– **....................................... გვაქვს. სამ-ოთხ ................................... დღეში დაგირეკავთ და საბოლოო პასუხს გეტყვით.**

– დიდი მადლობა.

**8** წაიკითხეთ სარეკლამო განცხადებები და შეავსეთ ცხრილი:

თიბისი ბანკი
TBC BANK

## თიბისი ბანკი

თიბისი ბანკის სტუდენტური სესხები განახლებული პირობებით:
- წლიური საპროცენტო განაკვეთი – 20%
- სესხის მაქსიმალური ოდენობა – 5 000 ლარი
- უზრუნველყოფა არ მოეთხოვება
- სესხი გაიცემა თბილისისა და რეგიონის ყველა ფილიალში

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

## ბანკი რესპუბლიკა

სესხი ბაკალავრის ხარისხის მისაღებად

პირობები:
ვალუტა: აშშ დოლარი, ევრო
სესხის მაქსიმალური მოცულობა:
10 000 ლარი ან ეკვივალენტი აშშ დოლარით
სესხის მაქსიმალური ვადა: 12 თვე
მინიმალური შემოსავალი: ერთი თანამსესხებლის შემთხვევაში – 200 ლარი
ორი თანამსესხებლის შემთხვევაში – 400 ლარი საპროცენტო განაკვეთი: 19%-დან.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

## საქართველოს ბანკი

ისწავლეთ საქართველოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ბანკის სტუდენტური სესხის დახმარებით უზრუნველყოფისა და თანამონაწილეობის გარეშე!

პირობები:
- მსესხებლის შემოსავლის მინიმალური მოცულობა: 200 ლარი
- მსესხებლის ასაკი: 20 - 70 წელი
- სესხის ვალუტა: ლარი / აშშ დოლარი / ევრო
- სესხის თანხა: სწავლების საფასურის შესაბამისად
- სესხის ვადა: 60 თვემდე
- საპროცენტო განაკვეთი: 15%-დან
- სტუდენტური სესხის აღებისას საჩუქრად იღებთ:

√ უნივერსალურ ანგარიშს;
√ დისტანციურ საბანკო მომსახურებას;
√ სტუდენტურ ბარათს.

| N | ბანკი | სესხის თანხა – ფული | ვალუტა – ეკვივალენტი | დრო – ვადა | საპროცენტო განაკვეთი – % | ასაკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | | |
| 2. | | | | | | |
| 3. | | | | | | |

| | |
|---|---|
| ...................................... + ის შესახებ | კრედიტის შესახებ |
| ...................................... + ის მიმართ | ბანკის მიმართ |
| ........................................... + ის გამო | კრიზისის გამო |

**9** **დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:**

ნიმუში: **სწავლა** - სწავლის გამო / სწავლის მიმართ / სწავლის შესახებ
სწავლის გამო ვცხოვრობ გერმანიაში.
სწავლის მიმართ დიდი ინტერესი მაქვს.
სწავლის შესახებ ვსაუბრობ დედასთან.

1. სამუშაო – ______________________

2. ბიზნესი – ______________________

3. ტრენინგი –

4. უნივერსიტეტი –

5. ინტერნეტი –

6. ტელევიზია –

7. თეატრი –

8. მუსიკა –

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. ხშირად დადიხართ ბანკში?
2. რომელი ბანკის მომსახურება მოგწონთ?
3. გაქვთ ინტერნეტბანკი?
4. ხელფასს რომელ ბანკში იღებთ?
5. რომელია ყველაზე დიდი ბანკი თქვენს ქალაქში / ქვეყანაში?
6. თქვენს ქალაქში რომელ ბანკს ჰყავს ყველაზე ბევრი მომხმარებელი?
7. გაქვთ ბანკში პირადი ანგარიში?
8. გაქვთ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს კრედიტი?
9. თქვენს ბანკში ხშირადაა დიდი რიგი?
10. რომელ ვალუტაში გაქვთ ანგარიში?

**11** დაწერეთ რომელიმე ბანკის შესახებ. გამოიყენეთ ფრაზები მე-12 დავალებიდან:

ჩემი ბანკი

**12** **წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:**

## გაკვეთილის ფრაზები

ანგარიშის გახსნა

აიღეთ რიგის ნომერი

თქვენ წინ ორი ადამიანია

რა თქმა უნდა

კარგი მომსახურება

რა მომსახურება გნებავთ?

ფიზიკური პირი

იურიდიული პირი

პირადობის მოწმობა

მოაწერეთ ხელი

ანგარიში ლარში, დოლარსა და ევროში

წელს დაიწყო

ეს თანხა საკმარისია

იმ დროისათვის

ეკონომიკური კრიზისი

პოლიტიკური კრიზისის ფონზე

თანხა შეადგენს 1.4 მლნ აშშ-ის დოლარს

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში

ამჟამად მუშაობს თითქმის 4000 ადამიანი

ემსახურება 700.000 მომხმარებელს

სათავო ოფისი

სიაშია

უამრავ ღონისძიებას მასპინძლობს

კრედიტის აღება

დაელოდეთ კრედიტოფიცერს

ხელფასს ბანკში იღებს

შემოსავალი

მაღალი ხელფასი

რამდენწლიანი კრედიტი

სამწლიანი / ხუთწლიანი

დაახლოებით ოთხასი ლარი

გასაგებია

რომელ რიცხვში გინდათ გადაიხადოთ?

ყოველი თვის ხუთ რიცხვში

პასუხს ტელეფონით გაცნობებთ

სამ-ოთხ სამუშაო დღეში

ბანკმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა

ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე

# აღმართი A2

## გაკვეთილი 9

### მოსმენა

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიტყვების მოსმენა და გამეორება მათი დამახსოვრების მიზნით; ჯანმრთელობის პრობლემებზე აგებული მარტივი დიალოგების გაგება.

### კითხვა

მედიცინასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტებიდან ძირითადი ინფორმაციის გაგება; ჯანმრთელობის თემაზე შედგენილი მოკლე დიალოგების დეტალურად გაგება; მარტივი რეცეპტების გაგება და მათგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის დახარისხება.

### ლაპარაკი

მარტივი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ნაცნობ თემებზე საუბარი; ავადმყოფობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მარტივი ფრაზებით სხვებისთვის ნათლად და გასაგებად საუბარი; საუბრისას მოდალური ზმნების (მინდა, გინდა, უნდა) გამოყენება.

### წერა

მარტივი სამედიცინო ანკეტის შევსება; წერითი ფორმით საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება მარტივი არგუმენტებითა და აქტიური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით; წერის დროს მარტივი კავშირების – „და“, „მაგრამ“, „იმიტომ, რომ“ – გამოყენება.

კავშირებითი კილო

# ჯანმრთელობა

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | | |
|---|---|---|---|
| წამალი | მუცელი | ყელი | მკურნალობა |
| თერმომეტრი | ხელი | კბილი | გაციებული ვარ |
| წნევის აპარატი | მკლავი | შუბლი | ავად ვარ |
| ანალიზი | თითი | ავადმყოფი | სიცხე მაქვს |
| ექიმი | ფეხი | პაციენტი | გაგსინჯავთ |
| ექთანი | მუხლი | საავადმყოფო | მახველებს |
| სასწრაფო | თავი | კლინიკა | მაცემინებს |
| ვიტამინი | თვალი | აფთიაქი | მტკივა |
| აბი | ცხვირი | რეცეპტი | ექიმთან ჩაწერა |
| გული | ყური | მთლიანად | სასწრაფოს გამოძახება |
| ფილტვები | პირი | სურდო | სამედიცინო დაზღვევა |

იზომავს – გაიზომავს – გაიზომა – გაიზომოს

სვამს – დალევს – დალია – დალიოს

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

## კლინიკაში

**– გამარჯობა, პირად ექიმთან ვარ ჩაწერილი.**
– რომელ საათზე და ვისთან?
**– 12 საათზე, ქალბატონ ნინოსთან.**
– დაელოდეთ, თქვენ წინ ორი პაციენტია.
**– ანალიზის პასუხი თქვენთან არის?**
– რომელი ანალიზის?
**– სისხლის ანალიზის.**



– როდის აიღეთ?
**– გუშინ დილით.**
– ანალიზის პასუხი უკვე პირად ექიმთან არის.
**– გმადლობთ.**

## ექიმთან

**– ნინო ექიმო, როგორ ბრძანდებით?**
– გმადლობთ, კარგად, მობრძანდით, დაბრძანდით, თქვენ როგორ ხართ?
**– პრობლემა მაქვს.**
– რა გტკივათ?
**– ყური მტკივა.**
– გაციებული იყავით?
**– დიახ, რამდენიმე დღე გაციებული ვიყავი, წამლები დავლიე, ახლა უკეთესად ვარ, მაგრამ საღამოობით ყური მტკივა.**
– ხშირად გტკივათ ყური?
**– დიახ, ხშირად. ყური სუსტი მაქვს.**
– ბავშვობაშიც გქონდათ ყურის პრობლემა?
**– არა. ცურვაზე დავდივარ და იქ გავცივდი. იმის შემდეგ მტკივა.**
– აუცილებლად უნდა წახვიდეთ ყელ-ყურის ექიმთან.
**– კარგი იქნება. ყურის ექიმი სად არის?**
– ამ სართულზეა, 302-ე ოთახში.
**– ახლა აქ არის?**
– დიახ, ისიც ოთხამდე მუშაობს.
**– მიმართვას მომცემთ?**
– კი, ბატონო, აი, თქვენი მიმართვა. ყელ-ყურის ექიმი გაგსინჯავთ და სამი დღის შემდეგ მობრძანდით ჩემთან. გამოჯანმრთელებას გისურვებთ.
**– გმადლობთ. კარგად ბრძანდებოდეთ.**
– ნახვამდის.

**3** **დიალოგების მიხედვით თანამიმდევრობით დაალაგეთ მოცემული აქტივობები:**

ექიმთან ვიზიტი | ანალიზების პასუხები | სპეციალისტთან წასვლა
გასინჯვა | ექიმთან ჩაწერა | მიმართვა | ანალიზების აღება

1. ______________________
2. ______________________
3. ______________________
4. ______________________
5. ______________________
6. ______________________
7. ______________________

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია თანამედროვე სამედიცინო მომსახურების შესახებ საქართველოში:**

## მედიცინა საქართველოში

დღეს საქართველოში რამდენიმე სადაზღვევო კომპანია მუშაობს და თითქმის ყველა მოქალაქეს აქვს სამედიცინო დაზღვევა. თუ ადამიანი მუშაობს, მაშინ მას სამსახურიდან აქვს დაზღვევა, პენსიონერებს და ბავშვებს სახელმწიფო დაზღვევა აქვთ. დაზღვევა შეიძლება იყოს 50%-დან 100%-მდე. ასეთ დროს თანხის ნაწილს პაციენტი იხდის და ნაწილს – სადაზღვევო კომპანია. 100%-იანი დაზღვევის დროს კი კომპანია მთლიანად იხდის თანხას.

კლინიკებში არიან ოჯახის ან პირადი ექიმები. პაციენტი პირველად მასთან მიდის. ის აძლევს მიმართვებს, შემდეგ პაციენტი იკეთებს ანალიზებს და მიდის რომელიმე სპეციალისტთან. პირადი ექიმი ყოველდღე მუშაობს, 10 საათიდან 4 საათამდე. კვირაში სამჯერ ერთი ექიმი მუშაობს, კვირაში ორჯერ – მეორე ექიმი. შაბათობით ხან ერთი ექიმი მუშაობს და ხან – მეორე. კვირას კი ისინი ისვენებენ.

ზოგი კლინიკა 24 საათი ემსახურება ავადმყოფებს. თანამედროვე კლინიკაში ყველა დარგის ექიმი მუშაობს, არის ლაბორატორია, საოპერაციო, სხვადასხვა კაბინეტი, სასწრაფო დახმარების მანქანები და პალატები ავადმყოფებისათვის. ზოგ კლინიკას აფთიაქიც აქვს.

გურამ ზედგენიძე ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში მუშაობს მთავარ ექიმად. მას დიდი გამოცდილება აქვს, უკვე შვიდი წელია გერმანიიდან საქართველოში ჩამოვიდა. იგი ცნობილი ექიმია, კლინიკაში მუშაობს ათის ნახევრიდან შვიდ საათამდე, თუ მძიმე ავადმყოფი არ ჰყავს. ყოველ დილას მას თხუთმეტწუთიანი შეხვედრა აქვს ყველა ექიმთან, იღებს ინფორმაციას ავადმყოფების შესახებ და საუბრობს დღის გეგმაზე. ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს თერთმეტი საათიდან ოპერაციები აქვს. საოპერაციოში რამდენიმე ექთანია და ისინი ეხმარებიან ექიმებს ოპერაციის დროს.

სამშაბათს და ხუთშაბათს ბატონი გურამი პალატის ექიმებთან ერთად მიდის პაციენტებთან და მათთან საუბრობს. ავადმყოფები ოპერაციის შემდეგ რამდენიმე დღე არიან პალატაში და შემდეგ კმაყოფილები მიდიან სახლებში.

**5** უპასუხეთ კითხვებს:

1. სამედიცინო მომსახურების რა სისტემაა საქართველოში?
2. როდის აქვს ადამიანს დაზღვევა სამსახურიდან?
3. ვის აქვს სახელმწიფო დაზღვევა?
4. როგორი სადაზღვევო პაკეტები არსებობს?
5. როდის იხდის კომპანია თანხას მთლიანად?
6. ვისთან მიდის პირველად პაციენტი?
7. როდის იკეთებს ანალიზებს?
8. როგორია პირადი და მთავარი ექიმების სამუშაო საათები?
9. როგორია თანამედროვე კლინიკა?
10. როგორია კლინიკის ექიმების ყოველი დღე?
11. მუშაობს თუ არა კლინიკა შაბათს?
12. რომელ საათამდე მუშაობენ ექიმები კლინიკაში?
13. ვინ ეხმარება მთავარ ექიმს საოპერაციოში?
14. როდის ტარდება ოპერაციები კლინიკაში?
15. რა ხდება ოპერაციის შემდეგ?

| | |
|---|---|
| მ - ახველებს მე<br>გ - ახველებს შენ<br>ახველებს მას | დილიდან მახველებს. |
| მ - აცემინებს მე<br>გ - აცემინებს შენ<br>აცემინებს მას | ცუდად ხარ? გაცემინებს? |
| მ - ტკივა მე ის<br>გ - ტკივა შენ ის<br>ს - ტკივა მას ის | ნათიას ყური სტკივა. |
| ახლა ვიზომავ მე მას<br>ხვალ გავიზომავ მე მას<br>გუშინ გავიზომე მე ის<br>უნდა გავიზომო მე ის | ახლა სიცხეს იზომავს.<br>ცოტა ხანში გავიზომავ სიცხეს.<br>რამდენიმე წუთის წინ გავიზომე სიცხე.<br>სიცხე უნდა გავიზომო. |
| ახლა ვსვამ მე მას<br>ხვალ დავლევ მე მას<br>გუშინ დავლიე მე ის<br>უნდა დავლიო მე ის | ახლა წყალს ვსვამ.<br>ხვალ წამლებს დავლევ.<br>გუშინ ვიტამინი დავლიე.<br>კიდევ ორი დღე უნდა დავლიო ვიტამინები. |

| | | |
|---|---|---|
| მინდა<br>უნდა<br>შეიძლება | გადავიხად-ო<br>დავამთავრ-ო<br>დაველოდ-ო | ავიღ-ო<br>დავლი-ო<br>გავიზომ-ო<br>ვიყიდ-ო |

**6** დააკავშირეთ ერთმანეთთან სიტყვები:

ნიმუში: შეიძლება ვნახო.

| | |
|---|---|
| უნდა | ვიყიდო |
| შეიძლება | გადავიხადო |
| გვინდა | ვისადილოთ |
| გინდა | დაპატიჟო |
| მინდა | დავრეკო |

**7** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

## აფთიაქში

**– გამარჯობა.**

– გამარჯობა, რა გნებავთ?

**– ....................................... ვარ, ძალიან მტკივა ყელი, მგონი, სიცხეც მაქვს. .................. ............................. მცივა. თქვენი კონსულტაცია მინდა. რა ...........................................? ხვალ სამსახურში .................................. .**

– გახველებთ?

**– მახველებს და .............................. . ასეთ დროს ყელი კიდევ უფრო ...............................**

– რა გინდათ დალიოთ: ჩაი თუ აბები?

**– რომელი ჯობს?**

– საღამოს ჩაი დალიეთ და ღამით, ......................................... სიცხე უნდა გაიზომოთ.

**– ........................................ რა გაქვთ?**

– ეს აბები სიცხისაა. ძალიან კარგია, მალე კარგად იქნებით.

**– ხველისთვისაც, თუ შეიძლება, რამე ..........................................**

– კარგი. ეს ........................................ დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ.

**– რამდენი დღე უნდა დავლიო?**

– ხვალ უკეთესად იქნებით, მაგრამ წამლები სამი დღე უნდა დალიოთ.

**– თუ შეიძლება, თავის ტკივილის ..........................................**

– კი, ბატონო. აი, თქვენი წამლები – 22 ლარი და 80 თეთრი.

**– ინებეთ თანხა.**

– გამოჯანმრთელებას ........................................ .

**8** **წაიკითხეთ მოცემული რჩევები და შეავსეთ ცხრილი:**

### გაციების დროს უნდა დალიოთ

1. ერთი თავი ხახვის წვენი და 0.5 ლიტრი ცხელი რძე. ნახევარი – ძილის წინ და მეორე ნახევარი – დილით.
2. თბილი ჩაი, ლიმონი და ცოტა თაფლი – დღეში ხუთჯერ.

### ხველების დროს

ორი თავი თეთრი ხახვი და ორი კოვზი შაქარი რამდენიმე საათი უნდა იყოს ბნელ ადგილას. შემდეგ ეს სითხე უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ დღეში სამჯერ.

### ანგინის დროს

რეკომენდებულია თბილი რძისა და უგაზო მინერალური წყლის დალევა.

### ყელის ტკივილის დროს

2 ჩაის ჭიქა ადუღებულ რძეში გახსენით 1 კოვზი თაფლი და 50 გრამი კარაქი. დალიეთ თბილი, ცოტ-ცოტა.

| ინფორმაცია | რძე | თაფლი | მინერალური წყალი | ხახვი | შაქარი | ლიმონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაციების დროს | | | | | | |
| ყელის ტკივილის დროს | | | | | | |
| ანგინის დროს | | | | | | |
| ხველების დროს | | | | | | |



| | |
|---|---|
| ................. + ის .................. | სისხლ-ის ანალიზი<br>ანალიზ-ის პასუხი<br>ყელ-ყურ-ის ექიმი<br>ყურ-ის ტკივილი<br>ექიმ-ის კაბინეტი |
| სისხლ-ის ანალიზი | |

**9** დააწყვილეთ სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

სისხლი დირექტორი სახლი წიგნი თავი გული
რიგი ბანკი ოფისი ანანასი მკურნალობა

ანალიზი ექიმი ანგარიში მენეჯერი აივანი ნომერი
კაბინეტი მეთოდი მაღაზია ტკივილი წვენი

ნიმუში: სისხლის ანალიზი

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________
4. ____________________
5. ____________________
6. ____________________
7. ____________________
8. ____________________
9. ____________________
10. ____________________

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. გაქვთ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს სამედიცინო დაზღვევა?
2. როგორია თქვენს ქვეყანაში სამედიცინო მომსახურება?
3. რა და რა სახის სადაზღვევო პაკეტებია?
4. თქვენ ხშირად დადიხართ კლინიკაში?
5. რას აკეთებთ, თუ გაციებული ხართ?
6. ყველა მოქალაქე დაზღვეულია თქვენს ქვეყანაში?
7. აფთიაქის ხშირი სტუმარი ხართ?

**11** დაწერეთ ერთი კლინიკის შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:

## საუკეთესო / ყველაზე ცუდი კლინიკა

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

### გაკვეთილის ფრაზები

გაციებული ვარ
სიცხე მაქვს
ყელი მტკივა
ჯანმრთელობას გისურვებთ
სადაზღვევო კომპანია
პირადი ექიმი
ჩაწერილი ვარ
წამლები დავლიე
ახლა უკეთესად ვარ
საღამოობით ყური მტკივა
გავცივდი
აუცილებლად უნდა წახვიდეთ
კარგი იქნება
მიმართვას მომცემთ?
მაქვს სამედიცინო დაზღვევა
სასწრაფო დახმარება
კმაყოფილი ვარ / კმაყოფილია
თქვენთან კონსულტაცია მინდა
კიდევ უფრო მტკივა
რომელი ჯობია?
ძილის წინ
სიცხისთვის რა გაქვთ?
მალე კარგად იქნებით
დღეში სამჯერ
ჭამის შემდეგ
უკეთესად იქნებით
სამი დღე უნდა დალიოთ
ჯანმრთელობას გისურვებთ!

# გაკვეთილი 10

## მოსმენა

საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი სიტყვების ყურადღებით მოსმენა მათი დამახსოვრების მიზნით; საოჯახო ატრიბუტების (ტექნიკა, ავეჯი...) ყიდვასთან დაკავშირებული მოკლე დიალოგებიდან ისეთი ინფორმაციის გაგება, როგორიცაა: ფასი, ხარისხი, სადაურობა.

## კითხვა

სახლის / ბინის მოწყობასთან დაკავშირებული ტექსტებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება; ავეჯის მაღაზიებთან დაკავშირებული მოკლე მარტივი სარეკლამო განცხადებებიდან იმის გაგება, სად, რისი და რა ფასად შეძენაა შესაძლებელი.

## ლაპარაკი

ნაცნობ ყოველდღიურ თემებზე მოკლედ და თანამიმდევრობით საუბარი; ნაცნობი ფრაზების გამოყენებით ავეჯის ყიდვასთან დაკავშირებული საუბრის წარმართვა იმის გასარკვევად, თუ რა და რატომაა უკეთესი; საუბარი საკუთარ გამოცდილებაზე სახლის / ბინის მოწყობასთან დაკავშირებით.

## წერა

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება (კუმშვა); ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერითი ფორმით ჩამოყალიბება; მოკლე, მარტივი წინადადებებით ნაცნობი საგნების აღწერა.

ბრძანებითი კილო • კუმშვადი სახელები

# ყველაფერი ახალი ბინისთვის

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | |
|---|---|---|
| სავარძელი | ფარდა | ღუმელი |
| ტახტი | ღია | ელექტროქურა |
| სარკე | მუქი | მიკროტალღური |
| თარო | ვერცხლისფერი | ჭურჭლის სარეცხი მანქანა |
| საწოლი | ოქროსფერი | სარეცხი მანქანა |
| ტუმბო | ყავისფერი | ელექტროჩაიდანი |
| კომოდი | ვარდისფერი | ტოსტერი |
| ჭაღი | იისფერი | მტვერსასრუტი |
| ნათურა | ცისფერი | წვენსაწური |
| განათება | უჯრა | ხორცსაკეპი მანქანა |
| გათბობის სისტემა | მაცივარი | ყავის საფქვავი |
| არჩევანი | ქურა | მაგარი |
| დიზაინი | გაზქურა | რბილი |
| კონდიციონერი | ტექნიკა | ჟურნალების მაგიდა |
| | | საწერი მაგიდა |

სჩუქნის – აჩუქებს – აჩუქა–აჩუქოს

ამთავრებს – დაამთავრებს – დაამთავრა – დაამთავროს

პატიჟებს – დაპატიჟებს – დაპატიჟა – დაპატიჟოს

რეცხავს – გარეცხავს – გარეცხა – გარეცხოს

აუთოებს – გააუთოებს – გააუთოვა – გააუთოოს

**2** წაიკითხეთ დიალოგები:

## მეგობრები ავეჯის მაღაზიაში

– **ლიკა, გამარჯობა! ნია ვარ, როგორ ხართ?**
– კარგად, თქვენ? რა არის ახალი? რემონტი დაამთავრეთ?
– **ორ დღეში უნდა დავამთავროთ, შეიძლება ერთ კვირაში. ვნახოთ.**
– ლამაზია ყველაფერი?
– **კი, ყველაფერი ლამაზია. მიხარია, რომ მალე დავამთავრებთ.**
– ავეჯი იყიდეთ უკვე?
– **ჯერ არა. არაფერი არ მაქვს, მაგრამ ვიყიდით.**
– თბილისში იყიდით?
– **კი, ვიყავი ავეჯის მაღაზიებში და კარგი ავეჯი აქვთ, ახლა აქ მოვედი და უნდა ვნახო, რა არის.**
– რისი ყიდვა გინდათ?
– **რამდენიმე სავარძელი მინდა სასტუმრო ოთახისთვის და საწოლები საძინებელი ოთახისთვის; საწერი მაგიდა და თაროები – კაბინეტისთვის; შეიძლება ტახტიც ვიყიდოთ.**
– მოგწონს აქ რამე? პირველი სართული ნახე?
– **კი, მომეწონა ვერცხლისფერი ტახტი. კარგი იქნება ჩვენი კაბინეტისთვის.**
– კედლები და ფარდები რა ფერისაა კაბინეტში?
– **ფარდები თეთრია, კედლები – ღია ვერცხლისფერი.**
– კარგი იქნება. მე მომწონს ვერცხლისფერი.
– **მეც მომწონს და ამიტომ ვიყიდე ვერცხლისფერი ფარდები.**
– მესამე სართულზეც ნახე, იქაც არის სავარძლები.
– **ვნახე ვარდისფერი საწოლი ბავშვებისთვის. ჯერ არ ვიცი, ვიყიდით თუ არა.**
– კარგია, კარგი საქმით ხართ დაკავებული.
– **იმედია, მალე დავამთავრებთ ყველაფერს და მომავალ თვეში გადავალთ ახალ ბინაში.**
– აუცილებლად მოვალ და ვნახავ.
– **მოდი, მოდი, გამიხარდება!**
– ნახვამდის.



**3** **წაიკითხეთ დიალოგი და აღნიშნეთ სწორი (√ ) და არასწორი (X) ინფორმაცია:**

1. რემონტი უკვე დაამთავრეს. ..........
2. სამზარეულოს კარადები მაღაზია „ბელუქსში“ იყიდეს. ..........
3. რამდენიმე სავარძელი უნდა იყიდოს სასტუმრო ოთახისთვის. ..........
4. ბავშვების ოთახისთვის მოსწონთ იისფერი საწოლები. ..........
5. იყიდეს ვერცხლისფერი, შესანიშნავი ფარდები. ..........
6. კაბინეტისთვის არ მოსწონს ვერცხლისფერი ტახტი. ..........
7. ფარდები ოქროსფერია, სახლის კედლები – ღია ყავისფერი. ..........
8. კიდევ ექვსი თვე არ გადადიან ახალ სახლში. ..........
9. ჯერ არ იციან, იყიდიან თუ არა საწოლებს ბავშვებისთვის. ..........
10. ბევრი ავეჯი უნდა იყიდონ ახალი სახლისთვის. ..........

**4** **წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ, როგორია ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ახალი ბინა:**

## ახალი ოჯახი ახალ ბინაში

თორნიკე და ანა უკვე ხუთი წელია ცოლ-ქმარი არიან. ისინი თორნიკეს მშობლებთან ცხოვრობენ. ორივე მუშაობს: ერთი ბანკში, მეორე – ეკონომიკის სამინისტროში. ხუთი თვის წინ თორნიკემ ათწლიანი კრედიტი აიღო ბანკიდან. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ახალი ბინა იყიდა – საბურთალოზე.

ბინა თერთმეტსართულიან სახლშია, მეხუთე სართულზე. ეს ძალიან კარგი, ნათელი დიდი ოთხოთახიანი ბინაა. ბინაში რემონტს ამთავრებენ. ანას ძალიან მოსწონს ღია და ნათელი ფერები, ბავშვების საძინებელი ღია ვარდისფერი უნდა იყოს. მათი ოთახის კედლები ღია ოქროსფერია და ფარდები კი – მუქი ყავისფერი. ავეჯი ჯერ არ აქვთ.

ანა უკვე ორი კვირაა ავეჯის მაღაზიებში დადის და ბევრი რამე ნახა. ჯერ არ იცის, ზუსტად რას იყიდის. არ უნდათ და არ მოსწონთ სახლში ბევრი ავეჯი. ამიტომ სასტუმრო ოთახისთვის რბილი ავეჯის ყიდვა უნდათ. რამდენიმე სავარძელი და ტახტი, ჟურნალების მაგიდა და ტელევიზორი – აი, მხოლოდ ეს იქნება მათ სასტუმრო ოთახში.

გოგონებისთვის ვარდისფერი ოთახი უნდათ. ანამ ვარდისფერი საწოლი ნახა და უნდა იყიდოს. ღია ვარდისფერი კარადები უკვე მზადაა. ფარდებიც ძალიან ლამაზია, თეთრი და ვარდისფერი ყვავილებით.

კაბინეტი თორნიკესაც და ანასაც ძალიან მოსწონთ. აქ იქნება წიგნების კარადა, უჯრებიანი საწერი მაგიდა, სამი თარო და კომფორტული სკამი. ანას უნდა ორი პატარა სავარძლის ყიდვა, მაგრამ თორნიკე ფიქრობს, რომ ეს კაბინეტისთვის ბევრი იქნება.

ანა ფიქრობს, რომ საძინებლისთვის უნდა იყიდოს დიდი საწოლი, ორი ტუმბო, დიდი სარკე და კომოდი ოთხი უჯრით. უკვე იყიდა იტალიური ფარდები, ლამაზი და ხარისხიანი. სამზარეულოსთვის არ აქვთ მაცივარი, მაგიდა და სკამები. დიდი მაგიდა უნდათ იყიდონ, რომ ბევრი სტუმარი დაპატიჟონ. სამზარეულოს კარადები უკვე გაკეთებულია.

სამზარეულოს კედლები თეთრია და კარადები – ღია იისფერი. ამიტომ მაცივარი შავი ან ვერცხლისფერი უნდათ იყიდონ. განათება თანამედროვე აქვთ. მთელი სახლი ნათელ ფერებშია. ყველაფერი ძალიან ლამაზი დიზაინითაა.

ფიქრობენ, მალე იყიდიან ყველაფერს და ახალ სახლში მეგობრებს დაპატიჟებენ.

## 5 უპასუხეთ კითხვებს:

1. ვის შესახებ არის ეს ტექსტი?
2. სად ცხოვრობენ და სად მუშაობენ ისინი?
3. საიდან აიღეს კრედიტი და რატომ?
4. როგორია მათი ახალი ბინა?
5. რა ფერები მოსწონს ანას?
6. რა უნდა იყიდოს ახლა ანამ და რისთვის?
7. როგორი იქნება მათი სასტუმრო ოთახი?
8. როგორი იქნება ბავშვების ოთახის დიზაინი?
9. რა უნდათ იყიდონ კაბინეტისთვის?
10. რას ფიქრობს თორნიკე კაბინეტის ავეჯის შესახებ?
11. როგორია საძინებელი ოთახის დიზაინი, ანას აზრით?
12. რა არ აქვთ სამზარეულოში?



| | |
|---|---|
| ახლა რეცხავს ის მას<br>ხვალ გარეცხავს ის მას<br>გუშინ გარეცხა მან ის<br>უნდა გარეცხოს მან ის | ანა სამზარეულოშია და თეფშებს რეცხავს. |
| ახლა აუთოებს ის მას<br>ხვალ გააუთოებს ის მას<br>გუშინ გააუთოვა მან ის<br>უნდა გააუთოოს მან ის | საღამოს ანა თორნიკეს შარვალს გააუთოებს. |
| ახლა პატიჟებს ის მას<br>ხვალ დაპატიჟებს ის მას<br>გუშინ დაპატიჟა მან ის<br>უნდა დაპატიჟოს მან ის | ანამ და თორნიკემ შაბათს ახალ სახლში სტუმრები დაპატიჟეს. |
| ახლა აჩუქებს ის მას მას<br>ხვალ აჩუქებს ის მას მას<br>გუშინ აჩუქა მან მას ის<br>უნდა აჩუქოს მან მას ის | მეგობრებმა მათ ახალი სახლისთვის ლამაზი მაცივარი უნდა აჩუქონ. |
| ახლა ამთავრებს ის მას<br>ხვალ დაამთავრებს ის მას<br>გუშინ დაამთავრა მან ის<br>უნდა დაამთავროს მან ის | ახალ სახლში მათ რემონტი ხუთ თვეში დაამთავრეს. |

.......................... ე!

აკეთებს – გააკეთე!
თამაშობს – ითამაშე!
ნახულობს – ნახე!

მიდის – მიდი!
მოდის – მოდი!

გადაიხადე!
დაელოდე!
აიღე!
დალიე!
ჭამე!
გაიზომე!
იყიდე!
ნახე!
დარეკე!
დაწერე!
დაამთავრე!
გააკეთე!
მოამზადე!

იმუშავე!
იცხოვრე!
ითამაშე!
ისაუზმე!
ისადილე!
ივახშმე!
იფიქრე!
იყიდე!
წაიკითხე!
ილაპარაკე!



**6** მიუწერეთ შესაბამისი ფორმა:

ნიმუში: დარეკვა – დარეკე!

| | |
|---|---|
| მუშაობა | |
| | დარეკე! |
| ყიდვა | |
| | გადაიხადე! |
| ჭამა | |
| | ისადილე! |
| მომზადება | |
| | დაპატიჟე! |
| დალევა | |
| | დაწერე! |
| ხატვა | |
| | იფიქრე! |
| ლაპარაკი | |
| | წაიკითხე! |
| ლოდინი | |

**7** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

## ტექნიკის ყიდვა

– გამარჯობა.
– კონსულტანტი თქვენ ხართ? თუ შეიძლება, ............................................ მინდა ჩემი მეგობრისთვის. ახალ ბინაში გადადიან.

– რა გნებავთ იყიდოთ? ჩვენ ...................................... გვაქვს. საოჯახო ტექნიკა მეორე ...................................... . თქვენ რა გაინტერესებთ?

– ელექტროჩაიდანი მინდა. მტვერსასრუტიც მაინტერესებს.

– კი, ბატონო, გვაქვს ...................................... . თქვენ რა ფასიანი გინდათ? ფასები ასი ლარიდან ხუთას ლარამდეა.

– კარგია, ...................................... ვნახავ.

– აქეთ მობრძანდით, ეს ევროპული ...................................... : გერმანული, ავსტრიული და ფრანგული.

– ეს ...................................... მტვერსასრუტი მომწონს.

– დიახ, ლამაზი და ...................................... მტვერსასრუტია.

– სადაურია და რა ღირს?

– ...................................... და ძალიან კარგი ხარისხია. ას ოთხმოცი ლარი ღირს.

– კარგია. ის პატარა ელექტროჩაიდანი რა ფასიანია?

– ...................................... აქვს ორმოცდაათი პროცენტი, თუ ...................................... მტვერსასრუტს.

– ლამაზია. ორივეს ვიყიდი. რამდენი ლარის იქნება ერთად?

– ორას ...................................... ლარი.

– კი, ბატონო. სად არის სალარო?

– აი, იქ მიბრძანდით. ...................................... .

– დიდი მადლობა.

**8** წაიკითხეთ მოცემული რჩევები და უპასუხეთ კითხვებს:

## ინფორმაცია ფასდაკლებაზე

1. კუთხის ტახტი „ბარსელონა“ – კოდი-08
   - ღირებულება – 2000 ლარი
   - ფასდაკლებით – 1400 ლარი
   - 600 ლარით ნაკლები
   - ფასდაკლება 30%

2. ზაფხულის ავეჯი – კოდი-99
   - ღირებულება – 2600 ლარი
   - ფასი ფასდაკლებით – 1560 ლარი
   - 1040 ლარით ნაკლები
   - ფასდაკლება 40%

3. კარადები – კოდი-107
   - ღირებულება – 2400 ლარი
   - ფასდაკლებით – 1420 ლარი
   - 980 ლარით ნაკლები
   - ფასდაკლება 40%

1. რომელი ავეჯია ყველაზე ძვირი?

2. რომელ ავეჯს აქვს ყველაზე დიდი ფასდაკლება?

3. რომელი ავეჯია ყველაზე იაფი ფასდაკლების შემდეგ?

4. რომელია ფასდაკლების საუკეთესო პროცენტი?

| | | |
|---|---|---|
| -ალ, -ამ, -ან, -არ | -ის<br>-ით<br>-ად<br>-ებ | ალუბალი – ალუბლ-ის<br>ატამი – ატმ-ის<br>ბატკანი – ბატკნ-ის<br>სტუმარი – სტუმრ-ებ-ის |
| -ელ, -ემ, -ენ, -ერ | | კედელი – კედლ-ის<br>ირემი – ირმ-ის<br>ყურძენი – ყურძნ-ის<br>მტერი – მტრ-ის |

**9** **ჩასვით სიტყვები სწორად:**

1. (ყურძენი) ........................................ წვენი ძალიან გემრიელია.
2. კვირას სახლში (სტუმარი) ........................................ იყვნენ.
3. ანას ძალიან მოსწონს საძინებლის (კედელი) ........................................ ფერი.
4. რბილი (სავარძელი) ........................................ ყიდვა მინდა.
5. ჩვენი ახალი (მასწავლებელი) ........................................ ძალიან კმაყოფილი ვართ.
6. (ალუბალი) ........................................ ტორტი ძალიან მიყვარს.
7. ჩემთან გუშინ (მეგობარი) ........................................ მოვიდნენ.
8. (ფორთოხალი) ........................................ წვენი მინდა.
9. ცნობილი (მხატვარი) ........................................ გამოფენა გუშინ დაიწყო.
10. ზამთრისთვის ოჯახის ყველა წევრისთვის ახალი (საბანი) ........................................ უნდა ვიყიდო.

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. რომელი ქვეყნის ავეჯი მოგწონთ?
2. კლასიკური სტილის ავეჯი მოგწონთ თუ თანამედროვე?
3. როგორ ფიქრობთ, რა ავეჯი უნდა იყოს სასტუმრო ოთახში?
4. ავეჯის რომელი მაღაზიებია თქვენს ქალაქში / ქვეყანაში?
5. რა ფერის ავეჯი მოგწონთ?
6. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს კაბინეტში?
7. სად იყიდეთ ავეჯი თქვენი სახლისთვის?

| | |
|---|---|
| ......................... + ის + ფერი | |
| ვარდი → ვარდ + ის + ფერი | ვარდისფერი |
| ......................... + ს + ფერი | |
| ოქრო → ოქრო + ს + ფერი | ოქროსფერი |
| ......................... + ის + ფერი | ყავისფერი |
| ყავა → ყავ + ის + ფერი | |

**11** დაწერეთ ავეჯის მაღაზიის შესახებ. გამოიყენეთ მე-12 დავალებაში მოცემული ფრაზები:



## ავეჯის სალონში

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

### გაკვეთილის ფრაზები

რისი ყიდვა გინდა?
ბევრი არაფერი
რა ფერია კაბინეტი?
მომწონს და ამიტომ ვიყიდე
მესამე სართულზეც ნახე
ჯერ არ ვიცი, ვიყიდით თუ არა
კარგი საქმით ხართ დაკავებული
იმედია, მალე დაამთავრებთ
მომავალ თვეში
ახალ ბინაში გადავალთ
აუცილებლად მოვალ
აუცილებლად მოდი!
საჩუქარი მინდა მეგობრისთვის
რა გნებავთ იყიდოთ?
თქვენ რა გაინტერესებთ?
მტვერსასრუტიც მაინტერესებს
დიდი არჩევანი გვაქვს
თქვენ რა ფასში გინდათ ყიდვა?
ოცი ლარიდან ორმოცდაათ ლარამდე
აქეთ მობრძანდით
სადაურია და რა ღირს?
კარგი ხარისხია
რა ფასიანია?
ფასდაკლება აქვს
ოცდაათპროცენტიანი ფასდაკლებაა
ორივეს ვიყიდი
რამდენი ლარის იქნება ერთად?
უკვე ხუთი წელია
ორი კვირაა მაღაზიებში დავდივარ
ხუთი თვის წინ
ათწლიანი კრედიტი ბანკიდან
ოთხოთახიანი ბინა
ჯერ არ აქვთ
წიგნების კარადა
უჯრებიანი საწერი მაგიდა
გვინდა კომოდი ოთხი უჯრით
საძინებლისთვის მაინტერესებს
უკვე გაკეთებულია
ლამაზი დიზაინია
ახალ სახლს გილოცავ!
მიხარია!
მშვიდობაში!

# გაკვეთილი 11

## მოსმენა



ნელა და მკაფიოდ გადმოცემული მოკლე ტექსტებიდან, რომლებშიც საუბარია ამა თუ იმ სახის ინფორმაციაზე, ძირითადი ამბის გაგება; ქართულ ღვინოსთან დაკავშირებულ ტექსტში ხშირად გაგონილი სიტყვების, ცალკეული ფრაზებისა და მოკლე წინადადებების გაგება.

## კითხვა



ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაგება; ქვეყანათმცოდნეობითა და კულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესო თხრობითი ხასიათის არცთუ ისე მცირე ზომის ტექსტების ძირითადი შინაარსის გაგება, თუ ტექსტებს მკაფიო და ლოგიკური სტრუქტურა აქვს.

## ლაპარაკი



საუბარი რაიმე მოვლენის, ფაქტის (მაგ., წვეულების, ფესტივალის, ექსკურსიის...) შესახებ და მასთან დაკავშირებული ემოციების გამოხატვა; ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობის აღწერა; ნაცნობი ფრაზებითა და მარტივი წინადადებებით საუბარი ქართულ ღვინოსა და მის მნიშვნელობაზე.

## წერა



ზედსართავი სახელების ხარისხის ფორმების მართლწერა; მარტივი სინტაქსური კონსტუქციების გამოყენება (ადგილმდებარეობის გამოხატვა); აქტიური ლექსიკის გამოყენებით უკვე მოსმენილი / წაკითხული რაიმე მოვლენის, ფაქტის (რა, სად, როგორ, რატომ მოხდა) წერითი ფორმით გადმოცემა.

ზედსართავის ოდნაობითი ხარისხი ● ადგილმდებარეობა

# ღვინის ფესტივალზე

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

გემო
გემოვნება
მშრალი
ნახევრად ტკბილი
ნახევრად მშრალი
მოტკბო
მომჟავო
მომწარო
ჭიში
ვაზი
ვენახი
ჭაჭა
არომატი
განსაკუთრებული
მეღვინე
სურნელი

სუნი
ოდნავ
კუთხე
დოქი
ყანწი
სასმისი
სასმელი
ქვევრი
კასრი
განსხვავებული
მწიფე
მკვახე

მწარმოებელი
წარმოება
მოკრეფილი
მორევა
უკან
ირგვლივ
გვერდით
გარეშე
რთველი = ყურძნის კრეფა
დააგემოვნეთ!
ურჩევნია – ურჩევნიათ
ყურძნის დაწურვა

სინჯავს – გასინჯავს – გასინჯა – უნდა გასინჯოს
მონაწილეობს – მონაწილეობენ
მოსწონს – მოეწონება – მოეწონა






**2** ა. წაიკითხეთ დიალოგები:

## ქართული ღვინის ფესტივალი

**– როდის არის ღვინის ფესტივალი?**
– ყოველ წელს, მაისის პირველ შაბათ-კვირას.
**– რამდენი დღეა ფესტივალი?**
– ფესტივალი ორი დღეა: შაბათს და კვირას.
**– რა ჰქვია ფესტივალს?**
– ფესტივალს ჰქვია „ახალი ღვინის ფესტივალი“.
**– მხოლოდ ახალი ღვინო იქნება?**
– დიახ. ფესტივალზე მხოლოდ იმ წლის ღვინოა, როცა ფესტივალია. ძველი ღვინო არ იქნება.
**– სადაა ფესტივალი?**
– კუს ტბის გზაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში.
**– რა კარგია. წავიდეთ. მე წამოვალ ჩემს სტუმართან ერთად. ის აპრილის ბოლოს ჩამოდის თბილისში.**
– ჩვენც წამოვალთ, ერთად წავიდეთ.
**– შარშან იყავი ფესტივალზე?**
– კი, ვიყავი. შარშანაც კარგი იყო. იქ ყოველთვის ბევრი ხალხია და ძალიან საინტერესოა. ბევრი კომპანია მონაწილეობს, აქვთ ქარხნის ღვინო. ფესტივალზე ზოგჯერ ოჯახის ღვინოც არის.
**– ოჯახის ღვინო რა არის?**
– ოჯახის ღვინო ოჯახში დამზადებული ღვინოა.
**– გავსინჯავთ?**
– კი, უნდა გავიგოთ, ვის როგორი ღვინო აქვს და ვისია ყველაზე კარგი.
**– როგორი ღვინო აქვთ უფრო ხშირად?**
– იქ ყველანაირი ღვინო აქვთ: მშრალი, ტკბილი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი.
**– აუცილებლად წავიდეთ.**
– აუცილებლად.




ბ. წაიკითხეთ დიალოგი, მონიშნეთ ინფორმაცია ღვინის ფესტივალის შესახებ და გადმოეცით თხრობით.

**3** წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია საქართველოში ღვინის ფესტივალის შესახებ:

## ღვინის ფესტივალი

11 მაისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ახალი ღვინის ფესტივალზე მონაწილეობდა ოცდაათამდე კომპანია და ორმოცამდე ოჯახური მარანი. ბოლო წლებში საქართველოში მეღვინეობა ისევ ტრადიციული და ყველაზე წარმატებული ბიზნესია. ფესტივალზე ყოველთვის ბევრი ხალხია, ბევრიც სპეციალურად ჩამოდის ღვინის ფესტივალისთვის. ყველა სტუმარი სვამს ღვინოს, მაგრამ ბევრს არა. მათ ყველა ტიპის ღვინის გასინჯვა უნდათ. ფესტივალზე ძველი, ტრადიციული კომპანიებიც მონაწილეობენ და ახალი, პატარა კომპანიებიც. მათ სხვადასხვა სახეობის, ფერის და გემოს ღვინო აქვთ. ეს ფესტივალი ქართული ღვინოების კარგი რეკლამაა.

ახალი ღვინის ფესტივალზე ბევრია ოჯახური მარნების ღვინო. ბევრი ქართველისთვის ღვინის დამზადება ჰობია. ქართველები ძალიან ხშირად ამზადებენ ღვინოს ოჯახში. მათ აქვთ სპეციალურად გაკეთებული მარანი.

ახალგაზრდა ენთუზიასტებმა კარგად იციან მარკეტინგი. ისინი ინტერნეტით და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით უცხოელ პარტნიორებს ეკონტაქტებიან და მათი დახმარებით ღვინოს უცხოეთშიც ყიდიან.

ახალი ღვინის ფესტივალს ოთხწლიანი ისტორია აქვს. ახალგაზრდები ენთუზიაზმით და სიყვარულით იწყებენ ღვინის საქმეს. ახალგაზრდებს გვერდით ჰყავთ მშობლები. მათ, მართალია, მარკეტინგი კარგად არ იციან, მაგრამ კარგად იციან ვენახის მოვლა და ღვინის დამზადება. ასე აგრძელებენ ქართველი ახალგაზრდები ღვინის დამზადების მნიშვნელოვან ქართულ ტრადიციას.

წელს ახალი ღვინის ფესტივალზე ვაზის იშვიათი ქართული ჯიშის – ხიხვის ყურძნისგან დამზადებული ღვინო წარმოადგინა კარდენახელმა ზურა მღვდლიაშვილმა. მის პაპას, ნიკალას, კახეთში, სოფელ კარდენახში, ლამაზი მარანი ჰქონდა. ახლა კი შვილიშვილს აქვს ახალი მარანი. მას „ნიკალას მარანი“ ჰქვია. იქ ყველაფერი ძველებური და ისტორიულია. ეს მარანი ასი წლისაა და დღესაც ძალიან საინტერესოა სტუმრებისთვის. ის მნიშვნელოვანი ადგილია ღვინის ტურიზმისთვის.

ღვინით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შორის არიან ქალებიც. მათ ზოგჯერ კაცებზე მეტი ინფორმაცია აქვთ ვაზისა და ღვინის შესახებ. შარშან ახალი ღვინის ფესტივალზე გურჯაანელმა დიანა ინანაშვილმა ქვევრში დამზადებული „რქაწითელი“ წარმოადგინა ფესტივალზე.

წელს კი ღვინის ფესტივალის საინტერესო სიახლე იყო ახალი ბრენდი – „მანდილი“. კომპანიას ჯერჯერობით ერთი დასახელების ღვინო აქვს – „მწვანე“. ღვინის დამზადებაში ქალებიც მონაწილეობენ. ღვინის ეტიკეტზე კი მოცეკვავე ქართველი ქალის ფიგურაა.

მართალია, საქართველოში ყველა არ ამზადებს ფესტივალისთვის ღვინოს, მაგრამ ოჯახისთვის ეს მნიშვნელოვანი ტრადიციაა. ხანდახან მეგობრები ერთად ყიდულობენ კახეთში რამდენიმე ტონა ყურძენს, ერთად წურავენ, ერთად ამზადებენ ღვინოს მთელი წლისთვის და შემდეგ მთელი წელი ერთადაც სვამენ. მათთვის ეს ძალიან საამაყო და ბუნებრივი პროცესია, საქართველო ხომ ღვინის კულტურის ქვეყანაა.

**4** უპასუხეთ კითხვებს:

1. რის შესახებ არის ეს ტექსტი?
2. როდის და სად არის „ღვინის ფესტივალი“?
3. რა ტიპის ღვინოები შეგიძლიათ ნახოთ ღვინის ფესტივალზე?
4. რა არის მარანი?
5. რამდენწლიანი ისტორია აქვს ქართული ღვინის ფესტივალს?
6. რა იყო საინტერესო შარშან ღვინის ფესტივალზე?
7. ვინ და რა წარმოადგინა კარდენახიდან ღვინის ფესტივალზე?
8. რა არის „ოჯახის ღვინო“?
9. რა იყო წელს ღვინის ფესტივალის საინტერესო სიახლე?
10. რას აკეთებენ სტუმრები ღვინის ფესტივალზე?
11. სად არის და როგორია „ნიკალას მარანი“?
12. ვინ მონაწილეობს ღვინის ფესტივალზე?



| | |
|---|---|
| ახლა სინჯავს ის მას<br>ხვალ გასინჯავს ის მას<br>გუშინ გასინჯა მან ის<br>უნდა გასინჯოს მან ის | ანა სამზარეულოშია და წითელ ღვინოს სინჯავს. |
| ახლა წურავს ის მას<br>ხვალ დაწურავს ის მას<br>გუშინ დაწურა მან ის<br>უნდა დაწუროს მან ის | მეგობრებმა კახეთში ღვინო ერთად დაწურეს. |
| ახლა მოსწონს მას ის<br>ხვალ მოეწონება მას ის<br>გუშინ მოეწონა მას ის<br>უნდა მოეწონოს მას ის | უცხოელ პარტნიოერებს ეს მარნის ღვინო მოეწონებათ. |
| ახლა ურჩევნია მას ის | ახალგაზრდებს ურჩევნიათ ღვინის დამზადების ტრადიციული გზა. |
| ახლა მონაწილეობს ის<br>ახლა მონაწილეობენ ისინი | ღვინის დამზადებაში ქალებიც მონაწილეობენ. |

**5** მიუწერეთ შესაბამისი ფორმა:

ნიმუში: გასინჯვა – გასინჯე!

| | |
|---|---|
| დამთავრება | |
| | დაწურე! |
| კითხვა | |
| | ჭამე! |
| გადახდა | |
| | მოემზადე! |
| სადილობა | |
| | დალიე! |
| დაპატიჟება | |
| | დახატე! |
| დარეკვა | |
| | ილაპარაკე! |
| ფიქრი | |
| | დაწერე! |
| ლოდინი | |

**6** ა. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

## ღვინის ფესტივალზე

**– გამარჯობა, შენც აქ ხარ?**

– აბა, სად ვიქნები? .......................................... და მე იქ არ ვიყო? არ შეიძლება.

**– ვისთან ერთად ხარ? მარტო ხარ?**

– არა, ჩემს ინგლისელ .......................................... ერთად.

**– ...................................... აქ? პირველად არის საქართველოში? ღვინის ფესტივალზე?**

– არა, საქართველოში ხშირადაა, შარშან .................................... იყო კახეთში, მაგრამ ღვინის ფესტივალზე პირველადაა. ძალიან მოსწონს. ყველა ღვინო .............................. .

**– რომელი .......................................... ყველაზე მეტად?**

– თეთრი ღვინოებიდან .......................................... მოსწონს.

**– რომელი?**

– „რქაწითელი“ და „წინანდალი“.

– .......................................... მოსწონს?

– კი, „საფერავი“, წითელი მშრალი ღვინოა, ძალიან კარგი .................................... აქვს.

– ისე, ბევრ უცხოელს მოსწონს ეს ღვინო. კიდევ ........................................... მოსწონთ?

– კიდევ „ქინძმარაული“, ესეც წითელი ღვინოა, ნახევრად ტკბილი, კახური ღვინოა.

– მეც ........................... წითელი ღვინო მიყვარს, მაგრამ „ხვანჭკარა“. ამ ღვინოს რაჭაში ამზადებენ. ყურძნის ჯიშია „ალექსანდრიული“, მაგრამ „ხვანჭკარა“ ................................. გამო ჰქვია. ალექსანდრიული ჯიშის ყურძენი .......................................... – ხვანჭკარაში და, .......................................... 40 - 50 კილომეტრზე მოდის.

– ჰო, მეც მიყვარს „ხვანჭკარა“, ძალიან გემრიელი და სურნელოვანი ღვინოა.

– ჰო, კარგია .......................................... , ძალიან კარგი.

ბ. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (√) და არასწორი (X) ინფორმაცია:

1. ხვანჭკარა კახური ღვინოა. ........................................ ☐
2. რქაწითელი თეთრი მშრალი ღვინოა. ........................................ ☐
3. საფერავს რაჭაში ამზადებენ. ........................................ ☐
4. ყურძნის ჯიშია „ალექსანდრიული“. ........................................ ☐
5. „ქინძმარაული“ კახური ღვინოა, წითელი, ნახევრად ტკბილი. ........................................ ☐
6. ინგლისელი სტუმარი ღვინის ფესტივალზეა. ........................................ ☐
7. სტუმარს მოსწონს თეთრი მშრალი ღვინო. ........................................ ☐
8. „ხვანჭკარა“ ტკბილი კახური ღვინოა. ........................................ ☐
9. ხვანჭკარა რაჭის სოფელია. ........................................ ☐
10. ალექსანდრიული ყურძენი მხოლოდ სოფელ ხვანჭკარაში, 40-50 კილომეტრზე მოდის. ☐

**7** წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია და შეავსეთ ცხრილი:

### საუკეთესო ქართული ღვინოები

1. ალავერდის ტრადიციები
   - მწარმოებელი: ბადაგონი
   - მოსავლის წელი: 2007
   - ტიპი: თეთრი, მშრალი
   - ყურძნის ჯიში: რქაწითელი

2. რქაწითელი
   - მწარმოებელი: თბილღვინო
   - მოსავლის წელი: 2009
   - ტიპი: თეთრი, მშრალი
   - ყურძნის ჯიში: რქაწითელი

**3.** წინანდალი
- მწარმოებელი: თბილღვინო
- მოსავლის წელი: 2009
- ტიპი: თეთრი, მშრალი
- ყურძნის ჯიში: რქაწითელი, მწვანე
- ადგილი: კახეთი, წინანდალი

**4.** ცოლიკაური
- მწარმოებელი: თელიანი ველი
- მოსავლის წელი: 2010
- ტიპი: თეთრი, მშრალი
- ყურძნის ჯიში: ცოლიკაური

**5.** უსახელაური
- მწარმოებელი: უსახელაურის ვენახები
- მოსავლის წელი: 2010
- ტიპი: წითელი, ნახევრად ტკბილი
- ყურძნის ჯიში: უსახელაური

**6.** ხვანჭკარა
- მწარმოებელი: თბილღვინო
- მოსავლის წელი: 2010
- ტიპი: წითელი, ნახევრად ტკბილი
- ყურძნის ჯიში: ალექსანდრიული, მუჯურეთული
- ადგილი: რაჭა, ხვანჭკარა

| № | ღვინის სახელი | მწარმოებელი | მოსავლის წელი | ტიპი | ყურძნის ჯიში | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | | |
| 2. | | | | | | |
| 3. | | | | | | |
| 4. | | | | | | |
| 5. | | | | | | |
| 6. | | | | | | |



მო ............................ ო

ოდნავ დიდი = მოდიდო

დიდი – მო-დიდ-ო
შავი – მო-შავ-ო
თეთრი – მო-თეთრ-ო

მაღალი – მო-მაღლ-ო
იისფერი – მო-იისფრ-ო
ცისფერი – მო-ცისფრ-ო

მწარე – მო-მწარ-ო
მჟავე – მო-მჟავ-ო
მწვანე – მო-მწვან-ო

წითელი – მო-წითალ-ო
ყვითელი – მო-ყვითალ-ო

ტკბილი – მო-ტკბ-ო
გრძელი – მო-გრძ-ო

**8** ჩასვით ზედსართავი სახელები ოდნაობითი ხარისხის ფორმით:

ნიმუში: მაკას დიდი, (მწვანე) მომწვანო ლამაზი თვალები აქვს.

1. ამ წვენს (მწარე) ......................................... გემო აქვს.
2. ძალიან ტკბილი ჩაი არ მომწონს, მე (ტკბილი) ...................................... ჩაის ვსვამ.
3. ნათიას სამზარეულო (თეთრი) ......................................... .
4. ეს (შავი) ......................................... კარადა ამ ოთახში დავდგათ.
5. ის (ყვითელი) ......................................... ჩანთა ისე მომეწონა, რომ უნდა ვიყიდო.
6. ბიძაჩემის ღვინოს (მჟავე) ......................................... გემო ჰქონდა.
7. ლაშას დაბადების დღეზე (ცისფერი) ................................ სპორტული ჩანთა აჩუქეს.
8. (გრძელი) ......................................... თმა ნინის ძალიან უხდება.
9. მე მაღაზიაში (წითელი) ......................................... მობილური ტელეფონი ვნახე.
10. კონცერტზე ნატა ულამაზესი (ვარდისფერი) ..................................... კაბით მოვიდა.

**9** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. რომელი ქვეყნის ღვინო იცით?
2. რომელი ღვინო მოგწონთ: თეთრი თუ წითელი? რატომ?
3. ქართული ღვინოებიდან რომელი იცით და რომელი მოგწონთ?
4. არის თქვენს ქალაქში ღვინის მაღაზია? იმ მაღაზიაში უფრო მეტად რომელი ქვეყნების ღვინოებია?
5. მოგწონთ იდეა „ღვინის ფესტივალი"? რატომ?
6. რომელი ღვინოა თქვენთვის სასიამოვნო?
7. სად და როდის გიყვართ ღვინის დალევა: სახლში, რესტორანში, სადილზე, ვახშამზე?



......................... +ის

სახლ - ის გვერდით

.........................+ს

ეზო - ს ირგვლივ

გვერდით
ირგვლივ
წინ
უკან
ზემოთ / ზევით
ქვემოთ / ქვევით
ქვეშ
მარცხნივ
მარჯვნივ
პირდაპირ

**10** აღწერეთ ფოტოები. გამოიყენეთ მე-11 დავალებაში მოცემული ფრაზები:









**11** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

## გაკვეთილის ფრაზები

ღვინის ფესტივალი ყოველ წელს არის
მაისის პირველ შაბათ-კვირას
ახალი ღვინო
ძველი ღვინო
ბოთლის ღვინო / ქარხნის ღვინო
ოჯახის ღვინო
ეთნოგრაფიულ მუზეუმში
მაგარი იქნება
ჩვენც წამოვალთ
ბევრი კომპანია მონაწილეობს
ოჯახში დამზადებული
მშრალი / ტკბილი ღვინო
ნახევრად მშრალი / ნახევრად ტკბილი ღვინო
აუცილებლად წავიდეთ!
ვისთან ერთად ხარ?
მარტო ხარ?
პირველად არის საქართველოში?
ღვინის გემო, ფერი და სუნი
გემრიელი და სურნელოვანი ღვინოა
კახური ღვინო
ფესტივალზე მონაწილეობდა
ფესტივალზე წარმოადგინა
ბოლო წლებში
ღვინის გასინჯვა
ტრადიციული კომპანიები
სხვადასხვა სახეობის
ღვინის დამზადება
თანამედროვე საკომუნიკაციო საშუ-
ალებები
უცხოელი პარტნიორები
ოთხწლიანი ისტორია
სიყვარულით იწყებენ საქმეს
აგრძელებენ ტრადიციებს
მნიშვნელოვანი ადგილი
ღვინის ტურიზმისთვის
ღვინით დაინტერესებული
ჯერჯერობით ერთი
ღვინის დამზადებაში მონაწილეობენ
ღვინის ეტიკეტი
მათთვის საამაყოა
ბუნებრივი პროცესია
ღვინის კულტურის ქვეყანა
ტრადიციული და წარმატებულია
ოცდაათამდე კომპანია
ვარდის სურნელი

# გაკვეთილი 12

## მოსმენა

უძველესი ქართული საგანმანათლებლო ცენტრის შესახებ და ქართული სუფრის ტრადიციებზე (თამადა, სადღეგრძელო...) მოსმენილი მარტივი დიალოგებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება.

## კითხვა

კულტუროლოგიური და ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის ტექსტებიდან, რომლებშიც საუბარია ქართულ სუფრასა და კერძებზე, სტუმართმასპინძლობაზე, ინფორმაციის წაკითხვა, გაგება და სათანადოდ დახარისხება.

## ლაპარაკი

სხვებისთვის საკუთარი და მისთვის ნაცნობი სხვა ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების გაცნობა; ამავე თემაზე მისთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ანალოგიური ინფორმაციის გამოკითხვა სხვებისგან.

## წერა

წერის დროს წარსული დროის ფორმების სწორად გამოყენება; ნაცნობი თემების (საკუთარი და სხვა კულტურების, სტუმართმასპინძლობის) შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა; საკუთარი გამოცდილებისა და აზრის წერილობით ჩამოყალიბება სხვებისთვის მისი გაცნობის მიზნით.

კუმშვადი ფუძეები ● მსგავსებითი შედარება

# სტუმრად ქართულ ოჯახში

**1** წაიკითხეთ, მოისმინეთ და სწორად გამოთქვით სიტყვები:

| | | | |
|---|---|---|---|
| სტუმარი | სასახლე | ხეხილი | მყუდრო |
| მასპინძელი | სიცოცხლე | ცოცხალი | ხედი |
| საკუთარი | ტკბილეული | ხალისი | საფლავი |
| მზარეული | მწნილეული | ხალისიანი | სქელი |
| თარჯიმანი | შვილთაშვილი | სახალისო | თხელი |
| ისპანახი | თაობა | მოკლედ | კვეცა /კუმშვა |
| სიმინდი | მოვლა | ცალკე | ნიგვზიანი |
| ქინძი | სიძე | გალავანი | ნივრიანი |
| ოხრახუში | რძალი | სწორედ | წვერულვაშიანი |
| საჭმლის რეცეპტი | ბიცოლა | მორთული | სადღეგრძელოები |
| ფქვილი | მაზლი | ორნამენტი | დედმამიშვილი |
| ტყემალი | მული | თითქმის | |

ხელისგულივით ჩანს = კარგად ჩანს.
ისე კარგად და ნათლად ჩანს ყველაფერი, როგორც ხელისგული.
ვიცნობ – ვიცნობდი – გავიცნობ – გავიცანი – გავიცნო
პატიჟებს – პატიჟებდა – დაპატიჟებს – დაპატიჟა – დაპატიჟოს
უვლის – უვლიდა – მოუვლის – მოუარა – მოუაროს
აშენებს – აშენებდა – ააშენებს – ააშენა – ააშენოს
შლის – შლიდა – გაშლის – გაშალა – უნდა გაშალოს
წვავს – წვავდა – შეწვავს – შეწვა – შეწვას
დაიბადა / გარდაიცვალა

**2** წაიკითხეთ დიალოგი:

## სტუმრად ქუთაისში

**– ნიკ, ერთ საათში ქუთაისში ვიქნებით. ცოტა ხანში ჩემს ნათესავებს გაიცნობ.**

– ბევრი ნათესავი გყავს ქუთაისში?

**– კი, ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა, ქუთაისში დაიბადა. მისი ნათესავები ახლაც ქუთაისში ცხოვრობენ. ზოგი გარდაიცვალა, ბევრი კი ცოცხალია. ქუთაისში როცა ვარ, ძალიან მიყვარს მათთან ყოფნა.**

– კარგია, მეც გავიცნობ მათ. თბილისი და ბათუმი ძალიან მომეწონა. იმედია, ქუთაისიც მომეწონება.

**– ახლა ჩვენ ბიძაჩემთან და ბიცოლაჩემთან მივალთ. ძალიან საყვარელი ოჯახია. სამი თაობა ცხოვრობს ერთად: – ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი, მათი შვილი, რძალი და შვილიშვილები. ქალიშვილი და სიძე ცალკე ცხოვრობენ.**

– ძალიან მიყვარს დიდი ოჯახები. სამი თაობის ერთად ცხოვრება ადვილი არ არის, მაგრამ საინტერესო და სახალისოა.

**– კი, თბილი ოჯახია, ჩემი რძალი სასიამოვნო ქალია და უყვარს სტუმრები. კარგი მზარეულიცაა და უგემრიელეს სადილებს ამზადებს.**

– მე მიყვარს ქართული სამზარეულო. ისინი ბინაში ცხოვრობენ თუ საკუთარ სახლში?

**– ქუთაისი კოლორიტული ქალაქია. ბიძაჩემი ქუთაისის საუკეთესო უბანში ცხოვრობს. ამ უბანს „გორა“ ჰქვია და იქიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით ჩანს. დიდი ეზო აქვთ, ორსართულიანი საკუთარი სახლი ლამაზი აივნებით, ხეხილის ბაღით, პატარა ბოსტნითა და დიდი ვენახით.**

– შესანიშნავია, ძალიან მაინტერესებს, ვინ უვლის ამ ყველაფერს?

**– ადრე ვენახს და ხეხილის ბაღს ბაბუაჩემი უვლიდა. ბაბუა გარდაიცვალა და შემდეგ ბიძაჩემი უვლის. ბოსტნის და სახლის მოვლა ბიცოლაჩემის საქმეა. ბავშვებს ჩემი რძალი უვლის, სადილებს ზოგჯერ რძალი აკეთებს, ზოგჯერ ბიცოლაჩემი. მოკლედ, ამ დიდ ოჯახში ყველას თავისი საქმე აქვს.**

– რა საინტერესოა, ალბათ, ამიტომაც ხშირია საქართველოში დიდი ოჯახები.

**– კი, კარგია და საინტერესოა, მაგრამ ახალ თაობას ცალკე ცხოვრება მოსწონს. მაგალითად, ჩემი ბიძაშვილი ქმართან ერთად ცალკე ცხოვრობს, მაგრამ ახლოს ცხოვრობენ და ერთად ხშირად არიან.**

– ისინიც საკუთარ სახლში ცხოვრობენ?

**– არა, ისინი ბინაში ცხოვრობენ, მეცხრე სართულზე, პატარა, მაგრამ ძალიან კომფორტული ბინა აქვთ.**

– წავალთ მათთან სტუმრად? ძალიან მინდა ვნახო, როგორ ცხოვრობენ ქართული ტრადიციული და ახალგაზრდა ოჯახები.

**– კი, მათთანაც წავალთ.**










**3** დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (√) და არასწორი (x) ინფორმაცია:

1. რძალი სასიამოვნო ქალია, მაგრამ არ უყვარს სტუმრები. ..................................... ☐
2. ანას ბიძა ქუთაისის საუკეთესო უბანში ცხოვრობს. ამ უბანს „გორა“ ჰქვია. ............ ☐
3. ოჯახში ერთად ცხოვრობს სამი თაობა. ......................................................... ☐
4. ოჯახს დიდი ხეხილის ბაღი და პატარა ვენახი აქვს. ........................................ ☐
5. ახალგაზრდები მეცხრე სართულზე ცხოვრობენ. მათ პატარა, მაგრამ ძალიან კომფორტული ბინა აქვთ. .................................................................................. ☐
6. ნიკი ფიქრობს, რომ საინტერესოა რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება. ............ ☐
7. ანას ბაბუა ქუთაისში დაიბადა, მაგრამ ქუთაისში ნათესავები არ ჰყავს. ................. ☐
8. რძალი კარგი მზარეულია და უგემრიელეს სადილებს ამზადებს. .......................... ☐
9. ნიკი საქართველოში მხოლოდ ქუთაისში იყო. ................................................... ☐
10. მისი მამიდაშვილი ქმართან ერთად ცალკე ცხოვრობს. ...................................... ☐

**4** წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ ინფორმაცია ქუთაისის შესახებ:

## ქუთაისი

ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ის ისტორიულად ძველი დედაქალაქი და სამეფო ქალაქი იყო. ეს ქალაქი ისტორიულ დოკუმენტებში მესამე საუკუნიდან არის. ქუთაისის ძველი სახელია ქუთაია. ის დასავლეთ საქართველოს, იმერეთის სამეფოს, ცენტრი იყო და აქ იყვნენ ქართველი მეფეები. მეფე ბაგრატ მესამის მეფობის პერიოდში, 975 -1014 წლებში, ქუთაისში ააშენეს დიდი ციხე-გალავანი, სამეფო სასახლე და ბაგრატის ტაძარი. ეს ტაძარი მნიშვნელოვანია ქართული არქიტექტურისათვის და ნამდვილად არის შუა საუკუნეების არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი.

ქალაქს ქუთაისი ჰქვია საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის, მეფობის პერიოდიდან. დავით აღმაშენებელი 1089 წელს სწორედ ქუთაისში ეკურთხა მეფედ. 1122 წლამდე ქუთაისი სამეფო ქალაქი იყო, ხოლო 1122 წლიდან საქართველოს სამეფო ქალაქი თბილისია. დავით აღმაშენებლის დროს ქუთაისთან ახლოს ააშენეს გელათის მონასტერი. ეს მონასტერი იყო ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი, გელათის აკადემია. მას „მეორე იერუსალიმი“ ერქვა.

ქუთაისში, როგორც თბილისში, არის ძველი და ახალი უბნები. ძველი ქუთაისი ძალიან ლამაზია. აქ არის ორსართულიანი სახლები, პატარა ქუჩები, ძველი ხიდები მდინარე რიონზე. ქუთაისის ცენტრში არის დიდი მოედანი და თეატრი. მოედნის შუაში ლამაზი შადრევანია. აქვეა პარკი. ძველი ქუთაისი, ერთი მხრივ, ევროპულ ქალაქს ჰგავს, მეორე მხრივ, აივნები და ბაღები ქართული ორნამენტებითაა მორთული. თითქმის ყველა სახლის პირველ სართულზე მაღაზიები და პატარა სავაჭრო ცენტრები იყო და ახლაც არის.

ქუთაისი პატარა და მყუდრო ქალაქია. ის იყო დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრი. მეოცე საუკუნეში აქ 24 სხვადასხვა სასწავლებელი, მრავალი კერძო სკოლა და სემინარია იყო. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელია. მასში ბევრი ცნობილი ქართველი სწავლობდა. იგი 1830 წელს დაარსდა და ვაჟთა გიმნაზია იყო.

ნიკი და ანა ორი დღე იყვნენ ქუთაისში. ნიკმა ბევრი რამე ნახა და ქალაქი ძალიან მოეწონა.








**5** **უპასუხეთ კითხვებს:**

1. რის შესახებ არის ეს ტექსტი?
2. რა პერიოდიდან ჰქვია აქ ქალაქს ქუთაისი?
3. რა ააშენეს ბაგრატ მესამის მეფობის პერიოდში?
4. რომელ საუკუნეში იყო ქუთაისში 24 სასწავლო ცენტრი?
5. რით არის მნიშვნელოვანი ბაგრატის ტაძარი?
6. რომელი საუკუნიდანაა ცნობილი ქუთაისი?
7. სად და რომელ წელს ეკურთხა მეფედ დავით აღმაშენებელი?
8. რა იყო ქუთაისის ძველი სახელი?
9. როგორია ქუთაისის ძველი უბნები?
10. რა ჰქვია ვაჟთა გიმნაზიას და რით არის ის ცნობილი?
11. როდის ააშენეს გელათის ტაძარი და რით იყო ის მნიშვნელოვანი?
12. რა იცით გელათის მონასტრის შესახებ?



| | |
|---|---|
| ახლა იცნობს ის მას<br>ხვალ გაიცნობს ის მას<br>გუშინ გაიცნო მან ის<br>უნდა გაიცნოს მან ის | ნიკმა ქუთაისში ანას ბიძა გაიცნო. |
| ახლა პატიჟებს ის მას<br>ხვალ დაპატიჟებს ის მას<br>გუშინ დაპატიჟა მან ის<br>უნდა დაპატიჟოს მან ის | ანას ბიძა მეგობარს დაპატიჟებს. |
| ახლა უვლის ის მას<br>ხვალ მოუვლის ის მას<br>გუშინ მოუარა მან მას<br>უნდა მოუაროს მან მას | ვენახს ხან ბაბუა უვლის, ხან – ბებია. |
| ახლა აშენებს ის მას<br>ხვალ ააშენებს ის მას<br>გუშინ ააშენა მან ის<br>უნდა ააშენოს მან ის | მამამ ახალი სახლი უნდა ააშენოს სოფელში. |
| ახლა შლის ის მას<br>ხვალ გაშლის ის მას<br>გუშინ გაშალა მან ის<br>უნდა გაშალოს მან ის | ჩვენი გოგო სუფრას მალე გაშლის. |
| ახლა წვავს ის მას<br>ხვალ შეწვავს ის მას<br>გუშინ შეწვა მან ის<br>უნდა შეწვას მან ის | ბაბუამ ხორცი უნდა შეწვას კარტოფილთან ერთად. |

| მოქმედების პროცესი წარსულ დროში | დასრულებული მოქმედება წარსულ დროში |
|---|---|
|  |  |
| მუშა აშენებდა სახლს | მუშამ ააშენა სახლი |
| აშენებს | აშენებდა |
| იცნობს | იცნობდა |
| პატიჟებს<br>უვლის<br>შლის<br>წვავს | პატიჟებდა<br>უვლიდა<br>შლიდა<br>წვავდა |

**6** შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნის ფორმების გამოყენებით:

ნიმუში: იცნობს ის მას – ანა კარგად იცნობს მარიამს.

| | |
|---|---|
| 1. პატიჟებს ის მას | |
| 2. უვლიან ისინი მას | |
| 3. გაიცნობს ის მათ | |
| 4. უნდა დააწყონ მათ ის | |
| 5. ააშენეს მათ ის | |
| 6. წვავდა ის მას | |
| 7. მოვუვლით ჩვენ მას | |
| 8. უნდა დავპატიჟოთ ჩვენ ისინი | |
| 9. მინდა გავიცნო მე ის | |
| 10. შლიან ისინი მას | |

**7** მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

## გელათის მონასტერში

– ნიკ, აქ მოდი, რა ............................................. ! რა კარგად ჩანს აქედან ყველაფერი, მთელი იმერეთი ............................................. ჩანს.

– მართლაც ლამაზია, ყველაფერი მწვანე და მშვენიერია.

– აქ იყო ............................................. .

– ჰო, ვიცი ამის შესახებ, ............................................. . სად იყო აკადემია?

– აი, იქ, გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით ............................................. , წამოდი, მივიდეთ.

– რა არის იქ? ............................................. ?

– ერთი წუთით. ხედავ ამ ............................................. მთავარ შესასვლელში? ეს დავით აღმაშენებლის საფლავია.

– შესასვლელში რატომაა საფლავი?

– დავით აღმაშენებელს ასე უნდოდა. ყველა, ვინც ............................................. , მის საფლავზე დგამს ფეხს. ერთ ............................................. , ანა კალანდაძეს, აქვს კარგი ლექსი ამის შესახებ.

– რა საინტერესოა. ჩვენ .............................................. სხვა მხრიდან? აქედან რატომ არ შემოვედით?

– ადრე ეს იყო მთავარი შესასვლელი, ყველა აქედან შემოდიოდა, რამდენიმე საუკუნე ეს შესასვლელი იყო ღია, მაგრამ ახლა .............................................. .

– იქ რა არის? ეს .............................................. რა არის?

– ეს გელათის აკადემიაა, ძველი ქართული სასწავლებელი. დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დააარსა გელათის მონასტერთან. აქ იყვნენ .............................................. და ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, ფილოსოფიას, რიტორიკას, გრამატიკას, ასტრონომიას, რელიგიას და ასე შემდეგ.

– .............................................. ?

– მეთორმეტე საუკუნეში იყო პირველი ქართული აკადემია.

– ეს .............................................. .

**8** წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია და შეავსეთ ცხრილი:

## გელათის აკადემია

**გელათის აკადემია**, ძველი ქართული სასულიერო სასწავლებელი, დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან მეფე დავით აღმაშენებლის ინიციატივით. გელათის აკადემიაში იყვნენ სწავლული ქართველები: იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. თანამედროვეები გელათის აკადემიას „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმს" უწოდებდნენ. აკადემიის სასწავლო პროგრამაში ძირითადად იყო გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა და ასტრონომია.

გელათის აკადემიაში არსენ იყალთოელმა დაწერა სჯულის კანონი, იოანე პეტრიწმა – „ბუნებისათვის კაცისა".

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნულიდან თარგმნილი კრებული, რომლის ორიგინალი დაკარგულია. სამეცნიერო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გელათის აკადემიაში მომდევნო საუკუნეებშიც იყო. XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე, ფილოსოფოსი და რიტორი პეტრე გელათელი. XIV საუკუნეში გელათში შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტი „გარიგება ხელმწიფის კარისა" და საისტორიო წყარო „გელათური ქორონიკონი".

| როდის დაარსდა? | ვინ დააარსა? | ვინ იყო გელათში? | ვინ რა დაწერა გელათში? | რას სწავლობდნენ გელათის აკადემიაში? | რას უწოდებდნენ გელათს? |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |



ო → ვ

ნიგოზი – ნიგვზ-ის
ნიგვზ-ით
ნიგვზ-ად
ნიგვზ-ებ-ი
ნიგვზ-იან-ი
უ-ნიგვზ-ო

ნიორი – ნივრის
პამიდორი – პამიდვრის
მაწონი – მაწვნის

ნივრით
პამიდვრით
მაწვნით

ნივრად
პამიდვრად
მაწვნად

ნივრები
პამიდვრები
__________

ნივრიანი
პამიდვრიანი
მაწვნიანი

უ - ნივრ - ო
უ - პამიდვრ - ო
უ - მაწვნ - ო

**9** **დაწერეთ სახელი სწორი ფორმით:**

ნიმუში: მაკას (ნიგოზი) ნიგვზიანი ბადრიჯანი ძალიან უყვარს.

1. ამ წვნიანს (ნიორი) ........................................ ის გემო აქვს.
2. ლანას ძალიან უყვარს კვერცხი (პამიდორი) ........................................ ით.
3. ქართულ სამზარეულოში ბევრია (ნიგოზი) ........................................ იანი კერძი.
4. ჩემს პატარას (მაწონი) ........................................ის სუპი უნდა გავუკეთო.
5. გიყვარს სოკო (ნიორი) ........................................ით?
6. თუ შეიძლება, დღეს (პამიდორი) უ ........................................ ო სადილი მოამზადეთ.
7. კიტრისა და პამიდვრის სალათა (ნიგოზი) ........................................ ით ძალიან გემრიელია.
8. მწვანე (მინდორი) ........................................ იქით აღარაფერი ჩანდა.
9. გინდა დღეს გავაკეთო ბოსტნეულის სალათა (მაწონი) ........................................ ით?
10. ნიკა მხოლოდ (ნიორი) უ ........................................ ო საჭმელს ჭამს.

**10** უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. როგორია თქვენი ქვეყნის სამზარეულო?
2. სტუმრად ხშირად დადიხართ?
3. ხშირად პატიჟებთ სტუმრებს თქვენთან?
4. თქვენს ქვეყანაში ამზადებენ ნიგვზიან კერძებს?
5. თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდა ოჯახები ცალკე ცხოვრობენ?
6. მოგწონთ სუფრის გაშლის პროცესი?
7. სოფელში ცხოვრობთ თუ ქალაქში?კერძო სახლში თუ ბინაში?
8. თქვენს ოჯახში ვინ რას უვლის?
9. რომელია თქვენი ქვეყნის ყველაზე ძველი ქალაქი?
10. რომელია თქვენი ქვეყნის უძველესი სასწავლო ცენტრი?



........................ ი + ვით

ხელისგული-ვით

კაცი-ვით
ქალი-ვით
ბავშვი-ვით
ძაღლი-ვით

**11** ა. დაწერეთ ზმნის ფორმები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ახლა აშენებს.
დიდი ხნის განმავლობაში აშენდება.

| ახლა | დიდი ხნის განმავლობაში |
|---|---|
| • აშენებს | აშენებდა |
| • პატიჟებს | |
| • უვლის | |
| • წვავს | |
| • შლის | |
| • აკეთებს | |
| • ამზადებს | |
| • წერს | |
| • ჭამს | |
| • ამთავრებს | |
| • რეკავს | |
| • ლაპარაკობს | |

ბ. შეადგინეთ წინადადებები და გამოიყენეთ ა ცხრილში მოცემული ზმნები:

| | |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**12** წაიკითხეთ ფრაზები და გადმოეცით გაკვეთილის შინაარსი:

## გაკვეთილის ფრაზები

ერთ საათში ვიქნებით
ცოტა ხანში მოვალთ
ქუთაისში დაიბადა
ახლაც იქ ცხოვრობენ
ბაბუა გარდაიცვალა
ბებია ცოცხალია
მეც გავიცნობ
იმედია, მომეწონება
ბიძაჩემთან მივალთ
საყვარელი ოჯახია
სამი თაობა ერთად ცხოვრობს
ცალკე ცხოვრობენ
ძალიან მიყვარს დიდი ოჯახები
საინტერესო და სახალისოა
თბილი ოჯახია
სასიამოვნო ქალია
კარგი მზარეულიცაა
უგემრიელესი სადილებია
კოლორიტული ქალაქია
საუკეთესო უბანი
ხელისგულივით ჩანს
ძალიან მაინტერესებს
ვინ უვლის ამ ყველაფერს?
მოკლედ, ყველას თავისი საქმე აქვს
რა საინტერესოა
მაგალითად
რა კარგი ხედია!
კარგად ჩანს აქედან
ვიცი ამის შესახებ
სამხრეთით მთავარი შესასვლელია
რა უნდა ვნახოთ?
მთავარ შესასვლელში
დავითის საფლავია
დავითმა დააარსა
ქუთაისი დაარსდა
მნიშვნელოვანია აკადემიისთვის
შესანიშნავი ძეგლია
ერთი მხრივ... მეორე მხრივ...
თითქმის ყველა სახლის პირველ სართულზე
სამეფოს ცენტრი
ქუთაისის ცენტრში
მოედნის შუაში
მეფობის პერიოდში
ნამდვილად არის
ეკურთხა მეფედ
საგანმანათლებლო ცენტრი
კომფორტული ბინა
ერთად ხშირად არიან
წავალთ სტუმრად?
ქუთაისში, როგორც თბილისში

# შეამოწმე შენი ცოდნა

## რა ვისწავლეთ და რა შეგვიძლია

**1** დააკვირდით ფოტოებს და გაიხსენეთ, რა იცით მათ შესახებ:









**2** შეადარეთ ერთმანეთს ორი სხვადასხვა ღვინო და ისაუბრეთ მათ მსგავსება-განსხვავებებზე:








| უსახელაური | რქაწითელი |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**3** წაიკითხეთ და აღნიშნეთ:

| მე | იშვიათად | ხანდახან | ხშირად |
|---|---|---|---|
| 1. შაბათ-კვირას სახლში ვარ. | | | |
| 2. ბანკში მივდივარ. | | | |
| 3. ფესტივალებზე დავდივარ. | | | |
| 4. სტუმრები ჩემთან მოდიან. | | | |
| 5. ექიმთან მივდივარ. | | | |
| 6. მეგობრებთან ერთად ვატარებ დროს. | | | |
| 7. სახლისათვის ნივთებს ვყიდულობ. | | | |
| 8. ქალაქგარეთ გავდივარ. | | | |
| 9. სტუმრად დავდივარ. | | | |
| 10. აფთიაქში წამლებს ვყიდულობ. | | | |

**4** დაწერეთ მოცემული თემების შესახებ:

ა. ჩემი ერთი დღე

ბ. სტუმრები ჩემს ოჯახში

## გ. ერთი დღე საყიდლებზე

## დ. ერთხელ შაბათ-კვირას

**5** ა. დაფიქრდით და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ბუნებაში ყოფნა მოგწონთ?

• კი • არა • არც ისე

2. გიყვართ საყიდლებზე წასვლა?

• კი • არა • არც ისე

3. მოგწონთ, როცა თქვენთან ბევრი სტუმარი მოდის?

• კი • არა • არც ისე

4. მოგწონთ დიდ ქალაქში ცხოვრება?

• კი • არა • არც ისე

5. გიყვართ ფულის შენახვა?

• კი • არა • არც ისე

6. მოგწონთ იმ ადგილებში ყოფნა, სადაც ბევრი ხალხია?

• კი • არა • არც ისე

7. თავისუფალ დროს სახლში ყოფნა გიყვართ?

• კი • არა • არც ისე

ბ. დაწერეთ ტექსტი თქვენ შესახებ: როგორი ადამიანი ხართ?

6 წაიკითხეთ კითხვები და ისაუბრეთ:

### არჩევანი – რა გირჩევნიათ?

1. შაბათ-კვირას ბუნებაში გირჩევნიათ ყოფნა თუ ქალაქში?
2. ფულის შენახვა სახლში გირჩევნიათ თუ ბანკში?
3. სტუმრად წასვლა გირჩევნიათ თუ თქვენთან სტუმრების მიღება?
4. საღამოს სახლში სადილობა გირჩევნიათ თუ სხვაგან?
5. წვენი გირჩევნიათ თუ მინერალური წყალი?
6. გაციებული როცა ხართ, წამლით მკურნალობა გირჩევნიათ თუ ჩაით?
7. ტანსაცმლის ყიდვა ინტერნეტით გირჩევნიათ თუ მაღაზიებში?

### საყვარული – რა გიყვართ?

1. აქტიური დასვენება გიყვართ თუ პასიური?
2. წითელი ღვინო გიყვართ თუ თეთრი?
3. სახლში ნივთების ადგილის შეცვლა გიყვართ თუ არა?
4. ხორცეული გიყვართ თუ ბოსტნეული?
5. ტრადიციული კერძები გიყვართ თუ უცხო კერძები?
6. დესერტად ტკბილეული მოგწონთ თუ ხილი?
7. მოტკბო წვენები გიყვართ თუ მომჟავო?

### მოწონება – რა მოგწონთ?

1. სახლში ელექტროჩაიდანი უფრო მოგწონთ თუ ჩვეულებრივი?
2. ძველებური ავეჯი უფრო მოგწონთ თუ თანამედროვე?
3. ელექტროქურა უფრო მოგწონთ თუ გაზქურა?
4. ბინისთვის დიზაინი ნათელი ფერის მოგწონთ თუ მუქი ფერის?
5. ბინაში განათება ჭაღებით უფრო მოგწონთ თუ ნათურებით?
6. სუფრაზე განსხვავებული სასმისით სმა მოგწონთ თუ არა?
7. თეთრი ღვინო მოგწონთ თუ წითელი?







7 აირჩიეთ ქვემოთ მოცემული თემებიდან ერთ-ერთი და ისაუბრეთ:

1. დისკოთეკაზე
2. ქალაქგარეთ
3. უცხოელები სტუმრად
4. სასეირნოდ ქალაქში
5. ისტორიულ ადგილებში
6. პარკში
7. საყიდლებზე

















## მონიშნეთ, რომელ თემაზე შეგიძლიათ საუბარი




- ◯ წიგნის ფესტივალი
- ◯ ჩემი დაბადების დღის სუფრა
- ◯ სტუმრად მეგობართან
- ◯ ფესტივალები ჩემს ქვეყანაში
- ◯ ერთი დღე ფესტივალზე
- ◯ ერთი დღე ბაზარში
- ◯ ერთი დღე ქალაქგარეთ
- ◯ ღვინის ტურიზმი
- ◯ ერთხელ სტუმრად
- ◯ როგორია სახლი, რომელიც მე მომწონს
- ◯ ნივთის ყიდვა განვადებით
- ◯ უცხოელი სტუმარი ჩემს ოჯახში



კლინიკაში ექიმთან

ჩემი ერთი მოგზაურობა

როცა ჩემი ოჯახის წევრი ავადაა

აფთიაქში

როგორი ტექნიკა მინდა ყველაზე მეტად ჩემს სახლში

ჩემი ბინა

ჩემი მეგობრის სახლი

კონსულტაციაზე კრედიტოფიცერთან

წვიმიან ამინდში

მოლარესთან ბანკში

როცა გაციებული ვარ

ჩემი ბანკი

# მოსასმენი დავალებების ბეჭდური ვარიანტები

## გაკვეთილი 1

### დავალება 1

დედაქალაქი, ბაღი, ფაკულტეტი, ეკონომიკა, ბიზნესი, დედისერთა, მარტო, და-ძმა, უნივერსიტეტი, საბავშვო, ამიტომ, თავისი, ისიც, ცხოვრება, სწავლა, ხშირი, ხშირად, სტუმარი, დეიდა, დეიდაჩემი, ბიძა, ბიძაჩემი, ბინა, ცენტრი, ვერ, უკვე, იცნობს.

### დავალება 9

– გამარჯობა, ნიკ. როგორ ხარ?
– კარგად, ანა. შენ?
– მეც კარგად. რა არის შენთან ახალი და კარგი?
– ახალი ბევრი არაფერი, მაგრამ კარგი ის არის, რომ მე ახლა ქართველი მეგობარი მყავს და ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთ.
– შაბათ-კვირას სად იყავი?
– დეიდასთან და ბიძასთან.
– სად ცხოვრობენ?
– აქ, ჩიკაგოში, ქალაქის ცენტრში. ბიძაჩემი ესპანელია და ჩვენ ესპანურად ვლაპარაკობთ. შენ იცი ესპანური?
– არა, მე ესპანური არ ვიცი, ფრანგულს ვსწავლობ.
– ინგლისური?
– კი, ინგლისური კარგად ვიცი. დეიდაშენმა იცის ესპანური?
– ისე რა, ოჯახში ხანდახან ლაპარაკობენ ესპანურად.

# გაკვეთილი 2

## დავალება 1

სოფელი, ქალაქი, დედაქალაქი, რაიონი, მხარე, ბუნება, მდინარე, ზღვა, სანაპირო, ხიდი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი, კავკასია, ახლოს, მშვენიერი, მეზობელი, ცა, ვარსკვლავი, ვარსკვლავიანი, მზე, მზიანი, მთვარე, მთვარიანი, წვიმა, წვიმიანი, თოვლი, თოვლიანი, მთა, მთიანი, მთაგორიანი, ქარი, ქარიანი, ნისლი, ნისლიანი, ღრუბელი, ღრუბლიანი, ტყე, ტყიანი, ქვა, ქვიანი, ქვიშა, ქვიშიანი, გარშემო, უნიკალური, მართლაც, პლაჟი, ალბათ, მდებარეობს, სეირნობს, ატარებს, რეკავს, ცურავს.

## დავალება 9

– ალო!
– გამარჯობათ, ვისი ბინაა?
– მაღალაშვილის ბინაა, თქვენ ვინ გნებავთ?
– თუ შეიძლება, მარიამს სთხოვეთ.
– მარიამი ვარ.
– უი, მარიამ, უცებ ვერ გიცანი. მე ვარ, თამარი. როგორ ხარ?
– კარგად, შენ?
– მეც კარგად. მარიამ, გოგოები ხვალ ქობულეთში მივდივართ, შაბათ-კვირას იქ ვიქნებით.
– რა კარგია!
– შენც წამოხვალ?
– ჯერ არ ვიცი... მაგრამ ძალიან მინდა თქვენთან ერთად.
– ამინდის პროგნოზი კარგია, ღრუბლიანი და წვიმიანი დღეები არ იქნება. ორი დღე სულ მზეა... დილით ზღვაზე ვიქნებით, საღამოს – კაფეში... კვირას ბათუმშიც წავიდეთ.
– როგორ მინდა, როგორ მიყვარს ზღვა და მზე... რა კარგი იქნება.
– წამოდი. ხვალ დილით ადრე ავტობუსით წავიდეთ.
– ბილეთები იქნება?
– არაა პრობლემა.
– კარგი, წამოვალ.
– რა კარგია... ხვალ დილით, 8 საათზე, შევხვდეთ ავტოსადგურში.
– აბა, ხვალამდე.

# გაკვეთილი 3

## დავალება 1

მამიდა, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძაშვილი, ბიცოლა, ნათესავი, ცოლიანი, წევრი, უბანი, სადარბაზო, ლიფტი, სართული, იატაკი, ჭერი, ფანჯარა, კარი, აივანი, სამზარეულო, საძინებელი, სასადილო, კაბინეტი, ტუალეტი, სააბაზანო, აბაზანა, შემოსასვლელი, კიბე, ნათელი, ბნელი, ვიწრო, ფართო, კეთილი, ჭკვიანი, ძლიერი, სასიამოვნო, ზოგი, ერთმანეთი, ზემოთ, ქვემოთ, იცნობს, აღარ, ისვენებს, ახსოვს, იხდის, დაბადების დღეს.

## დავალება 8

– მარინა, რა კარგია, რომ დრო გაქვს და ახლა ჩემთან ხარ.
– ხო, ძალიან კარგია, ძალიან მომწონს შენი ლამაზი სახლი და შენი ოთახი.
– ჰო, მეც მიყვარს ჩემი ოთახი, მომწონს.
– რამდენი ოთახი გაქვთ?
– ოთხი ოთახი: ეს სასტუმრო ოთახია, აქ ხშირად ვართ მთელი ოჯახი ტელევიზორთან. სამზარეულო პატარაა, მაგრამ კარგია. ერთი დედ-მამის საძინებელია, ერთი – ჩემია და მესამე – ჩემი დის. კაბინეტი არ გვაქვს.
– თქვენი ოთახები დიდია და ნათელი. ძალიან მომწონს. აბაზანა-ტუალეტიც დიდია.
– ჰო, კარგი ბინაა. მეც მომწონს. გუშინ იყავი ნათიას დაბადების დღეზე?
– ვიყავი და ძალიან კარგი დრო გავატარეთ.
– შენი დეიდაშვილები და ბიძაშვილებიც იყვნენ?
– კი, ყველა იყო.
– ნათიას მეგობრები?
– ნათიას ათი მეგობარი იყო.
– რესტორანი კარგია? მუსიკა როგორია? გემრიელი იყო საჭმელი?
– მშვენიერი რესტორანია, ძალიან კარგი მუსიკაა. საჭმელიც გემრიელია და დაბადების დღის კარგი პროგრამა აქვთ.
– მართლა, რა კარგია... ორი კვირის შემდეგ ჩემი დაბადების დღეა და იქ წავიდეთ. ჩამოხვალ მანგლისიდან?
– კი, კი ჩამოვალ. რესტორანიც ძალიან კარგია და შენს დაბადების დღეზეც კარგ დროს გავატარებთ.

# გაკვეთილი 4

## დავალება 1

დიასახლისი, პენსიონერი, უმუშევარი, პროფესორი, ინჟინერი, მასწავლებელი, ეკონომისტი, ჟურნალისტი, ფეხბურთელი, ბანკირი, გამხდარი, მსუქანი, წყნარი, მხიარული, დაკავებული, მნიშვნელოვანი, მდიდარი, ღარიბი, ძლიერი, უფროსი, უმცროსი, საყვარელი, გასათხოვარი, გათხოვილი, ცოლიანი, უცოლო, საქმრო, საცოლე, შავგვრემანი, წითური, ყოჩაღ! ქორწილი, ხან... ხან, ცნობილი, იმუშავებს, ჰგავს, სცალია, ქერა, იწყებს – დაიწყო – დაიწყებს.

## დავალება 8

– ნინუცა, გამარჯობა!
– გამარჯობათ, ვინ ბრძანდებით?
– მზია დეიდა ვარ.
– მზია დეიდა, როგორ ბრძანდებით?
– რა ვიცი, არა მიშავს, ხან ავად ვარ, ხან – კარგად. შენ როგორ ხარ, ნინუცა? ისევ ისეთი გამხდარი და ლამაზი ხარ?
– ლამაზი... რა ვიცი, მზია დეიდა, მაგრამ გამხდარი კი ვარ. თქვენი შვილი როგორ არის? მუშაობს?
– კი, ახლა მუშაობს. ინჟინერია, ეკონომიკის სამინისტროშია.
– ცოლი ჰყავს?
– არა, ცოლი ჯერ არ ჰყავს, მაგრამ ერთი ლამაზი, ქერა გოგო მოსწონს, მისი საცოლეა. მეც ძალიან მომწონს, კარგი გოგოა. ერთად მუშაობენ სამინისტროში.
– რა კარგია. მეც მყავს საქმრო.
– მართლა? ვინ არის?
– სპორტსმენია, ფეხბურთელი.
– რა გვარია?
– გიგა ნებიერიძე, ქუთაისის გუნდში თამაშობს.
– რა კარგია, რომ დავრეკე, სასიამოვნო ამბავი გავიგე. გილოცავ! ქორწილი როდის გაქვთ?
– ალბათ, ივნისში. მერე ესპანეთში წავალთ, ბარსელონაში დავისვენებთ.
– კარგია, ბედნიერებას გისურვებ! დედა სახლშია?
– არა, მზია დეიდა, დედა არ არის სახლში.
– კარგი, ჩემო ნინუცა, მერე დავრეკავ.

# გაკვეთილი 5

## დავალება 1

სასტუმრო, ციხე, ეკლესია, გოგირდი, სტილი, შესანიშნავი, აბანო, ბუნებრივი, ცნობილი, მეტი, საკმარისი, იმედი, აუცილებელი, აუცილებლად, არქიტექტურა, მთავარი, გამზირი, შენობა, მცენარე, ჩანჩქერი, დასასვენებელი, მიწა, ისტორიკოსი, მოგზაური, იმედია, შეხვედრამდე, რამდენიმე, სადმე, რამე, ვინმე, ჩანს, ვნახოთ;

რჩება – დარჩება – დარჩა; ჩამოდის – ჩამოვა – ჩამოდიოდა; კითხულობს – წაიკითხავს – წაიკითხა; ნახულობს – ნახავს – ნახა.

## დავალება 8

– ნიკ, როგორ ხარ დღეს?
– ისე რა!
– რატომ? სად იყავი?
– ბოტანიკურ ბაღში ჩემს ნათესავებთან ერთად ხუთი საათი ვისეირნეთ.
– მოგეწონა ბოტანიკური ბაღი?
– ძალიან, ყველაზე მეტად ჩანჩქერი მომეწონა.
– ნარიყალას ციხეზე იყავი?
– კი, გუშინ ჯერ ძველ თბილისში ვიყავით და მერე – ნარიყალას ციხეზე. იქვე ვნახეთ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაც.
– ჩვენ სად წავიდეთ?
– ძველი თბილისი უკვე ვნახე. სადმე წავიდეთ დასასვენებელ ადგილას.
– კარგი, მაშინ ხვალ კუს ტბაზე წავიდეთ და ზეგ – ლისის ტბაზე.
– სად არის ეს ტბები?
– კუს ტბა ვაკეშია, ძალიან ლამაზი ადგილია, ზაფხულში თბილისელები იქ ხშირად დადიან. დილიდან წავიდეთ, იქ ვისაუზმებთ კაფეში, ვისეირნებთ ნავით, ვიცურავებთ, იქვე ვისადილებთ რესტორანში, მუსიკას მოვუსმენთ... მოკლედ, დავისვენებთ და ვისიამოვნებთ.
– ძალიან კარგი, აუცილებლად წავიდეთ. კუს ტბასთან ახლოს არის კიდევ რამე საინტერესო?
– კი, ეთნოგრაფიული მუზეუმია – მუზეუმი „ღია ცის ქვეშ“. ეს მართლაც ძალიან საინტერესოა.
– რა არის იქ?
– საქართველოს ყველა კუთხიდან არის ძველი ქართული სტილის ხის სახლები დიდი ეზოებით. აქ ყველაფერი ტრადიციული და ქართულია.
– ძალიან მინდა ვნახო.
– კარგი, ხვალამდე.
– ალბათ, კარგი და საინტერესო დღე იქნება.
– იმედია, ხვალამდე.
– ნახვამდის.

# გაკვეთილი 6

## დავალება 1

ჭიქა, თეფში, ჩანგალი, დანა, სუფრა, კოვზი, ჩაიდანი, ქვაბი, ტაფა, მაგიდა, სკამი, ღია, მუქი, მოხარშული, შემწვარი, გამომცხვარი, გამზადებული, საცურაო აუზი, უგემური, უშაქრო, უმარილო, ტკბილი, ღუმელი, კარადა, სუფთა, ჭუჭყიანი, პირსახოცი, ხელსახოცი, საყიდლებზე, სამსახურში, სწრაფი, სწრაფად, ნელი, ცხარე, მჟავე, მზად ვარ, საერთოდ, დგება, იღვიძებს, იხეხავს, იბანს, იღებს შხაპს, ამზადებ, ნელა.

## დავალება 9

– დედა, ნათია როდის გადავიდა ახალ სახლში?
– უკვე ერთი თვეა. დაბადების დღეს ახალ სახლში იხდის.
– მართლა? საჩუქარი ახალი სახლისთვის გვინდა, არა?
– ჰო, ალბათ, ყველაზე კარგი ეს იქნება.
– სამზარეულოსთვის ვიყიდოთ რამე.
– ვიყიდოთ, კარგი აზრია.
– ან ლამაზი თეფშები, ან კარგი ქვაბი, ტაფა, ან ჩაიდანი...
– ვნახოთ... რა იქნება უფრო ლამაზი და კარგი.
– ეს ქვაბი მოგწონს?
– ისე რა. რა ფერისაა ნათიას სამზარეულო?
– ზუსტად არ ვიცი. საერთოდ ღია ფერები მოსწონს. ადრე ჩვენ ელენესთვის ვიყიდეთ ეს ჩაიდანი და ნათიას ძალიან მოეწონა.
– სხვა მაღაზიაში ვნახოთ, აქ მერეც მოვალთ და ვიყიდით. ახლა თეფშებიც ვნახოთ...
– ეს მუქი ფერებია და არ მომწონს. ყვავილებიანი არ მინდა, რომ ვიყიდოთ. არ არის ლამაზი.
– ეს წითელი ჩაიდანი არ მოგწონს? მუქი წითელია, კარგია.
– პატარა ჩაიდანია, არა?
– დიდი ჩაიდანი არც უნდათ. ცოლ-ქმარი ცხოვრობს მარტო.
– მართალი ხარ, ვიყიდოთ ეს წითელი ჩაიდანი. ის ჭიქები მოგწონს?
– კი, კარგია, ყავისთვის და ჩაისთვის.
– ვიყიდოთ, მშვენიერი საჩუქარია.
– კარგი.

# გაკვეთილი 7

## დავალება 1

ხილი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი, მარწყვი, ჟოლო, ალუჩა, ლეღვი, ყურძენი, ბროწეული, გარგარი, კომში, ნიგოზი, ფორთოხალი, კივი, გრეიპფრუტი, ფეიხოა, კენკრა, საზამთრო, ნესვი, ქლიავი, ბანანი, ანანასი, წაბლი, ბოსტნეული, ლობიო, ისპანახი, ჭარხალი, სტაფილო, ბოლოკი, ხახვი, ტყემალი, მწვანილი, ოხრახუში, კამა, ნიახური, ქინძი, კონა, სოკო, მწნილი, მწვადი, ღვინო, მურაბა, სუნელი, მჭადი, არჩევანი, ქოთანი, ამიწონეთ, მინდა ვიყიდო, მინდა წავიდე, მინდა ვნახო, მინდა გავაკეთო, მინდა დავრეკო, გაიხარე, ყიდულობს – იყიდის – იყიდა; მრავალფეროვანი სურსათი / პროდუქტი.

## დავალება 7

– ნახე ინტერნეტში, როგორი ამინდია ამ შაბათ-კვირას?
– კი, ვნახე, კარგი ამინდია, არც ძალიან ცხელა და არც ცივა.
– წავიდეთ ქალაქგარეთ?
– წავიდეთ, რა პრობლემაა? თიკას აქვს დრო?
– არ ვიცი, ალბათ თავისუფალი იქნება. ერთი მანქანით წავიდეთ? სად წავიდეთ?
– ერთი მანქანა საკმარისი იქნება. თიკა, მისი ქმარი და ჩვენ.
– კარგია, მაგრამ სად წავიდეთ?
– კახეთში? იმერეთში?
– იმერეთი შორსაა, ოთხი-ხუთი საათი გვინდა. კახეთში წავიდეთ, ახლოსაა, ორ საათში სიღნაღში ვიქნებით.
– კი, ბატონო, კარგი აზრია.
– რომელ საათზე გავიდეთ ქალაქიდან?
– დილით ადრე, ცხრა საათზე გავიდეთ.
– იქ ვისაუზმოთ?
– არა, დილას ყავა დავლიოთ, მერე გზაში ვისაუზ-მოთ და სიღნაღში რესტორანში ვისადილოთ.
– მშვენიერია, თიკას დავურეკავ და ვეტყვი ჩვენი გეგმების შესახებ.
– კარგი, სასტუმრო თუ გვინდა, ინტერნეტში ვნახავ.
– კარგი, ნახე.

# გაკვეთილი 8

## დავალება 1

თანამშრომელი, მენეჯერი, კლიენტი, ბანკომატი, მოლარე, მოლარე-ოპერატორი, სალარო, რიგი, ანგარიში, პირადი ანგარიში, მომსახურება, ბარათი, ქვითარი / ჩეკი, კრედიტი, კრედიტოფიცერი, გასაუბრება, განვადება, გადარიცხვა, ჩარიცხვა, ფული, თანხა, ხელფასი, შვებულება, მივლინება, მოგზაურობა, კონსულტანტი, პირადობის მოწმობა / პირადობა, ფიზიკური, იურიდიული პირი, შემოსავალი, დაახლოებით, ამჟამად, ღონისძიება, მეჩქარება, ხელის მოწერა;
იხდის – გადაიხდის – გადაიხადა; იღებს – მიიღებს – მიიღო; ამთავრებს – დაამთავრებს – დაამთავრა; ელოდება – დაელოდება – დაელოდა.

## დავალება 7

– დილა მშვიდობისა, მობრძანდით, რა მომსახურება გნებავთ?
– კრედიტის აღება მინდა.
– კი, ბატონო. აქ დაელოდეთ კრედიტოფიცერს.
– დიდი მადლობა.
– მობრძანდით, დაბრძანდით. ჩვენი ბანკის კლიენტი ხართ?
– დიახ, თქვენთან მაქვს ანგარიში.
– ახლა რა გნებავთ?
– კრედიტის აღება მინდა.
– სხვა ბანკში გაქვთ კრედიტი?
– არა, არ მაქვს.
– ხელფასს ჩვენს ბანკში იღებთ?
– დიახ.
– სხვა შემოსავალი გაქვთ?
– არა, მხოლოდ მაღალი ხელფასი.
– კრედიტი რამდენი გნებავთ?
– ათი ათასი ლარი.
– რამდენი გაქვთ ხელფასი?
– ათას ხუთასი ლარი.
– რამდენწლიანი კრედიტი გინდათ? სამწლიანი გინდათ თუ ხუთწლიანი?
– თუ შეიძლება, სამწლიანი.
– სამწლიანი კრედიტის დროს თვეში გადაიხდით დაახლოებით ოთხას ლარს.
– გასაგებია.
– თვის რომელ რიცხვში გინდათ გადაიხადოთ?
– ყოველი თვის ხუთ რიცხვში.
– ინფორმაცია გვაქვს. სამ-ოთხ სამუშაო დღეში დაგირეკავთ და საბოლოო პასუხს გეტყვით.
– დიდი მადლობა.

# გაკვეთილი 9

## დავალება 1

წამალი, თერმომ ეტრი, წნევის აპარატი, ანალიზი, ექიმი, ექთანი, სასწრაფო, ვიტამინი, აბი, გული, ფილტვები, მუცელი, ხელი, მკლავი, თითი, ფეხი, მუხლი, თავი, თვალი, ცხვირი, ყური, პირი, ყელი, კბილი, შუბლი, ავადმყოფი, პაციენტი, საავადმყოფო, კლინიკა, აფთიაქი, რეცეპტი, მთლიანად, სურდო, მკურნალობა, გაციებული ვარ, ავად ვარ, სიცხე მაქვს, გაგსინჯავთ, მახველებს, მაცემინებს, მტკივა, ექიმთან ჩაწერა, სასწრაფოს გამოძახება, სამედიცინო დაზღვევა.

იზომავს – გაიზომავს – გაიზომა – გაიზომოს; სვამს – დალევს – დალია – დალიოს.

## დავალება 7

**აფთიაქში**

– გამარჯობა.
– გამარჯობა, რა გნებავთ?
– გაციებული ვარ, ძალიან მტკივა ყელი, მგონი, სიცხეც მაქვს. დილიდან მცივა. თქვენი კონსულტაცია მინდა. რა შეიძლება დავლიო? ხვალ სამსახურში უნდა წავიდე.
– გახველებთ?
– მახველებს და მაცემინებს. ასეთ დროს ყელი კიდევ უფრო მტკივა.
– რა გინდათ დალიოთ: ჩაი თუ აბები?
– რომელი სჯობს?
– საღამოს ჩაი დალიეთ და ღამით, ძილის წინ, კი აბი. სიცხე უნდა გაიზომოთ.
– სიცხისთვის რა გაქვთ?
– ეს აბები სიცხისაა. ძალიან კარგია, მალე კარგად იქნებით.
– ხველისთვისაც, თუ შეიძლება, რამე წამალი მომეცით.
– კარგი. ეს სითხე დალიეთ დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ.
– რამდენი დღე უნდა დავლიო?
– ხვალ უკეთესად იქნებით, მაგრამ წამლები სამი დღე უნდა დალიოთ.
– თუ შეიძლება, თავის ტკივილის წამალიც მომეცით.
– კი, ბატონო. აი, თქვენი წამლები – 22 ლარი და 80 თეთრი.
– ინებეთ თანხა.
– გამოჯანმრთელებას გისურვებთ!

# გაკვეთილი 10

## დავალება 1

სავარძელი, ტახტი, სარკე, თარო, საწოლი, ტუმბო, კომოდი, ჭაღი, ნათურა, განათება, გათბობის სისტემა, არჩევანი, დიზაინი, კონდიციონერი, ფარდა, ღია მუქი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ყავისფერი, ვარდისფერი, იისფერი, ცისფერი, უჯრა, მაცივარი, ქურა, გაზქურა, ტექნიკა, ღუმელი, ელექტროქურა, მიკროტალღური, სარეცხი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ელექტროჩაიდანი, ტოსტერი, მტვერსასრუტი, წვენსაწური, ხორცსაკეპი მანქანა, ყავის საფქვავი, მაგარი, რბილი, ჟურნალების მაგიდა, საწერი მაგიდა;
სჩუქნის – აჩუქებს – აჩუქა–აჩუქოს; ამთავრებს – დაამთავრებს – დაამთავრა – დაამთავროს; პატიჟებს – დაპატიჟებს – დაპატიჟა – დაპატიჟოს; რეცხავს – გარეცხავს – გარეცხა – გარეცხოს; აუთოებს – გააუთოებს – გააუთოვა – გააუთოოს.

## დავალება 7

### ტექნიკის ყიდვა

– გამარჯობა.
– კონსულტანტი თქვენ ხართ? თუ შეიძლება, საჩუქარი მინდა ჩემი მეგობრისთვის. ახალ ბინაში გადადიან.
– რა გნებავთ იყიდოთ? ჩვენ ყველაფერი გვაქვს. საოჯახო ტექნიკა მეორე სართულზეა. თქვენ რა გაინტერესებთ?
– ელექტროჩაიდანი მინდა; მტვერსასრუტიც მაინტერესებს.
– კი, ბატონო, გვაქვს დიდი არჩევანი. თქვენ რა ფასიანი გინდათ? ფასები ასი ლარიდან ხუთას ლარამდეა.
– კარგია, დიზაინს ვნახავ.
– აქეთ მობრძანდით, ეს ევროპული მტვერსასრუტებია: გერმანული, ავსტრიული და ფრანგული.
– ეს წითელი მტვერსასრუტი მომწონს.
– დიახ, ლამაზი და ძლიერი მტვერსასრუტია.
– სადაურია და რა ღირს?
– ავსტრიულია და ძალიან კარგი ხარისხია. ას ოთხმოცი ლარი ღირს.
– კარგია. ის პატარა ელექტროჩაიდანი რა ფასიანია?
– ფასდაკლება აქვს ორმოცდაათი პროცენტი, თუ იყიდით მტვერსასრუტს.
– ლამაზია. ორივეს ვიყიდი. რამდენი ლარის იქნება ერთად?
– ორას ათი ლარი.
– კი, ბატონო. სად არის სალარო?
– აი, იქ მიბრძანდით. მშვიდობაში!
– დიდი მადლობა!

# გაკვეთილი 11

## დავალება 1

გემო, გემოვნება, მშრალი, ნახევრად ტკბილი, ნახევრად მშრალი, მოტკბო, მომჟავო, მომწარო, ჯიში, ვაზი, ვენახი, ჭაჭა, არომატი, განსაკუთრებული, მეღვინე, სურნელი, სუნი, ოდნავ, კუთხე, დოქი, ყანწი, სასმისი, სასმელი, ქვევრი, კასრი, განსხვავაბული, მწიფე, მკვახე, მწარმოებელი, წარმოება, მოკრეფილი, მორევა, უკან, ირგვლივ, გვერდით, გარეშე; რთველი = ყურძნის კრეფა; დააგემოვნეთ!
ურჩევნია – ურჩევნიათ; ყურძნის დაწურვა; სინჯავს – გასინჯავს – გასინჯა – უნდა გასინჯოს; მონაწილეობს – მონაწილეობენ; მოსწონს – მოეწონება – მოეწონა.

## დავალება 6 ა

### ღვინის ფესტივალზე

– გამარჯობა, შენც აქ ხარ?
– აბა, სად ვიქნები? ღვინის ფესტივალი და მე იქ არ ვიყო? არ შეიძლება.
– ვისთან ერთად ხარ? მარტო ხარ?
– არა, ჩემს ინგლისელ სტუმართან ერთად.
– მოსწონს აქ? პირველად არის საქართველოში? ღვინის ფესტივალზე?
– არა, საქართველოში ხშირადაა, შარშან რთველშიც იყო კახეთში, მაგრამ ღვინის ფესტივალზე პირველადაა. ძალიან მოსწონს. ყველა ღვინო გასინჯა.
– რომელი ღვინო მოსწონს ყველაზე მეტად?
– თეთრი ღვინოებიდან მშრალი ღვინო მოსწონს.
– რომელი?
– „რქაწითელი“ და „წინანდალი“.
– წითელი ღვინო მოსწონს?
– კი, „საფერავი“, წითელი მშრალი ღვინოა, ძალიან კარგი გემო და სუნი აქვს.
– ისე, ბევრ უცხოელს მოსწონს ეს ღვინო. კიდევ რომელი ღვინო მოსწონთ?
– კიდევ „ქინძმარაული“, ესეც წითელი ღვინოა, ნახევრად ტკბილი. ესეც კახური ღვინოა.
– მეც ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო მიყვარს, მაგრამ „ხვანჭკარა“. ამ ღვინოს რაჭაში ამზადებენ. ყურძნის ჯიშია „ალექსანდრიული”, მაგრამ „ხვანჭკარა“ სოფლის სახელის გამო ჰქვია. ალექსანდრიული ჯიშის ყურძენი მხოლოდ ერთ სოფელში – ხვანჭკარაში და მხოლოდ ერთ ადგილზე, 40–50 კილომეტრზე მოდის.
– ჰო, მეც მიყვარს „ხვანჭკარა“, ძალიან გემრიელი და სურნელოვანი ღვინოა.
– ჰო, კარგია ქართული ღვინო, ძალიან კარგი.

# გაკვეთილი 12

## დავალება 1

სტუმარი, მასპინძელი, საკუთარი, მზარეული, თარჯიმანი, ისპანახი, სიმინდი, ქინძი, ოხრახუში, საჭმლის რეცეპტი, ფქვილი, ტყემალი, სასახლე, სიცოცხლე, ტკბილეული, შვილთაშვილი, მწნილეული, თაობა, მოვლა, სიძე, რძალი, ბიცოლა, მაზლი, მული, ხეხილი, ცოცხალი, ხალისი, ხალისიანი, სახალისო, მოკლედ, ცალკე, გალავანი, სწორედ, მორთული, ორნამენტი, თითქმის, მყუდრო, ხედი, საფლავი, სქელი, თხელი, კვეცა / კუმშვა, ნიგვზიანი, ნივრიანი, წვერულვაშიანი, სადღეგრძელოები, დედმამიშვილი, ხელისგულივით ჩანს = კარგად ჩანს, ისე კარგად და ნათლად ჩანს ყველაფერი, როგორც ხელისგული.
ვიცნობ – ვიცნობდი – გავიცნობ – გავიცანი – გავიცნო; პატიჟებს – პატიჟებდა – დაპატიჟებს – დაპატიჟა – დაპატიჟოს; უვლის – უვლიდა – მოუვლის – მოუარა – მოუაროს; აშენებს – აშენებდა – ააშენებს – ააშენა – ააშენოს; აწყობს – აწყობდა – გააწყობს– გააწყო– უნდა გააწყოს;
წვავს – წვავდა – შეწვავს – შეწვა – შეწვას; დაიბადა / გარდაიცვალა.

## დავალება 7

### გელათის მონასტერში

– ნიკ, აქ მოდი, რა კარგი ხედია! რა კარგად ჩანს აქედან ყველაფერი, მთელი იმერეთი ხელისგულივით ჩანს.
– მართლაც ლამაზია, ყველაფერი მწვანეა და მშვენიერია.
– აქ იყო გელათის აკადემიაც.
– ჰო, ვიცი ამის შესახებ, ბიძაშენმა თქვა. სად იყო აკადემია?
– აი, იქ, გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით მთავარი შესასვლელია, წამოდი, მივიდეთ.
– რა არის იქ? რა უნდა ვნახოთ?
– ერთი წუთით. ხედავ ამ დიდ ქვას მთავარ შესასვლელში. ეს დავით აღმაშენებლის საფლავია.
– შესასვლელში რატომაა საფლავი?
– დავით აღმაშენებელს ასე უნდოდა. ყველა, ვინც აქ შემოდის, მის საფლავზე დგამს ფეხს. ერთ – ქართველ პოეტს, ანა კალანდაძეს, აქვს კარგი ლექსი ამის შესახებ.
– რა საინტერესოა. ჩვენ რატომ შემოვედით სხვა მხრიდან? აქედან რატომ არ შემოვედით?
– ადრე ეს იყო მთავარი შესასვლელი, ყველა აქედან შემოდიოდა, რამდენიმე საუკუნე ეს შესასვლელი იყო ღია. მაგრამ ახლა შემოსასვლელი ზემოთაა.
– იქ რა არის? ეს ერთსართულიანი შენობა რა არის?
– ეს გელათის აკადემიაა, ძველი ქართული სასწავლებელი. დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დააარსა გელათის მონასტერთან. აქ იყვნენ ცნობილი ქართველები და ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, ფილოსოფიას, რიტორიკას, გრამატიკას, ასტრონომიას, რელიგიას და ასე შემდეგ.
– რომელ საუკუნეში?
– მეთორმეტე საუკუნეში იყო პირველი ქართული აკადემია.
– ეს დიდი კულტურაა.

# პასუხები

## გაკვეთილი 1

**3** **ნიკი**

ნიკი ცხოვრობს ამერიკაში.
ნიკი ოცდაერთი წლისაა.
ნიკი სწავლობს უნივერსიტეტში.
ნიკი საღამოს კაფეში მუშაობს.

**ანა**

ანა ცხოვრობს საქართველოში.
ანა ცხრამეტი წლისაა.
ანა სწავლობს თბილისში.
ანა არ მუშაობს.

**5**

1. ანა თბილისელი გოგოა.
2. ანა სწავლობს უნივერსიტეტში.
3. ანას ოჯახში ჰყავს მშობლები, ბებია-ბაბუა და ორი და.
4. ნიკი არის ანას სკაიპის მეგობარი.
5. ანა სწავლობს ეკონმიკის ფაკულტეტზე, ნიკი კი – ბიზნესის ფაკულტეტზე.
6. ნიკს მოსწონს სტუდენტური ცხოვრება.
7. ნიკის ჰობია ენების სწავლა.
8. ნიკი ხშირად სტუმრად არის ბიძასთან.
9. ნიკმა იცის ქართული ენა, მაგრამ კარგად არა.
10. ნიკი ანას სკაიპიდან იცნობს.

**6**

1. სალომეს
2. ნათიას
3. ნოდარის
4. მიხეილის
5. ოთარის
6. ლუკას
7. ზურაბის
8. გიორგის
9. რუსუდანის
10. კოტეს

**7**

1. თერთმეტი საათიდან ორ საათამდე
2. ორშაბათიდან პარასკევამდე
3. სამი წლიდან ექვს წლამდე
4. რვა საათიდან ცხრა საათამდე
5. ნოემბრიდან მარტამდე
6. პირველი საათიდან ორ საათამდე
7. სამშაბათიდან ხუთშაბათამდე
8. შვიდი საათიდან ათ საათამდე
9. ივლისიდან აგვისტომდე
10. ექვსი წლიდან თვრამეტ წლამდე

**8**

მე დიდი ოჯახი მაქვს. **დედ-მამა** უნივერსიტეტში მუშაობს. ისინი ათი საათი**დან** ექვს საათ**ამდე** სამსახურში არიან. ჩემი **და-ძმა** სკოლაში სწავლობს. ისინი ცხრა საათი**დან** სამ საათ**ამდე** სკოლაში არიან.

**ბებია-ბაბუა** არ მუშაობს.ისინი სახლში არიან დილი**დან** საღამო**მდე**. მე მყავს ორი ბიძა და ერთი დეიდა. ისინიც მუშაობენ. ბიძაჩემი აეროპორტში მუშაობს საღამოს ათი საათი**დან** დილის ცხრა საათ**ამდე**. ირმა მისი ცოლია და ისიც აეროპორტში მუშაობს, მაგრამ **ცოლ-ქმარი** სამსახურში ერთად არ არის. მეორე ბიძა ეკონომისტია და ეკონომიკის სამინისტროში მუშაობს. მას **ცოლ-შვილი** არ ჰყავს. დეიდაჩემი აფთიაქში მუშაობს. მასაც არ ჰყავს **ქმარ-შვილი.**

**9**

– გამარჯობა, ნიკ, როგორ ხარ?
– კარგად, ანა. **შენ?**
– მეც კარგად. რა არის შენთან **ახალი და კარგი?**
– ახალი ბევრი არაფერი, მაგრამ კარგი ის არის, რომ მე ახლა ქართველი მეგობარი მყავს და **ჩვენ ქართულად** ვლაპარაკობთ.
– **შაბათ-კვირას** სად იყავი?
– დეიდასთან და ბიძასთან.
– სად **ცხოვრობენ?**
– აქ, ჩიკაგოში, **ქალაქის ცენტრში. ბიძაჩემი** ესპანელია და ჩვენ ესპანურად ვლაპარაკობთ. შენ იცი **ესპანური?**
– არა, მე ესპანური არ ვიცი, **ფრანგულს** ვსწავლობ.
– ინგლისური?
– კი, ინგლისური **კარგად ვიცი.** დეიდაშენმა იცის ესპანური?
– **ისე რა,** ოჯახში ხანდახან **ლაპარაკობენ ესპანურად.**

# გაკვეთილი 2

**3**

| | გრძელი | ლამაზი | ფართო | პატარა | დიდი | შავი | მაგნიტური |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანაპირო | + | + | + | + | + | | |
| ზღვა | | | + | + | + | + | |
| ქალაქი | | + | | + | + | | |
| ქვიშა | | | | | | | + |
| ქვეყანა | | + | | + | + | | |

**4** **თბილისი**

1. ათას ხუთასზე მეტი წლისაა.
2. აქ მილიონ-ნახევარი ადამიანი ცხოვრობს.
3. იგი მდებარეობს მდინარე მტკვარზე.
4. ძველი და ისტორიული ქალაქია.
5. ის ყველაზე დიდი ქალაქია საქართველოში.
6. ქალაქის გარშემო მთებია.
7. ქალაქის შუაში მდინარე მტკვარია.
8. აქ ერთადაა ევროპული და აზიური სტილი.

**ბათუმი**

1. ევროპული სტილის ქალაქია.
2. ბათუმში არის ლამაზი ბულვარი.
3. ბათუმში არის მთაც და ზღვაც.
4. ბათუმის სანაპირო სუფთაა, მაგრამ ნაპირი ქვიანია.
5. ბათუმში არის ბოტანიკური ბაღი.
6. ტურისტებს ძალიან მოსწონთ ეს ქალაქი.

**5**

1. წერილს წერენ დენისი და ქეითი.
2. საქართველო მდებარეობს კავკასიაში.
3. საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა.
4. საქართველოს დასავლეთით არის შავი ზღვა, აღმოსავლეთით კი – კასპიის ზღვა.
5. სტუმრები ერთი დღე ბოტანიკურ ბაღში იყვნენ.
6. სტუმრები თბილისში იყვნენ სამი დღე.
7. ბათუმი ევროპული სტილის ქალაქია.
8. ბოტანიკურ ბაღში უნიკალური ხეები და ყვავილებია.
9. ქართული სამზარეულო მშვენიერია.
10. სტუმრები საუზმობენ სასტუმროში.
11. სეირნობენ და საღამოს ბულვარის კაფეში ვახშმობენ.
12. სასტუმრო „ინტურისტი“ არის ბათუმში, ბულვარის წინ.
13. ბათუმი მშვენიერი ქალაქია, აქ არის მთაც და ზღვაც.
14. ბათუმის სანაპირო სუფთაა და ქვიანი.

**6**

1. რეკავს
2. საუზმობს
3. მუშაობს
4. კითხულობს
5. ცურავს
6. სეირნობს
7. ატარებს
8. სადილობს
9. რეკავს
10. სეირნობს

**7**

1. დასავლეთით
2. სკაიპით
3. მანქანით
4. სკაიპით
5. ჩრდილოეთით
6. ბურთით
7. სამხრეთით
8. ჩანთით
9. აღმოსავლეთით
10. ტაქსით

**8**

1. სამკილო-ნახევარი
2. კილომეტრ-ნახევარს
3. ლარ-ნახევარი
4. სამლიტრ-ნახევარი
5. შვიდკილო-ნახევარი
6. ორსაათ-ნახევარი
7. ოთხმეტრ-ნახევარი
8. კილო-ნახევარი
9. დღე-ნახევარი

**9**

– ალო.
– გამარჯობათ, **ვისი** ბინაა?
– მაღალაშვილის ბინაა, თქვენ ვინ **გნებავთ?**
– თუ შეიძლება, მარიამს სთხოვეთ.
– მარიამი ვარ.
– უი, მარიამ, უცებ ვერ გიცანი. მე ვარ, თამარი. **როგორ** ხარ?
– არგად, **შენ?**
– მეც კარგად. მარიამ, გოგოები **ხვალ** ქობულეთში მივდივართ, **შაბათ-კვირას** იქ ვიქნებით.
– რა კარგია!
– შენც წამოხვალ?
– ჯერ არ ვიცი... მაგრამ ძალიან მინდა **თქვენთან ერთად.**
– ამინდის პროგნოზი კარგია, **ღრუბლიანი** და წვიმიანი დღეები არ იქნება. ორი დღე სულ მზეა... დილით ზღვაზე ვიქნებით, საღამოს – **კაფეში...** კვირას ბათუმშიც წავიდეთ.
– როგორ მინდა, როგორ მიყვარს ზღვა და მზე... რა კარგი იქნება.
– **წამოდი.** ხვალ დილით ადრე ავტობუსით **წავიდეთ.**
– ბილეთები იქნება?
– არაა პრობლემა.
– კარგი, წამოვალ.
– რა კარგია... ხვალ **დილით, რვაზე,** შევხვდეთ ავტოსადგურში.
– აბა, ხვალამდე.

# გაკვეთილი 3

3 **თამათა** — თამთა შეხვდა მარინას თბილისში. ისინი შეთანხმდნენ შეხვედრაზე. თამთამ მარინა წაიყვანა მანქანით დიღომში, სამ საათზე კი შეხვედრა აქვს ოფისში. თამთა იცნობს მარინას მამიდაშვილ ნათიას.

**მარინა** — მარინა თბილისში ჩამოვიდა მამიდაშვილის, ნათიას, დაბადების დღეზე. ის ჯერ მიდის დიღომში მამიდასთან, საღამოს კი რესტორანში – ნათიას დაბადების დღეზე. მარინა თბილისში სამი-ოთხი დღე დარჩება.

**ნათია** — მარინას მამიდაშვილი, ნათია, არის ლამაზი და მაღალი გოგო. ნათია დაბადების დღეს იხდის რესტორანში ნათესავებთნ და მეგობრებთან ერთად.

4 **მარინა** ცხოვრობს მანგლისში. ის მანგლისელია. მარინას ქვის ძველი სახლი აქვს მანგლისის ცენტრში და მთელი ოჯახი იქ ცხოვრობს. მას ბევრი ნათესავი ჰყავს, ზოგი მანგლისში ცხოვრობს, ზოგი – თბილისში. მისი თბილისელი ნათესავები ზაფხულში ხშირად ისვენებენ მარინასთან მანგლისში.

**მარინას მამიდა** ცხოვრობს თბილისში, დიღომში. მას ჰყავს ქმარი და სამი ქალიშვილი.

**მარინას ბიძა** ცხოვრობს მანგლისში თავის ოჯახთან ერთად. მარინა მათი ხშირი სტუმარია. მისი ბიძაშვილები ბიჭები არიან – გივიკო, საბა და ლაშა. ისინი სკოლაში დადიან და ძალიან უყვართ მარინასთან ერთად თამაში და სეირნობა.

5
1. მანგლისი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით.
2. მანგლისი დიდი და ლამაზი სოფელია.
3. მარინას სტუმრები ხშირად ზაფხულში ისვენებენ მანგლისში.
4. მარინა ცხოვრობს ძველი ქვის სახლში.
5. სამზარეულო და სასადილო ოთახები არის ქვემოთ.
6. სამზარეულოს გვერდით სასადილოა.
7. საძინებლები არის ზემოთ.
8. მარინას მამიდა თბილისში ცხოვრობს, დიღომში და დიდი ოჯახი ჰყავს / აქვს.
9. მარინას ჰყავს სამი ბიძაშვილი, ისინი მანგლისში ცხოვრობენ.
10. მარინას ნათესავებიდან ზოგი მანგლისში ცხოვრობს, ზოგი – თბილისში.
11. სტუმრებს მანგლისი მოსწონთ, რადგან ის თბილისთან ახლოსაა.
12. რუსთავში ცხოვრობს მარინას მამიდა.
13. მარინა ახლა თბილისშია, რადგან მამიდაშვილის დაბადების დღეა.
14. მარინას მამიდაშვილის, ნათიას, დაბადების დღეა.
15. დაბადების დღე თბილისშია, რესტორანში.

**6**

1. თამაშობს
2. იხდის
3. ფიქრობს
4. ახსოვს
5. სწავლობს
6. მუშაობს
7. სწავლობს
8. მოსწონს
9. იცნობს
10. ლაპარაკობს
11. წერს
12. სადილობს
13. უყვარს
14. ცხოვრობს
15. ჭამს

**7**

1. ქართულ რესტორანში
2. მაღალ სახლში
3. მწვანე მანქანაში
4. მზიან ამინდში
5. ყვითელ ჩანთაში
6. პატარა სოფელში
7. ძველ უბანში
8. საინტერესო პროგრამაში
9. ნათელ ოთახში
10. წვიმიან ამინდში

**8**

– მარინა, რა კარგია, რომ **დრო გაქვს** და ახლა ჩემთან ხარ.
– ხო, ძალიან კარგია, ძალიან მომწონს შენი **ლამაზი სახლი** და შენი ოთახი.
– ჰო, მეც მიყვარს ჩემი ოთახი, **მომწონს.**
– რამდენი ოთახი გაქვთ?
– ოთხი ოთახი: ეს **სასტუმრო** ოთახია, აქ ხშირად ვართ მთელი ოჯახი ტელევიზორთან. სამზარეულო პატარაა, მაგრამ კარგია. ერთი **დედ-მამის საძინებელია,** ერთი – ჩემია და მესამე **ჩემი – დის.** კაბინეტი არ გვაქვს.
– თქვენი ოთახები დიდია და ნათელი. ძალიან მომწონს. **აბაზანა-ტუალეტიც** დიდია.
– ჰო, კარგი ბინაა. მეც მომწონს. გუშინ იყავი ნათიას **დაბადების დღეზე?**
– ვიყავი და ძალიან კარგი დრო გავატარეთ.
– შენი დეიდაშვილები და **ბიძაშვილებიც იყვნენ?**
– კი, ყველა იყო.
– ნათიას მეგობრები?
– ნათიას ათი მეგობარი იყო.
– რესტორანი კარგია? **მუსიკა როგორია?** გემრიელი იყო საჭმელი?
– მშვენიერი რესტორანია, ძალიან კარგი მუსიკაა. **საჭმელიც გემრიელია** და დაბადების დღის კარგი პროგრამა აქვთ.
– მართლა... რა კარგია... **ორი კვირის შემდეგ** ჩემი დაბადების დღეა და იქ წავიდეთ. **ჩამოხვალ** მანგლისიდან?
– კი, კი ჩამოვალ. რესტორანიც ძალიან კარგია და შენს დაბადების დღეზეც კარგ **დროს გავატარებთ.**

**9**

1. შვიდი დღის შემდეგ / მერე
2. ოთხი კვირის შემდეგ / მერე
3. ერთი წლის შემდეგ / მერე
4. სამი კვირის შემდეგ / მერე
5. ორი საათის შემდეგ / მერე
6. ვახშმის შემდეგ / მერე
7. სამი თვის შემდეგ / მერე
8. კონცერტის შემდეგ / მერე
9. ოცი წუთის შემდეგ / მერე
10. სადილის შემდეგ / მერე

# გაკვეთილი 4

**3** **გურამი** — გურამი ცხოვრობს საბურთალოზე და მუშაობს ვაკეში საპროექტო ინსტიტუტში. გურამს ჰყავს მშობლები და ორი და. უფროსი და გათხოვილია, უმცროსი და, ნინუცა, გასათხოვარია.

**თინა** — თინა სოლოლაკში ცხოვრობს. ჰყავს ძმა და პენსიონერი მშობლები. ძმა ეკონომისტია და ბანკში მუშაობს.

**5**

1. გურამ გეგეშიძე თბილისელია და ის საბურთალოზე ცხოვრობს.
2. მშობლები, ცოლ-შვილი და მისი ორი და.
3. ცხრა წევრი.
4. გურამის ცოლი არის ნანა და ის ქართული ენის მასწავლებლია სკოლაში.
5. გურამს ჰყავს სამი შვილი: ორი ბიჭი და ერთი გოგონა. ბიჭები სკოლაში დადიან. გოგონა ორი წლისაა და საბავშვო ბაღში არ დადის.
6. ელენე ძალიან ლამაზი და მხიარული გოგოა. ის წითურია და დედას ჰგავს.
7. გურამის მამა უნივერსიტეტში მუშაობს, ის პროფესორია, დედა კი დიასახლისია.
8. სალომე გურამის უფროსი დაა.
9. ჰანსი სალომეს ქმარია. ის გერმანელია და ჰამბურგში ცხოვრობს. ჰანსი ბანკირია.
10. ქართულს ჰანსი სწავლობს.
11. ანა სალომესა და ჰანსის შვილია, ის ათი წლისაა.
12. ანამ სამი ენა იცის (ქართული, გერმანული და ინგლისური).
13. ნინუცას საქმრო ფეხბურთელია, ის ქუთაისის გუნდში თამაშობს.
14. ივნისში ნინუცას ქორწილია.

**6**

1. დარეკავს
2. ჰგავს
3. იწყება
4. გაისეირნა
5. სცალია
6. ისვენებს
7. რეკავს
8. დარეკა
9. დაიწყო
10. სეირნობს
11. გაიცნო
12. გაატარა
13. დაისვენებს
14. ატარებს
15. იცნობს

**7**
1. მეშვიდე
2. ოცდამესამე
3. მეცამეტე
4. მეხუთე
5. მეათასე
6. ას ოცდამეექვსე
7. პირველი
8. მეოცე
9. ხუთი ათას ორმოცდამეცხრამეტე
10. მესამე

**8**
– ნინუცა, გამარჯობა.
– გამარჯობათ, ვინ **ბრძანდებით?**
– მზია დეიდა ვარ.
– მზია დეიდა, როგორ ბრძანდებით?
– რა ვიცი, **არამიშავს,** ხან ავად ვარ, ხან – კარგად. შენ როგორ ხარ, ნინუცა? ისევ ისეთი გამხდარი და **ლამაზი ხარ?**
– ლამაზი... რა ვიცი, მზია დეიდა, მაგრამ **გამხდარი** კი ვარ. თქვენი შვილი როგორ არის? **მუშაობს?**
– კი, ახლა მუშაობს. ინჟინერია, **ეკონომიკის სამინისტროშია.**
– ცოლი ჰყავს?
– არა, ცოლი **ჯერ არ ჰყავს,** მაგრამ ერთი ლამაზი, ქერა გოგო მოსწონს, მისი საცოლეა. მეც **ძალიან მომწონს,** კარგი გოგოა. ერთად მუშაობენ სამინისტროში.
– რა კარგია. მეც მყავს **საქმრო.**
– მართლა? ვინ არის?
– **სპორტსმენია,** ფეხბურთელია.
– რა გვარია?
– გიგა ნებიერიძე, ქუთაისის გუნდში **თამაშობს.**
– რა კარგია, რომ **დავრეკე,** სასიამოვნო ამბავი **გავიგე.** გილოცავ! **ქორწილი** როდის გაქვთ?
– ალბათ, ივნისში. მერე ესპანეთში წავალთ, ბარსელონაში დავისვენებთ.
– კარგია, **ბედნიერებას გისურვებ.** დედა სახლშია?
– არა, მზია დეიდა, დედა არ არის სახლში.
– კარგი, ჩემო ნინუცა, **მერე დავრეკავ.**

**9**
1. შვიდივე
2. იქვე
3. ცხრავე
4. ხუთივე
5. ორივე
6. სამივე
7. ოცივე
8. თორმეტივე
9. ახლავე
10. აქვე

# გაკვეთილი 5

**3** **ქართველი გოგო** — ელოდება ნიკის ჩამოსვლას თბილისში, რომ აჩვენოს ქალაქის ბევრი მნიშვნელოვანი ადგილი.

**ამერიკელი ბიჭი** — ნიკი დედასთან ერთად ორ კვირაში ჩამოდის საქართველოში. ის თბილისში დარჩება ორი კვირა და იცხოვრებს დედის ნათესავთან ძველ თბილისში. მას უნდა, რომ ნახოს საინტერესო ადგილები ქალაქში.

**5**

1. საქართველოს დედაქალაქი თბილისია. ის ძალიან ლამაზი ქალაქია.
2. მათ მოსწონთ ძველი უბნები, ისტორიული ადგილები, ვიწრო ქუჩები, ხის სახლები, ლამაზი აივნები, ძველი ეკლესიები, ნარიყალას ციხე, მთაწმინდა...
3. თბილისის მთავარი ქუჩა არის რუსთაველის გამზირი.
4. მთავარ ქუჩაზეა ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის თეატრი, თბილისის პირველი გიმნაზია, ქაშვეთის ეკლესია, სასტუმრო „თბილისი“...
5. მთაწმინდიდან.
6. მამა დავითის ეკლესია.
7. ვაკეშია კუს ტბა.
8. ტბაზე ზოგი ნავით სეირნობს, ზოგიც ტბაში ცურავს.
9. კუს ტბის გზაზეა ცნობილი ეთნოგრაფიული მუზეუმი. ეს არის მუზეუმი „ღია ცის ქვეშ“.
10. აქ არის საქართველოს ყველა კუთხის ტრადიციული სახლები.
11. ლისის ტბა საბურთალოზეა.
12. ლისის ტბაზე.

**6**

1. ჩამოვიდა
2. ნახავს
3. ნახავენ
4. დარჩება
5. ჩანს
6. ჩამოვა
7. წაიკითხავს
8. ვნახავთ
9. კითხულობს
10. ჩამოდიხართ
11. ჩანდა
12. დარჩა
13. ნახულობს
14. ჩამოვა
15. წაიკითხავენ

**7**

1. ულამაზესი
2. უდიდესი
3. უახლესი
4. უგემრიელესი
5. უმშვენიერესი
6. უჭკვიანესი
7. უღარიბესი
8. უძლიერესი
9. უმდიდრესი
10. უთბილესი

**8**

– ნიკ, როგორ ხარ დღეს?
– ისე რა.
– რატომ? **სად იყავი?**
– ბოტანიკურ ბაღში ჩემს ნათესავებთან ერთად ხუთი **საათი ვისეირნე.**
– **მოგეწონა** ბოტანიკური ბაღი?
– ძალიან, ყველაზე მეტად ჩანჩქერი **მომეწონა.**
– ნარიყალას ციხეზე იყავი?
– კი, გუშინ ჯერ ძველ თბილისში ვიყავით და მერე – ნარიყალას ციხეზე. იქვე **ვნახე** წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაც.
– ჩვენ **სად წავიდეთ?**
– ძველი თბილისი უკვე ვნახე. სადმე წავიდეთ **დასასვენებელ ადგილას.**
– კარგი, მაშინ **ხვალ** კუს ტბაზე წავიდეთ და ზეგ – ლისის ტბაზე.
– სად არის ეს ტბები?
– კუს ტბა ვაკეშია, ძალიან ლამაზი ადგილია, **ზაფხულში** თბილისელები იქ ხშირად **დადიან.** დილიდან წავიდეთ, იქ **ვისაუზმებთ** კაფეში, **ვისეირნებთ** ნავით, **ვიცურავებთ,** იქვე **ვისადილებთ** რესტორანში, მუსიკას **მოვუსმენთ...** მოკლედ, **დავისვენებთ** და **ვისიამოვნებთ.**
– ძალიან კარგი, აუცილებლად წავიდეთ. კუს ტბასთან ახლოს არის კიდევ რამე საინტერესო?
– კი, ეთნოგრაფიული მუზეუმია – **მუზეუმი** „ღია ცის ქვეშ". ეს **მართლაც** ძალიან საინტერესოა.
– რა არის იქ?
– საქართველოს **ყველა კუთხიდან** არის ძველი ქართული სტილის ხის სახლები დიდი ეზოებით. აქ ყველაფერი **ტრადიციული და ქართულია.**
– ძალიან მინდა ვნახო.
– კარგი, **ხვალამდე.**
– ალბათ, კარგი და საინტერესო **დღე იქნება.**
– იმედია, ხვალამდე.
– ნახვამდის.

**9**

1. ვინმე
2. რამდენიმე
3. რომელიმე
4. როგორმე
5. რამდენიმე
6. რამდენჯერმე
7. რამე
8. რამდენჯერმე
9. სადმე
10. ვინმე

# გაკვეთილი 6

**3** ნინი და დედამისი დილით ერთად საუზმობენ, შემდეგ ნინი მიდის უნივერსიტეტში ლექციებზე.  ორ საათამდე ლექციები აქვს. ლექციების დამთავრების შემდეგ ნინი დედას უნდა გაჰყვეს საყიდლებზე. ნინის დედას ნათიას დაბადების დღის საჩუქრის ყიდვა უნდა.

**5**
1. დედასთან ერთად.
2. მას ცალკე ოჯახი აქვს /ჰყავს.
3. ის თარხნიშვილზე ცხოვრობს და კულტურის სამინისტროში მუშაობს.
4. ნინი უნივერსიტეტში სწავლობს. შესვენებაზე ის მეგობრებთან ერთად ხშირად შედის კაფეში.
5. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
6. ბიბლიოთეკა პირველ სართულზეა. ის ორსართულიანია.
7. მეორე სართულზე კომპიუტერებია, პირველზე კი – მაგიდები და ბევრი წიგნი.
8. ცეკვა და ცურვა.
9. ცეკვაზე ლექციების შემდეგ სამშაბათს და პარასკევს დადის ვაკეში, უნივერსიტეტთან ახლოს,
10. ისინი სხვადასხვა დროს დადიან ცურვაზე. ნინის დედა შესვენებაზე გადის სამსახურიდან.
11. მათ უყვართ ხელოვნება და ხშირად დადიან გამოფენაზე, კონცერტზე, სპექტაკლსა და ხელოვნების კლუბში შეხვედრაზე.
12. ისინი საინტერესოდ და ბედნიერად ცხოვრობენ.

**6**
1. იღვიძებს
2. მოამზადებენ
3. ადგებიან
4. ადგება
5. იღვიძებს
6. გაიღვიძა
7. მოამზადებს
8. გავიღვიძებთ
9. მოვამზადებთ
10. ამზადებს
11. დგებით
12. მოამზადა
13. ადგა
14. გაიღვიძებს
15. გაიღვიძებენ

**7**

1— ტაფა
2 — კოვზი
3 — ჩანგალი
4 — ჩაიდანი
5 — დანა
6 — ღუმელი
7 — ქვაბი
8 — ჭიქა
9 — თეფში
10 — სკამი
11 — მაგიდა
12 — კარადა

**8**

1. ბაღი ეზოზე ლამაზია.
   ბაღი უფრო ლამაზია, ვიდრე ეზო.
2. მცხეთა თბილისზე ძველია.
   მცხეთა უფრო ძველია, ვიდრე თბილისი.
3. შავი მანქანა თეთრ მანქანაზე ახალია.
   შავი მანქანა უფრო ახალია, ვიდრე თეთრი.
4. ძმა დაზე მაღალია / და ძმაზე მაღალია.
   ძმა უფრო მაღალია, ვიდრე და / და უფრო მარალია, ვიდრე ძმა.
5. ხაჭაპური პურზე გემრიელია.
   ხაჭაპური უფრო გემრიელია, ვიდრე პური.
6. ფილმი წიგნზე საინტერესოა / წიგნი ფილმზე საინტერესოა.
   ფილმი უფრო საინტერესოა, ვიდრე ფილმი / წიგნი უფრო საინტერესოა, ვიდრე ფილმი.
7. მეცნიერი არქიტექტორზე ჭკვიანია / არქოტექტორი მეცნიერზე ჭკვიანია.
   მეცნიერი უფრო ჭკვიანია, ვიდრე არქიტექტორი / არქიტექტორი უფრო ჭკვიანია, ვიდრე მეცნიერი.
8. კაბა ფეხსაცმელზე ახალია / ფეხსაცმელი კაბაზე ახალია.
   კაბა უფრო ახალია, ვიდრე ფეხსაცმელი / ფეხსაცმელი უფრო ახალია, ვიდრე კაბა.
9. ნოდარი თენგიზზე ძლიერია / თენგიზი ნოდარზე ძლიერია.
   ნოდარი უფრო ძლიერია, ვიდრე თენგიზი / თენგიზი უფრო ძლიერია, ვიდრე ნოდარი.
10. ბანკი საფინანსო ფონდზე მდიდარია / საფინანსო ფონდი ბანკზე მდიდარია.
    ბანკი უფრო მდიდარია, ვიდრე საფინანსო ფონდი / საფინანსო ფონდი უფრო მდიდარია, ვიდრე ბანკი.

9 – დედა, ნათია **როდის გადავიდა** ახალ სახლში?
– უკვე ერთი თვეა. დაბადების დღეს **ახალ სახლში იხდის.**
– მართლა? **საჩუქარი** ახალი სახლისთვის გვინდა, არა?
– ჰო, ალბათ, **ყველაზე კარგი** ეს იქნება.
– სამზარეულოსთვის ვიყიდოთ რამე.
– ვიყიდოთ, კარგი **აზრია.**
– ან ლამაზი თეფშები, ან კარგი ქვაბი, **ტაფა,** ან ჩაიდანი...
– **ვნახოთ...** რა იქნება უფრო ლამაზი და კარგი.
– ეს ქვაბი მოგწონს?
– ისე რა. რა ფერისაა ნათიას **სამზარეულო?**
– ზუსტად არ ვიცი. საერთოდ ღია ფერები მოსწონს. ადრე ჩვენ ელენესთვის ვიყიდეთ ეს **ჩაიდანი** და ნათიას ძალიან მოეწონა.
– სხვა მაღაზიაში ვნახოთ, აქ მერეც მოვალთ და **ვიყიდით.** ახლა **თეფშებიც** ვნახოთ...
– ეს მუქი ფერებია და არ მომწონს. **ყვავილებიანი** არ მინდა, რომ ვიყიდოთ. არ არის ლამაზი.
– ეს წითელი ჩაიდანი არ მოგწონს? **მუქი** წითელია, კარგია.
– პატარა ჩაიდანია, არა?
– დიდი ჩაიდანი არც უნდათ. ცოლ-ქმარი **ცხოვრობს მარტო.**
– მართალი ხარ, **ვიყიდოთ** ეს წითელი ჩაიდანი. ის ჭიქები მოგწონს?
– კი, კარგია, ყავისთვის და ჩაისთვის.
– ვიყიდოთ, **მშვენიერი საჩუქარია.**
– კარგი.

# შეამოწმე შენი ცოდნა

**2** **მსგავსება:**

კუს ტბაც და ლისის ტბაც თბილისშია, ორივე ტბა და მისი მიდამოები კეთილმოწყობილია, ეს ტბები თბილისელთა დასასვენებელი ადგილია.

**განსხვავება:**

კუს ტბა მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთითაა, მისი ფართობია 0.4 კმ$^2$, სიღრმე კი – 2.6 მ. ტბის სიგრძეა 180მ. სიგანე – 50 მ. ტბაში ჩადის ვარაზისხევის წყალი, იგი თევზით ღარიბია. კუს ტბაზე იმართება სპორტული ღონისძიებები.
ლისის ტბა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთითაა, მისი ფართობია 16 კმ$^2$, სიღრმე – 4 მ. გაზაფხულზე წყლის მაღალი დონეა. ზაფხულში წყალი თბილია, მისი მაქსიმალური ტემპერატურაა 28$^0$C, ზამთარში ტბაზე ყინული ჩნდება. წყალი მლაშეა. ტბაში მოშენებულია თევზი. ლისიზე იმართება სპორტული ღონისძიებები.

**5**
1 — √
2 — X
3 — √
4 — X
5 — √
6 — √
7 — X

**9**
1. თბილისის აღმოსავლეთით.
2. კახეთში.
3. კახეთის აღმოსავლეთით.
4. აქეთა მხარეს ჰქვია გამოღმა, იქითას – გაღმა მხარე.

# გაკვეთილი 7

**3**

| ხილი | ბოსტნეული | მწვანილი |
|---|---|---|
| ვაშლი | მწვანე ლობიო 2 კილო | ნიახური 2 კონა |
| ატამი | ახალი კარტოფილი 2 კილო | ოხრახუში 2 კონა |
| შავი ქლიავი | | ქინძი 2 კონა |
| ლეღვი | | |
| მარწყვი 2 კილო | | |
| ჟოლო 5 კილო | | |
| ალუჩა 2 კილო | | |

**5**

1. თბილისში რამდენიმე ბაზარია.
2. თბილისში ბაზრები არ არის ძალიან დიდი, მაგრამ არის მრავალფეროვანი.
3. ბაზარში ან სუპერმარკეტში.
4. დეზერტირების ბაზარი.
5. ყველაფერი იყიდება: თევზი, ბოსტნეული, ყველი, ხილი, სუნელები, ხორცი.
6. ბაზარში დიდი არჩევანია და შედარებით იაფია.
7. ხან ბაზარში, ხან სუპერმარკეტში.
8. ნიგვზიან ლობიოს და ბოსტნეულის სალათებს.
9. ბაზარში.
10. ხილის სალათები.
11. აჯაფსანდალი და მწვანე ლობიო.
12. მწვანილით, ნიგვზით, კვერცხით.
13. ნიგვზიანი ლობიო.
14. მცხეთაში.
15. „სალობიე“ დიდი ხანია მუშაობს. იქ არის გემრიელი ქოთნის ლობიო მჭადთან და მწნილთან ერთად, ასევე ხინკალი, ხაჭაპური.

**6**

1. ვიყო
2. წავიკითხო
3. ვიმუშაო
4. ვიცხოვრო
5. ვითამაშო
6. ვიფიქრო
7. ვილაპარაკო
8. ვისადილო
9. გნახო
10. დავრეკო

**7**

– ნახე ინტერნეტში, როგორი ამინდია **ამ შაბათ-კვირას?**
– კი, ვნახე, კარგი ამინდია, **არც ძალიან ცხელა და არც** ცივა.
– წავიდეთ **ქალაქგარეთ?**
– წავიდეთ, რა პრობლემაა? თიკას აქვს დრო?
– არ ვიცი, ალბათ **თავისუფალი** იქნება. ერთი **მანქანით წავიდეთ?** სად წავიდეთ?
– ერთი მანქანა **საკმარისი** იქნება. თიკა, მისი ქმარი და ჩვენ.
– კარგია, **მაგრამ სად** წავიდეთ?
– კახეთში, იმერეთში?
– იმერეთი **შორსაა,** ოთხი-ხუთი საათი გვინდა. კახეთში წავიდეთ, **ახლოსაა,** ორ საათში სიღნაღში ვიქნებით.
– კი, ბატონო, კარგი **აზრია.**
**– რომელ საათზე გავიდეთ ქალაქიდან?**
– დილით ადრე, ცხრა საათზე გავიდეთ.
– **იქ** ვისაუზმოთ?
– არა, დილით ყავა დავლიოთ, **მერე გზაში ვისაუზმოთ** და სიღნაღში რესტორანში ვისადილოთ.
– მშვენიერია, თიკას დავურეკავ და **ვეტყვი ჩვენი გეგმების შესახებ.**
– კარგი, **სასტუმრო თუ გვინდა,** ინტერნეტში ვნახავ.
– კარგი, **ნახე.**

**8**

| ინფორმაცია | დრო | ადგილი | საკონტაქტო მონაცემები | რა ტიპის ღონისძიებაა | ფასები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სიღნაღში გასვლა | 3 ნოემბერი | სიღნაღი | 2-35-62-79 577-32-09-76 | | |
| 2. ანსამბლ „ლანდის“ კონცერტი | დილის 9 სთ. | | | კონცერტი | |
| 3. სადილი რესტორანში „ნატახტარის ველი“ | შაბათობით 6 საათზე | | | | ნახევარ-ფასად |
| 4. დიდი ფასდაკლება „კარფურში“ | 29-30 ივნისი | | | | დიდი ფასდა-კლება |
| 5. „ბომბორა“ გიწვევთ ატრაქციონზე | 30 აპრილი | მთაწმინდის პარკი | | გასართობი პატარების-თვის | |
| 6. რ. გაბრიაძის პიესის „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ | 15 ივნისი, 19 საათი | შავთელის ქუჩა 13; მარიონეტე-ბის თეატრში | | სპექტაკლი | 10, 15, 20 ლარი |

# გაკვეთილი 8

3

| | |
|---|---|
| პირველად | კონსულტაცია; რიგის ნომერი |
| შემდეგ | პასპორტი ან პირადობის მოწმობა; ანკეტის შევსება |
| მერე | ანგარიშის ნომერი; ხელის მოწერა |

5

1. 1992 წელს.
2. 700 000.
3. 500 ამერიკული დოლარი.
4. სატრენინგო და საკონსულტაციო პროგრამების ამუშავებაში.
5. BSTDB, ADB, IFC.
6. IFC და DEG კომპანიებმა.
7. 4000.
8. 1995 წელს ბანკს ჰყავდა 29 თანამშრომელი, ჰქონდა 1 ფილიალი და თანხა შეადგენდა 1.4 მლნ ამერკიულ დოლარს.
9. 2005 წლიდან.
10. კულტურულ და მუსიკალურ ღონისძიებებს.
11. 500 ამერიკული დოლარი.
12. მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.
13. ისტორიული შენობაა.
14. 1 ფილიალი.
15. 10% თითოეულმა.

6

თავი – **სათავო**
**სადილი** – სასადილო
აქცია – **სააქციო**
**ფინანსები** – საფინანსო
მინისტრი – **სამინისტრო**
**მოგზაური** – სამოგზაურო
ელჩი – **საელჩო**
კონსულტაცია – **საკონსულტაციო**
**ტრენინგი** – სატრენინგო
**სტუმარი** – სასტუმრო

**7**

– დილა მშვიდობისა, მობრძანდით, რა მომსახურება გნებავთ?
– კრედიტის აღება მინდა.
– კი, ბატონო. აქ დაელოდეთ **კრედიტოფიცერს.**
– დიდი მადლობა.
– მობრძანდით, **დაბრძანდით.** ჩვენი ბანკის კლიენტი ხართ?
– დიახ, თქვენთან მაქვს ანგარიში.
– ახლა რა გნებავთ?
– კრედიტის აღება მინდა.
– **სხვა ბანკში** გაქვთ კრედიტი?
– არა, არ მაქვს.
– ხელფასს ჩვენს ბანკში იღებთ?
– დიახ.
– სხვა შემოსავალი გაქვთ?
– არა, მხოლოდ **მაღალი ხელფასი.**
– **კრედიტი** რამდენი გნებავთ.
– ათი ათასი ლარი.
– რამდენი გაქვთ **ხელფასი?**
– ათას ხუთასი ლარი.
– რამდენწლიანი კრედიტი გინდათ? სამწლიანი გინდათ თუ **ხუთწლიანი?**
– თუ შეიძლება, სამწლიანი.
– **სამწლიანი კრედიტის დროს** თვეში გადაიხდით დაახლოებით ოთხას ლარს.
– გასაგებია.
– თვის რომელ **რიცხვში** გინდათ გადაიხადოთ?
– ყოველი თვის ხუთ რიცხვში.
– **ინფორმაცია** გვაქვს. სამ-ოთხ **სამუშაო** დღეში დაგირეკავთ და საბოლოო პასუხს გეტყვით.
– დიდი მადლობა.

**8**

| № | ბანკი | სესხის თანხა – ფული | ვალუტა – ეკვივალენტი | დრო – ვადა | საპროცენტო განაკვეთი – % | ასაკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | თიბისი ბანკი | 5000 ლ | ლარი | | 20% | |
| 2. | ბანკი რესპუბლიკა | 10 000 ლ | აშშ დოლარი / ევრო | 12 თვე | 19%-დან | |
| 3. | საქართვე-ლოს ბანკი | | ლარი / აშშ დოლარი / ევრო | 60 თვემდე | 15% | 20-70 წელი |

# გაკვეთილი 9

**3**

1. ექიმთან ჩაწერა;
2. ანალიზების აღება;
3. ექიმთან ვიზიტი;
4. ანალიზების პასუხი;
5. სპეციალისტთან წასვლა;
6. მიმართვა;
7. გასინჯვა.

**5**

1. სადაზღვევო სისტემა.
2. თუ ადამიანი მუშაობს.
3. პენსიონერებსა და ბავშვებს.
4. 50%-დან და 100%-მდე.
5. 100%-იანი დაზღვევის დროს.
6. ოჯახის / პირად ექიმთან.
7. მიმართვის შემდეგ.
8. პირადი ექიმი ყოველდღე მუშაობს 10 სთ-დან 4 სთ-მდე. კვირაში სამჯერ ერთი ექიმი მუშაობს, კვირაში ორჯერ – მეორე. შაბათს ხან ერთი მუშაობს, ხან – მეორე. მთავარი ექიმი დილის ათის ნახევრიდან შვიდ საათამდე მუშაობს.
9. თანამედროვე კლინიკაში ყველა დარგის ექიმი მუშაობს. არის ლაბორატორია, საოპერაციო, სხვადასხვა კაბინეტი, სასწრაფო დახმარების მანქანები.
10. ყოველი დღე დატვირთულია.
11. დიახ, მუშაობს.
12. 4 საათამდე მუშაობენ, ზოგი კლინიკა კი – 24 საათი.
13. ექთნები.
14. ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს თერთმეტი საათიდან.
15. ავადმყოფები რამდენიმე დღე პალატაში არიან და შემდეგ სახლში მიდიან.

**6**

უნდა ვიყიდო;
შეიძლება გადავიხადო;
გვინდა ვისადილოთ;
გინდა დაპატიჟო;
მინდა დავრეკო.

7 – გამარჯობა.
– გამარჯობა, რა გნებავთ?
– **გაციებული** ვარ, ძალიან მტკივა ყელი, მგონი, სიხეც მაქვს. **დილიდან** მცივა. თქვენი კონსულტაცია მინდა. რა **შეიძლება დავლიო?** ხვალ სამსახურში **უნდა წავიდე?**
– გახველებთ?
– მახველებს და **მაცემინებს.** ასეთ დროს ყელი კიდევ უფრო **მტკივა.**
– რა გინდათ დალიოთ: ჩაი თუ აბები?
– რომელი ჯობს?
– საღამოს ჩაი დალიეთ და ღამით, **ძილის წინ აბი.** სიცხე უნდა გაიზომოთ.
– **სიცხისთვის** რა გაქვთ?
– ეს აბები სიცხისაა. ძალიან კარგია, მალე კარგად იქნებით.
– ხველისთვისაც, თუ შეიძლება, რამე **წამალი მომეცით.**
– კარგი. ეს **სითხე დალიეთ** დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ.
– რამდენი დღე უნდა დავლიო?
– ხვალ უკეთესად იქნებით, მაგრამ წამლები სამი დღე უნდა დალიოთ.
– თუ შეიძლება, თავის ტკივილის **წამალიც მომეცით.**
– კი, ბატონო. აი, თქვენი წამლები – 22 ლარი და 80 თეთრი.
– ინებეთ თანხა.
– გამოჯანმრთელებას **გისურვებთ.**

8

| ინფორმაცია | რძე | თაფლი | მინერა-ლური წყალი | ხახვი | შაქარი | ლიმონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცოტა თაფლი | 0.5 ლიტრი | გაციების დროს | | ერთი თავი ხახვის წვენი | | √ |
| ყელის ტკივილის დროს | 2 ჩაის ჭიქა | 1 კოვზი თაფლი | | | | |
| ანგინის დროს | √ | | | | | |
| ხველების დროს | | | | 2 თავი | 2 კოვზი | |

9 1. დირექტორის კაბინეტი;
2. სახლის აივანი;
3. წიგნის მაღაზია;
4. თავის ტკივილი;
5. გულის ექიმი;
6. რიგის ნომერი;
7. ბანკის ანგარიში;
8. ოფისის მენეჯერი;
9. ანანასის წვენი;
10. მკურნალობის მეთოდი.

# გაკვეთილი 10

**3**

1 — X
2 — X
3 — √
4 — X
5 — √
6 — X
7 — X
8 — X
9 — √
10 — √

**5**

1. ცოლ-ქმრის, ანას და თორნიკეს, შესახებ.
2. თორნიკეს მშობლებთან. ერთი – ბანკში, მეორე – ეკონომიკის სამინისტროში.
3. ბანკიდან, ბინის საყიდლად.
4. ძალიან კარგი ოთხოთახიანი ბინა.
5. ნათელი და ღია ფერები.
6. ავეჯი სახლისათვის.
7. სასტუმრო ოთახში იქნება: ტახტი, რამდენიმე სავარძლი, ჟურნალების მაგიდა და ტელევიზორი.
8. ბავშვების ოთახი იქნება ვარდისფერი, ამავე ფერის საწოლებით, კარადებით, ფარდები თეთრი და ვარდისფერი ყვავილებით.
9. წიგნების კარადა, უჯრებიანი საწერი მაგიდა, სამი თარო და კომფორტული სკამი.
10. ორი სავარძელი უკვე მეტი ჰგონია.
11. ანას საძინებელში სურს საწოლი ორი ტუმბოთი, დიდი სარკე და კომოდი ოთხი უჯრით.
12. მაცივარი, მაგიდა, სკამები.

**6**

**მუშაობა** – იმუშავე!
დარეკვა – **დარეკე!**
**ყიდვა** – იყიდე!
გადახდა – **გადაიხადე!**
**ჭამა** – ჭამე!
სადილობა – **ისადილე!**
**მომზადება** – მოამზადე!
დაპატიჟება – **დაპატიჟე!**
**დალევა** – დალიე!
დაწერა – **დაწერე!**
**ხატვა** – დახატე!
ფიქრი – **იფიქრე!**
**ლაპარაკი** – ილაპარაკე!
წაკითხვა – **წაიკითხე!**
**ლოდინი** – დაელოდე!

## 7 ტექნიკის ყიდვა

– გამარჯობა.
– კონსულტანტი თქვენ ხართ? თუ შეიძლება **საჩუქარი** მინდა ჩემი მეგობრისთვის, ახალ ბინაში გადადიან.
– რა გნებავთ იყიდოთ? ჩვენ **ყველაფერი** გვაქვს. საოჯახო ტექნიკა მეორე **სართულზეა.** თქვენ რა გაინტერესებთ?
– ელექტროჩაიდანი მინდა. მტვერსასრუტიც მაინტერესებს.
– კი, ბატონო, გვაქვს **დიდი არჩევანი.** თქვენ რა ფასიანი გინდათ? ფასები ასი ლარიდან ხუთას ლარამდეა.
– კარგია, **დიზაინს** ვნახავ.
– აქეთ მობრძანდით, ეს ევროპული **მტვერსასრუტებია:** გერმანული, ავსტრიული და ფრანგული.
– ეს **წითელი** მტვერსასრუტი მომწონს.
– დიახ, ლამაზი და **ძლიერი** მტვერსასრუტია.
– სადაურია და რა ღირს?
– **ავსტრიულია** და ძალიან კარგი ხარისხია. ას ოთხმოცი ლარი ღირს.
– კარგია. ის პატარა ელექტროჩაიდანი რა ფასიანია?
– **ფასდაკლება** აქვს ორმოცდაათი პროცენტი, თუ **იყიდით** მტვერსასრუტს.
– ლამაზია, ორივეს ვიყიდი. რამდენი ლარი იქნება ერთად?
– ორას **ათი** ლარი.
– კი, ბატონო. სად არის სალარო?
– აი, იქ მიბრძანდით. **მშვიდობაში.**
– დიდი მადლობა.

## 8

1. ყველაზე ძვირი არის ზაფხულის ავეჯი.
2. ყველაზე დიდი ფასდაკლება აქვს ზაფხულის ავეჯს;
3. ფასდაკლების შემდეგ ყველაზე იაფი არის კუთხის ტახტი ,,ბარსელონა“.
4. ფასდაკლების საუკეთესო პროცენტი არის 40%.

## 9

1. ყურძნის
2. სტუმრები
3. კედლის
4. სავარძლის
5. მასწავლებლის
6. ალუბლის
7. მეგობრები
8. ფორთოხლის
9. მხატვრის
10. საბნები

# გაკვეთილი 11

**4**

1. ღვინის ფესტივალის.
2. 11 მაისს, ეთნოგრაფიულ მუზეუმში.
3. ქარხნული და ოჯახური მარნის ღვინოები.
4. ღვინის შესანახი ადგილი.
5. ოთხწლიანი.
6. გურჯაანელმა ქალმა, დიანა ინანიშვილმა, ქვევრში დამზადებული რქაწითელი წარმოადგინა.
7. კარდენახელმა ზურა მღვდელიაშვილმა ,,ხიხვის“ ყურძნისგან დამზადებული ღვინო წარმოადგინა.
8. ოჯახში დამზადებული ღვინო.
9. ახალი ბრენდი ,,მანდილი“.
10. სვამენ და სინჯავენ სხვადასხვა სახეობის ღვინოს.
11. კახეთში, სოფელ კარდენახში, 100 წლისაა, ძველი და ისტორიულია.
12. ნებისმიერი მსურველი: ქალებიც არიან და კაცებიც.

**5**

დამთავრება – **დაამთავრე!**
**დაწურვა** – დაწურე!
კითხვა – **წაიკითხე!**
**ჭამა** – ჭამე!
გადახდა – **გადაიხადე!**
**მომზადება** – მოამზადე!
სადილობა – **ისადილე!**
**დალევა** – დალიე!
დაპატიჟება – **დაპატიჟე!**
**დახატვა** – დახატე!
დარეკვა – **დარეკე!**
**ლაპარაკი** – ილაპარაკე!
ფიქრი – **იფიქრე!**
**წერა** – დაწერე!
ლოდინი – **დაელოდე!**

**6** ა. ღვინის ფესტივალზე

– გამარჯობა, შენც აქ ხარ?
– აბა, სად ვიქნები? **ღვინის ფესტივალი** და მე იქ არ ვიყო? არ შეიძლება.
– ვისთან ერთად ხარ, მარტო ხარ?
– არა, ჩემს ინგლისელ **სტუმართან** ერთად.
– **მოსწონს** აქ? პირველად არის საქართველოში? ღვინის ფესტივალზე?
– არა, საქართველოში ხშირადაა, შარშან **რთველშიც** იყო კახეთში, მაგრამ ღვინის ფესტივალზე პირველადაა. ძალიან მოსწონს. ყველა ღვინო **გასინჯა.**
– რომელი **ღვინო მოსწონს** ყველაზე მეტად?

– თეთრი ღვინოებიდან **მშრალი ღვინო** მოსწონს.
– რომელი?
– ,,რქაწითელი“ და ,,წინანდალი“.
– **წითელი ღვინო** მოსწონს?
– კი, ,,საფერავი“, წითელი მშრალი ღვინოა, ძალიან კარგი **გემო და სუნი** აქვს.
– ისე, ბევრ უცხოელს მოსწონს ეს ღვინო. კიდევ **რომელი ღვინო** მოსწონთ?
– კიდევ ,,ქინძმარაული“, ესეც წითელი ღვინოა, ნახევრად ტკბილი. ესეც კახური ღვინოა.
– მეც **ნახევრად ტკბილი** წითელი ღვინო მიყვარს, მაგრამ „ხვანჭკარა“. ამ ღვინოს რაჭაში ამზადებენ, ყურძნის ჯიშია ,,ალექსანდრიული“, მაგრამ ,,ხვანჭკარა“ **სოფლის სახელის** გამო ჰქვია. ალექსანდრიული ჯიშის ყურძენი **მხოლოდ ერთ სოფელში** – ხვანჭკარაში და **მხოლოდ ერთ ადგილზე** 40-50 კილომეტრზე მოდის.
– ჰო, მეც მიყვარს ,,ხვანჭკარა“ ძალიან გემრიელი და სურნელოვანი ღვინოა.
– ჰო, კარგია **ქართული ღვინო,** ძალიან კარგი.

**6** **ბ.** 1 — X
2 — √
3 — X
4 — √
5 — √
6 — √
7 — √
8 — X
9 — √
10 — √

**7**

| № | ღვინის სახელი | მწარმოებელი | მოსავლის წელი | ტიპი | ყურძნის ჯიში | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „ალავერდის ტრადიციები“ | ბადაგონი | 2007 | თეთრი, მშრალი | რქაწითელი | |
| 2 | „რქაწითელი“ | თბილღვინო | 2009 | თეთრი, მშრალი | რქაწითელი | |
| 3 | „წინანდალი“ | თბილღვინო | 2009 | თეთრი, მშრალი | რქაწითელი (მწვანე) | კახეთი, წინანდალი |
| 4 | „ცოლიკაური“ | თელიანი ველი | 2010 | თეთრი, მშრალი | ცოლიკაური | |
| 5 | „უსახელაური“ | უსახელაურის ვენახები | 2010 | წითელი, ნახევრად ტკბილი | უსახელაური | |
| 6 | „ხვანჭკარა“ | თბილღვინო | 2010 | ნახევრად ტკბილი, წითელი | ალექსანდრ-იული, მუჯურეთული | რაჭა, ხვანჭკარა |

**8**

1. მომწარო
2. მოტკბო
3. მოთეთროა
4. მოშავო
5. მოყვითალო
6. მომჟავო
7. მოცისფრო
8. მოგრძო
9. მოწითალო
10. მოვარდისფრო

# გაკვეთილი 12

**3**

1 – X
2 – √
3 – √
4 – X
5 – √
6 – √
7 – X
8 – √
9 – X
10 – X

**5**

1. ქუთაისის შესახებ.
2. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდიდან.
3. ქუთაისში ააშენეს დიდი ციხე-გალავანი, სამეფო სასახლე და ბაგრატის ტაძარი.
4. მე-20 საუკუნეში.
5. შუა საუკუნეების არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლია.
6. მე-3 საუკუნიდან.
7. 1089 წელს, ქუთაისში.
8. ქუთაია.
9. 2-სართულიანი სახლები, პატარა ქუჩები, ძველი ხედები.
10. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, მასში ბევრი ქართველი სწავლობდა.
11. დავით აღმაშენებლის დროს. ის უმაღლესი სასწავლებელი იყო.
12. უდიდესი უმაღლესი სასაწავლებელი იყო და ,,მეორე იერუსალიმს“ უწოდებდნენ.

**6**

1. გიორგი ნუცას თეატრში პატიჟებს.
2. ბავშვები ცხოველებს კარგად უვლიან.
3. ლიზა დასასვენებლად მიდის და ახალ ხალხს გაიცნობს.
4. ნანამ და ნონამ სუფრაზე თეფშები უნდა დააწყონ.
5. ბიჭებმა კარგი სახლი ააშენეს.
6. ბებია ქათამს წვავდა ვახშმისთვის.
7. გოგონები მოვუვლით ბაღს.
8. ჩვენ ინგლისელი მეგობრები უნდა დავპატიჟოთ.
9. მე მინდა გავიცნო რობერტი.
10. დედა და მამიდა სუფრას შლიან სტუმრებისთვის.

## 7 გელათის მონასტერში

– ნიკ, აქ მოდი, რა **კარგი ხედია!** რა კარგად ჩანს აქედან ყველაფერი, მთელი იმერეთი **ხელის გულივით** ჩანს.
– მართლაც ლამაზია, ყველაფერი მწვანე და მშვენიერია.
– აქ იყო **გელათის აკადემიაც.**
– ჰო, ვიცი ამის შესახებ, **ბიძაშენმა თქვა.** სად იყო აკადემია?
– აი, იქ, გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით **მთავარი შესასვლელია,** წამოდი, მივიდეთ.
– რა არის იქ? **რა უნდა ვნახოთ?**
– ერთი წუთით, ხედავ ამ **დიდ ქვას** მთავარ შესასვლელში? ეს დავით აღმაშენებლის საფლავია.
– შესასვლელში რატომაა საფლავი?
– დავით აღმაშენებელს ასე უნდოდა. ყველა, ვინც **აქ შემოდის,** მის საფლავზე დგამს ფეხს. ერთ **ქართველ პოეტს,** ანა კალანდაძეს, აქვს კარგი ლექსი ამის შესახებ.
– რა საინტერესოა. ჩვენ **რატომ შემოვედით** სხვა მხრიდან? აქედან რატომ არ შემოვედით?
– ადრე ეს იყო მთავარი შესასვლელი, ყველა აქედან შემოდიოდა, რამდენიმე საუკუნე ეს შესასვლელი იყო ღია, მაგრამ ახლა **შემოსასვლელი ზემოთაა.**
– იქ რა არის? ეს **ერთსართულიანი შენობა** რა არის?
– ეს გელათის აკადემიაა, ძველი ქართული სასწავლებელი. დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დააარსა გელათის მონასტერთან. აქ იყვნენ **ცნობილი ქართველები** და ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, ფილოსოფიას, რიტორიკას, გრამატიკას, ასტრონომიას, რელიგიას და ასე შემდეგ.
**– რომელ საუკუნეში?**
– მეთორმეტე საუკუნეში იყო პირველი ქართული აკადემია.
– ეს **დიდი კულტურაა.**

## 8

| როდის დაარსდა? | ვინ დააარსა? | ვინ იყო გელათში? | ვინ რა დაწერა გელათში? | რას სწავლობდნენ გელათის აკადემიაში? | რას უწოდებდნენ გელათს? |
|---|---|---|---|---|---|
| 1106 წელს | დავით აღმაშენებელმა | იოანე პეტრიწი; არსენ იყალთოელი | არსენ იყალთოელმა – „სჯულის კანონი“; იოანე პეტრიწმა – „ბუნებისათვის კაცისა“. | გეომეტრიას; არითმეტიკას; მუსიკას; ფილოსოფიას; გრამატიკას; რიტორიკას; ასტრონომიას. | „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმს“. |

**9**

1. ნივრის
2. პამიდვრით
3. ნიგვზიანი
4. მაწვნის
5. ნივრით
6. უპამიდვრო
7. ნიგვზით
8. მინდვრის
9. მაწვნით
10. უნივრო

**11** ა.

| **ახლა** | **დიდი ხნის განმავლობაში** |
|---|---|
| აშენებს | აშენებდა |
| პატიჟებს | **პატიჟებდა** |
| უვლის | **უვლიდა** |
| წვავს | **წვავდა** |
| აწყობს | **აწყობდა** |
| შლის | **შლიდა** |
| ამზადებს | **ამზადებდა** |
| წერს | **წერდა** |
| ჭამს | **ჭამდა** |
| ამთავრებს | **ამთავრებდა** |
| რეკავს | **რეკავდა** |
| ლაპარაკობს | **ლაპარაკობდა** |

www.geofl.ge